პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 4 ოქტომბერი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 229 (2575)

დღიური

გარდაიცვალა გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი
ავსტრიის კომპარტიის ც. კ.-ის პლენუმი
გადადგა ეგვიპტის მთავრობა
უმუშევართა მდგომარეობის გაუმჯობესება გერმანიაში
მარიონის (ამერიკა) ფეიქრებმა განაახლეს გაფიცვა
მელითონეთა კავშირის ც. კ.-ის პლენუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება ნოემბრის პირველ ნახევარში იწვევს

თათბირს სოფლად მუშაობის შესახებ

შემდეგი დღის წესრიგით:

1. წლიური მუშაობის შეჯამება მოსავლიანობის გადიდების საქმეში.
2. გლეხური მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები.
3. სოფლის საბჭო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი ხელმძღვანელობა.

თათბირის დღე დამატებით იქნება გამოცხადებული.

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა **ოქტომბრისათვის**

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ფართოდ გავუშალოთ კოლხელშეკრულებათა კამპანია

იწყება კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია. ამ კამპანიას უაღრესი სახალხო-სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მან ერთი მხრით ხელი უნდა შეუწყოს მუშათა მასების ყურადღების მობილიზაციას წარმოების საკითხების გარშემო და კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავება-გატარებას მრეწველობის მუშაობის გაჯანსაღებისა და ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებისათვის, მეორე მხრივ კი—თვით მუშების მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

მიმდინარე ოქტომბრის განმავლობაში ტარდება წინანდელ კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება. აღსანიშნავია, რომ წინედ ამ შემოწმებას ახდენდნენ პროფკავშირების ორგანოები, ახლა ამისათვის სპეციალურად გამოიყოფიან მუშათა ბრიგადები, რომელნიც დაგროვილ მასალას შემდეგ მუშებს გააცნობენ მასიურ კრებებზე. ამით ფართოვდება მუშათა მასების კონტროლი როგორც კოლხელშეკრულებების განხორციელებაზე, ისე საერთო საწარმოთა ცხოვრებაზე.

შემოწმება ორ მომენტს შეიცავს: კოლხელშეკრულება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს როგორც საწარმოს ადმინისტრაციას, ისე მუშებს. სავსებით და ნათლად უნდა იქნას გამორკვეული, თუ როგორ ასრულებდნენ ამ ვალდებულებებს ერთი მხრივ სამეურნეო ორგანოები, მეორე მხრივ მუშები. ჰქონდა თუ არა ადგილი სამეურნეო მუშაკების მხრივ ბიუროკრატიულ გადამახინჯებას კოლხელშეკრულებათა გატარების დარგში? ღებულობდნენ თუ არა ისინი სათანადო ღონისძიებებს მუშების ნივთიერი, უფლებრივი და ყოფა-ცხოვრებრივი ინტერესების დასაცავად, როგორც ეს გათვალისწინებული იყო კოლხელშეკრულებებში? რა უშლიდა ხელს მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას? ამ საკითხებზე შემოწმებამ მკაფიო პასუხი უნდა მოგვცეს. და თუ აღმოჩნდებიან კოლხელშეკრულებათა დამრღვევნი საწარმოთა ადმინისტრატორებს შორის (ასეთები აქა-იქ უეჭველად არიან), ისინი დაუზოგავად უნდა გამოვააშკარაოთ და პასუხისგებაში მივცეთ. მუშათა მასებისათვის ამ შემთხვევაშიც ცხადი უნდა გახდეს, რომ პროლეტარული სახელმწიფო არ დაუშვებს მათი ინტერესების შელახვას და მათი დაცვის მიზნით სამეურნეო ორგანოებზე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებათა დარღვევას და შეუსრულებლობას.

შემოწმების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეა იმის გამორკვევა, თუ თვით მუშები როგორ ეკიდებოდნენ თავის მოვალეობებს, რომელიც მათ თავის თავზე მიიღეს კოლხელშეკრულებებით. ეს ვალდებულებები შეეხებიან შრომის დისციპლინის განმტკიცებას, ნაყოფიერების ზრდას, მანქანებისადმი შეგნებულ დამოკიდებულებას და სხ. ჩვენ უნდა მივიღოთ იმის სრული სურათი, თუ რა ნაყოფი გამოიღეს კოლხელშეკრულებებმა ამ ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით. შემოწმებას უნდა მოჰყვეს არა მარტო დეფექტების გამომჟღავნება ამ დარგში, არამედ იგი ამასთან უნდა გახდეს მძლავრ ფაქტორად მუშების საწარმოო აღზრდისათვის, მათი შეგნების ზრდისათვის და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის სოციალისტური მრეწველობის წინაშე.

ამავე დროს შემოწმებამ უნდა ცხადჰყო, თუ რა ორგანიზაციული და ტეხნიკური გაუმჯობესებები შეიტანეს სამეურნეო ორგანოებმა წარმოებებში, თუ რამდენად შექმნეს მათ საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომ მუშებს თავისი ვალდებულებანი მთლიანად და ჯეროვნად შეესრულებიათ.

შემოწმების დამთავრების შემდეგ, ნოემბრიდან დაიწყება თვით ხელშეკრულებათა დადება. ორივე მხარემ (სამეურნეო ორგანოებმა და პროფკავშირებმა) ამისათვის დროზე უნდა მოამზადონ შესაფერი მასალა. ახალ ხელშეკრულებებს საფუძვლად დაედება შემოწმებით მიღებული შედეგები, განვლილი სამეურნეო წლის მიღწევები და 1929 — 30 წლის საკონტროლო ციფრები.

კოლხელშეკრულებები განუყრელი ნაწილია ჩვენი სამრეწველო გეგმისა, რომლის განხორციელებაში მათ უდიდესი როლი უნდა ითამაშონ. მუშათა მასების წინაშე ფართოდ უნდა გადავშალოთ ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო შედეგები და ის ამოცანები, რომლებსაც ვისახავთ დაწყებულ წელიწადში. მათთვის ნათელი უნდა შეიქნას, რომ მუშების კეთილდღეობის ზრდა მჭიდროთაა დაკავშირებული სოციალისტურ მშენებლობის წარმატებასთან. ამის მიხედვით განხილულ უნდა იქნან შრომის ნაყოფიერების გადიდების და შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხები, რომელთაც საკონტროლო ციფრებთან შეფარდებით სწორი გამოხატულება უნდა ჰპოვონ ახალ კოლხელშეკრულებებში. ამავე საფუძველზე უნდა მოხდეს ხელფასის მომატების საკითხის გადაჭრაც.

ზედმეტია იმის განმეორება, რომ ჩვენი სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს მუშების კეთილდღეობის ამაღლებას. ეს მკაფიო გამოხატულებას ჰპოულობს 1929—30 წლის საკონტროლო ციფრებშიც, რომელნიც ითვალისწინებენ ხელფასის საგრძნობ ზრდას და აგრეთვე ხარჯების მნიშვნელოვნად გადიდებას მუშათა საბინაო მშენებლობაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე და სხ. ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეალურ ხელფასის მატებას, რომელიც გათვალისწინებულია საგრძნობი რაოდენობით. ამ ამოცანას უნდა მივაღწიოთ პირველ მოხმარების საგნების მუშებისათვის მიწოდების უკეთესი ორგანიზაციით და მათი შესაძლებელი გაიაფებით. კოლხელშეკრულებებში ამ მხრივ სათანადო მუხლები უნდა იქნან შეტანილი.

ამ უდიდეს ამოცანებს კამპანია შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევსძლებთ მუშათა მასების ცხოვლად ჩაბმას კამპანიაში და უკანასკნელზე სწორ ხელმძღვანელობის უზრუნველყოფას. ამიტომ ამ მიმართულებით მუშაობა დაუყოვნებლივ და ფართოდ უნდა გავშალოთ.

მთელი ძალების მობილიზაცია პურის დასამზადებლად

პურის დამზადების კამპანიის მსვლელობაში უფრო და უფრო აშკარავდება სისწორე ჩვენი მითითებებისა იმის შესახებ, რომ ამ კამპანიის ძირითად, გადამჭრელ მომენტს წარმოადგენს მკაცრი ბრძოლა კულაკთან.

კულაკის წინააღმდეგობა გამოაშკარავდა პურის დამზადების პირველსავე დღეებში. ეს წინააღმდეგობა წარმოადგენდა სოციალისტური შეტევის ჩაშლის ცდების გაგრძელებას. საბაზრო ურთიერთობა კულაკს მიაჩნდა ისეთ დარგად, სადაც იგი ყველაზე ადვილად შესძლებდა ზეგავლენის მოხდენას წვრილი საქონლის დამამზადებლის ფსიქოლოგიაზე. აღმოჩნდა, რომ კულაკის იდეოლოგია ენათესავება მემარჯვენე უკლონისტების იდეებსა იმ უკლონისტების, რომელნიც ქადაგებენ სტიქიური მოუწესრიგებელი ბაზრისაკენ დაბრუნებას და ფაქტიურად ხელფეხის გახსნას კაპიტალისტური ურთიერთობისათვის.

კულაკს იმედები გაუცრუვდა. სამი თვის განმავლობაში (ივლისი, აგვისტო და სექტემბერი), რომელთაგან პირველ თვეს, ივლისში, ძალიან მცირე რაოდენობით დამზადდა ახალი მოსავლის პური, დამამზადებელმა ორგანიზაციებმა დაამზადეს სამჯერ მეტი, ვიდრე შარშან იყო დამზადებული იმავე თვეში. პურის ძირითადი ჩამბარებლები ეხლა იყვნენ: სოციალისტური სექტორი, რომლის ხვედრითი წონა, წარსულ წელთან შედარებით, 150 პროცენტით გაიზარდა, და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები; ეს უკანასკნელნი პურს აბარებდნენ უმთავრესად კონტრაქტაციის წესით, რომლის მნიშვნელობაც პურის დამზადებაში გაიზარდა თითქმის ერთი ოთხად. მაშინ კულაკი გადავიდა აშკარა, აქტიური წინააღმდეგობის ფორმებზე (რასაც დაერთო, რასაკვირველია, გავლენის აშკარა ფორმები), ხოლო ცალკე შემთხვევებში — ტერორზე; ეს ტერორი მიმართულია არა მარტო ხელისუფლების წარმომადგენლების, კომუნისტების ან მუშკორების წინააღმდეგ, არამედ სოფლის ძირითადი მასის წინააღმდეგაც: კულაკს სურს დააშინოს და ხელი აალებინოს ამ მასას მუშური სახელმწიფოს წინაშე მოვალეობათა შესრულებაზე.

სწორედ ასეთია ამჟამად კულაკების კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა იმ დამამზადებელ რაიონებში, სადაც ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადო ორგანიზაციებმა ვერ შესძლეს დროულად დაერაზმათ მასები თავიანთი ხელმძღვანელობით კულაკის და კულაკების გავლენის ქვეშ მყოფი ელემენტების წინააღმდეგ, და სადაც უმოქმედობამ, კლასობრივი პოლიტიკის დამახინჯებამ და მემარჯვენე გადახრამ პრაქტიკულ მუშაობაში ხელ-ფეხი გაუხსნა ან შესვენების დრო მისცა კულაკს.

კულაკი კონტრშეტევას აწარმოებს პურის დამზადების ფრონტის სუსტ ადგილებზე სწორედ იმ დროს, როცა მან ზედმეტი პურის მარაგი უნდა გაჰყიდოს. უკანასკნელ დრომდე კულაკი მანევრებით გადიოდა ფონს, იგი სარგებლობდა პურის დამამზადებელი აპარატის ზოგიერთი მუშაკების დაუდევრობით, ხოლო ზოგიერთის—ღალატით. სასურსათო კულტურების მაგივრად იგი ჰყიდდა საქონლის საკვებს, გვერდს უხვევდა ხელისუფლების დადგენილებებს, ეწეოდა სპეკულიაციას და თავისი სასაქონლო პურის ძირითად მასას მალავდა. დამამზადებელი აპარატი ამ დროს ცხოვრობდა თავისთავად მოსული პურის ხარჯზე, ღარიბი და საშუალო გლეხების მიერ მოტანილი პურის ხარჯზე, იმ გლეხების ხარჯზე, რომლებიც [illegible] საათობით, ზოგჯერ დღეებითაც უცდიდნენ პურის ჩაბარებას. ასეთმა კურსმა და ნდობით მოპყრობამ „ჯანსაღი“ კულაკისადმი გამოიწვია ის, რომ კულაკი ბევრ შემთხვევაში თავისი ზედმეტი პურის ნახევარსაც არა ჰყიდდა. ჩრდილოეთ კავკასიაში, გამთანგარიშების მიხედვით, კულაკმა შეასრულა მასზე დაკისრებული მტკიცე დავალების ერთი მესამედი. როცა კულაკი გრძნობს, რომ ახლოვდება ვადა, რომელსაც გვერდს ველარ აუხვევს, იგი მიმართავს უკიდურეს ზომას—სცდილობს ზედმეტი პურის მარაგი დაიტოვოს დამამზადებელი კამპანიის ჩაშლის საშუალებით. ამ მიზნით კულაკი სცდილობს თან გაიყოლიოს სოფლის შეძლებული ნაწილი და საშუალო გლეხობის მერყევი ნაწილი.

დამამზადებელი რაიონებიდან მიღებული სავსებით უდავო ფაქტები მოწმობენ, რომ გლეხობის ძირითადი მასები გადაჭრით ებრძვიან კულაკის ხრიკებს და თვითონ გადადიან შეტევაზე კულაკის წინააღმდეგ ყველგან, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციები უზრუნველჰყოფენ საქმით მტკიცე პროლეტარულ ხელმძღვანელობას. ღარიბ და საშუალო გლეხთა ძალები ყველგან უნდა დავრაზმოთ კულაკის კონტრშეტევის გადაჭრით დასაძლევად, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ სავსებით განხორციელდეს პარტიის დირექტივები ღარიბი გლეხობის შეკავშირების, მისი ძალების საშუალო გლეხობასთან ერთად დარაზმვის და სოფლის პროლეტარული ელემენტების აქტივიზაციის შესახებ.

პურის დამზადების კამპანიის მოწყობის საქმეში გეგმებმა ბევრ რაიონში უკვე მიაღწიეს ან აღწევენ სოფლებამდე. ეხლა საჭიროა მტკიცედ განვაგრძოთ ეს მუშაობა, განვსაზღვროთ მტკიცე დავალებანი სოფლის კულაკური და შეძლებული ფენებისათვის და უზრუნველვყოთ ამ დავალებათა შესრულება. აქ დაუშვებელია მტკიცე დავალებათა მიცემა საშუალო ელემენტებისათვის. საშუალო გლეხობაზე ადმინისტრატიული ზეგავლენის ცდები ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოიფხვრას. ზოგიერთ ადგილას საშუალო გლეხობის მასა თვითონ, თვითვალდებულების წესით განსაზღვრავს თავის ზედმეტ მარაგს. ეს სხვა საქმეა, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიაც საჭიროა თვალყური ვადევნოთ, რომ საშუალო გლეხების თვითვალდებულება საზოგადოებრივი თვითქმოქმედების პირობებში ხდებოდეს. მაგრამ თუ ღარიბი და საშუალო გლეხების მიერ, რომლებიც თავიანთ ვალდებულებებს არ ასრულებენ, საჭიროა მეტად დიდი სიფრთხილე, სამაგიეროდ იმ ჯგუფების მიმართ, რომლებსაც მტკიცე დავალებანი ეძლევათ, ლაპარაკიც კი არ შეიძლება რაიმე პატიებასა და ვადების გადადებაზე.

ოქტომბერში შესრულებულ უნდა იქნას ყველა მტკიცე დავალება. ნოემბერში შეუსრულებელი არ უნდა დარჩეს არც ერთი მტკიცე დავალება. ამას მკაცრად უნდა ადევნოს თვალი ყველა იმ ორგანიზაციამ, რომელიც მონაწილეობას იღებს პურის დამზადების კამპანიის ჩატარებაში.

საჭიროა მოვამზადოთ ღარიბი და საშუალო გლეხები ჩავაბათ პურისათვის ბრძოლაში, მივცეთ ფართო გასაქანი მათ ინიციატივას და ჩავატაროთ მათ შორის დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა უზრუნველვყოთ პურის გაცხოველებით, განუწყვეტლივ ჩაბარება და ამ გზით დავრაზმოთ სოფლის მთელი ძალა კულაკის წინააღმდეგ გამანადგურებელი იერიშის მისატანად. სოფლის მთელმა მასამ კულაკი უნდა აიძულოს, რათა მან ოქტომბრის განმავლობაში შეასრულოს ყველა დავალება პურის გაყიდვის საქმეში, სოფლის მთელმა მასამ არ უნდა მისცეს კულაკს რაიმე მანევრების საშუალება—იქნება ეს მეორეხარისხოვანი კულტურების ჩაბარება, ზედმეტი მარაგის გადამალვა თუ პურის გაყიდვა კერძო პირებზე. ხოლო იქ, სადაც კულაკი სცდილობს იმოქმედოს ტერორით, საჭიროა ისეთი ზომების მიღება მის წინააღმდეგ, რომ მან დაეკარგოს კონტრშეტევის ყოველგვარი ხალისი.

გლეხობის ძირითადი მასების ძალთა მობილიზაციის ამოცანასთან ერთად კულაკის წინააღმდეგ გამანადგურებელი იერიშისათვის საჭიროა მტკიცე მუშაობა ტეხნიკური სიძნელეების ასაცილებლად პურის მიღების, შენახვის და გადატანის საქმეში. აქაც საჭიროა საზოგადოებრიობის ფართო დახმარება, მასიური ინიციატივა და თვითმოქმედება. დამახასიათებელია ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ივანოვის ოლქში, სადაც ადგილობრივი ინიციატივით პურის შესანახავების მოცულობა რამდენიმე ასი ათასი ტონით გაფართოვდა. ბევრ ადგილას კომკავშირის და მსუბუქი კავალერიის დახმარებით აღმოჩენილ იქნა შენობები საწყობებისათვის. რკინის გზის ტრანსპორტზედაც დაიწყო უფრო ინტენსიური ბრძოლა ვაგონების შეჩერებისა და სხვა დაბრკოლებათა წინააღმდეგ.

დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იმას, რომ გაძლიერდეს ფულის შეტანა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, თვითდაბეგვრის, [illegible] ანგარიშში.

ჯეროვნად ვერ აფასებენ ღონისძიებებს პურის დამამზადებელი რაიონებისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების საქმეში. ადგილობრივ პრესაში თითქმის არაფერსა სწერენ სამრეწველო საქონლის მიწოდების შესახებ. ეს მეტად დიდი შეცდომაა. სამრეწველო საქონლის მიწოდება პურის დამზადების უძლიერესი საშუალებაა, თუ კი იგი გამოყენებული იქნება კლასობრივი პოლიტიკის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით. ამ მხრივ წარსულმა წლებმა საკმაო გამოცდილება შეგვძინეს.

ყველა აღნიშნული ღონისძიება დაუბრკოლებლად უნდა განხორციელდეს. ოქტომბერში გაცილებით მეტი პური დამზადდეს, ვიდრე სექტემბერში. ყოველი დაყოვნება ან შესუსტება უნდა ჩაითვალოს პარტიის დირექტივებისა და ხელისუფლების დადგენილებების უხეშ დარღვევად და მას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს საორგანიზაციო და სამოსამართლო დასკვნები.

ვალდებულებათა ზედმიწევნით შესრულების მაგალითი უნდა მოგვცეს, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის სოციალისტურმა სექტორმა. მკაცრად უნდა დაიგმოს ცალკე საბჭოთა მეურნეობების მისწრაფება შეამცირონ თავიანთი სასაქონლო ზედმეტი მარაგი. მკაცრად უნდა დაიგმოს ისეთი კოლმეურნეობა, რომელიც კერძო პირებზე ჰყიდის ზედმეტი პურის მარაგს. ასეთი კოლექტივები უნდა მიეკუთვნონ ცრუკოლმეურნეობათა რიცხვს, რომელთაც არავითარი უფლება არა აქვთ მიიღონ სახელმწიფო დახმარება. ასეთ ცრუკოლექტივების კულაკი ხელმძღვანელნი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული. კოლმეურნეობათა მთელმა მასამ, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ვალდებულებებს, უნდა განდევნოს თავისი წრიდან ცრუკოლმეურნეობანი და მათი გამგეობების ის წევრნი, რომელნიც მოღალატურ როლს თამაშობენ.

სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორთან ერთად ვალდებულებათა შესრულების მაგალითს უნდა წარმოადგენდეს პურის ჩაბარება კონტრაქტაციით. აქ განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა როლი პურის კოოპერაციისა, რომლის ქვედა საფეხურის ყოველი ორგანიზაცია განსაკუთრებული სისწორით უნდა შემუშავდეს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა პურის დამზადების ყველა საკითხში უნდა გამოიჩინონ მტკიცე ხელმძღვანელობა, რომელსაც მოითხოვენ სოციალისტური შეტევის განვითარების და კულაკური კონტრიერიშის გადაჭრით უკუგდების ამოცანები.

„პრავდა“.

მოსკოვი, 3 ოქტომბერი.

ჰენდერსონი დოვგალევსკისთან მოლაპარაკების შესახებ

კონსერვატიული პრესა უკმაყოფილოა მიღწეული შეთანხმებით

გერმანიის გაზეთები შეთანხმებას საბჭოთა თვალსაზრისის გამარჯვებათ სთვლიან

ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკება

ჰენდერსონის სიტყვა მუშათა პარტიის ყრილობაზე

ბრაიტონი, 2 ოქტომბ. ჰენდერსონმა მუშათა პარტიის ყრილობაზე წარმოსთქვა სიტყვა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან განაცხადა:

„როგორც ყრილობამ იცის, არჩევნების დროს მოწინააღმდეგეებს ჩვენ გარკვეულად განუცხადეთ, რომ მუშათა მთავრობის ერთ-ერთი პირველი საქმე იქნება დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან. მე ბედნიერი ვარ ვაცნობო ყრილობას, რომ ჩვენი საუბრის შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ პროცედურის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ მოჰყვება ელჩების დანიშვნას. ვფიქრობ, რომ ჩვენ უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯი გადავსდგით. დარწმუნებული ვარ, როგორც კი მოხდება ელჩების დანიშვნა, დიპლომატიური ურთიერთობის მექანიზმი მთლიანად ამუშავდება და დღეს დილით გამოქვეყნებული ხუთი საკითხის განხილვის პროცედურა საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ შეთანხმებას, რომელიც მკვიდრ საფუძველს ჩაუყრის ჩვენ ურთიერთობას და გამოიწვევს ორივე სახელმწიფოს ისე დაახლოებას, როგორსაც ადგილი არა ჰქონია ჩვენს შორის მრავალი წლის განმავლობაში“. (ადს).

ინგლისის პრესა ჰენდერსონის განცხადების შესახებ

ლონდონი, 2 ოქტომბერი. ყველა გაზეთი გამოეხმაურა ჰენდერსონის განცხადებას დოვგალევსკისთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

„ტაიმს“-ი მთლიანად ბეჭდავს ჰენდერსონის განცხადებას, მაგრამ მოწინავე წერილში არ ეხება მას.

„მორნინგ პოსტ“-ი აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის მთავრობა „კვლავ დაადგა უგუნურ პოლიტიკას“.

ჰენდერსონმა, — სწერს გაზეთი,— ქედი მოიხარა. საბჭოთა ელჩმა დიდი გამარჯვება მოიპოვა. ჰენდერსონმა და მაკდონალდმა თემთა პალატა დაარწმუნეს, რომ არ მოხდება პოლიტიკის ისეთი შეცვლა, რის შესახებაც ეხლა გვაუწყებენ. ეს დაპირება დარღვეულია. ჩვენთვის უეჭველია, რომ ძალიან მალე მუშათა პარტიას სანანურად გაუხდება ეს ნაბიჯი“.

„დეილი ტელეგრაფ“-ი მოწინავე წერილში სწერს:

„მსოფლიოს შეუძლია დასტკბეს სასიამოვნო სანახაობით, თუ როგორ უკარნახებს საბჭოთა მთავრობა ინგლისის მთავრობას იმავე პირობებს, რომლებიც ინგლისის მთავრობამ ამას წინად უარჰყო, როგორც მიუღებელი. მოსკოვმა უდიდესი დიპლომატიური გამარჯვება მოიპოვა, რას საკვირველად იგი არავითარ დათმობაზე არ წასულა. ჰენდერსონმა წარუშლელი ჩირქი მოსცხო მუშათა მთავრობის დღემდე შეუბღალავ დიპლომატიურ ფორმულიარს“.

ლიბერალური გაზეთებიდან „დეილი ექსპრეს“-ი არ ეხება ჰენდერსონის განცხადებას. „დეილი ქრონიკლ“-ი შეთანხმებას „გონიერს“ უწოდებს და აცხადებს, რომ ჰენდერსონი მართებულად მოიქცა.

„შეუძლებელია აწარმოო მოლაპარაკება როგორც რიგია, — სწერს გაზეთი, — სანამ მხარეები ხმას არა სცემენ ერთმანეთს“ (ადს).

გერმანული პრესა ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ

ბერლინი, 2 ოქტომბერი. გერმანიის პოლიტიკური წრეები უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების მსვლელობას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ **ჰენდერსონმა მთლიანად მიიღო საბჭოთა თვალსაზრისი მოლაპარაკების პროცედურის საკითხში.** ცვლილებებს ინგლისის პოლიტიკაში გაზეთები ხსნიან მაკდონალდის კაბინეტის განმტკიცებით ჰააგის, ჟენევისა და შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების შედეგად, აგრეთვე იმით, რომ მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს თავის ამომრჩევლებს, განსაკუთრებით მუშათა პარტიის ყრილობის მოწვევის გამო. გაზეთებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ **თემთა პალატა მოიწონებს შეთანხმებას, რამდენადაც მას მხარს უჭერენ ლიბერალები.**

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს, რომ შეთანხმების მიღწევა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის სიმშვიდეს შეიტანს ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობაში და განამტკიცებს ამ მდგომარეობას. „გერმანიის თვალსაზრისით, — აცხადებს გაზეთი,—ინგლის-საბჭოთა შეთანხმება მხოლოდ მისალმების ღირსია“ (ადს).

ავსტრიის კომპარტიის ც. კ.-ის პლენუმი

ვენა, 2 ოქტომბერი. ავსტრიის კომპარტიის ც. კ.-ის პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ. ც. კ.-ი აღნიშნავს კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის ყველა გადაწყვეტილების სისწორეს და აცხადებს, რომ წინასწარ პირობას პარტიის წინაშე მდგომი რევოლიუციონური ამოცანების შესრულებისათვის წარმოადგენს ბრძოლა აშკარა და ფარული ოპორტუნისტული მიმდინარეობების წინააღმდეგ პარტიის შიგნით.

პლენუმი აღიარებს, რომ კომინტერნის მიერ დაგმობილ შეხედულებათა დაცვა შეუთავსებელია კომპარტიის წევრობასთან.

პლენუმმა დაავალა აღმასბიუროს— მოამზადოს პარტიული წმენდა, განდევნოს პარტიიდან მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტები და წინადადება მისცეს ყველა შემრიგებელს, გამოარკვიონ თავისი დამოკიდებულება პარტიის ხაზისადმი; წინააღმდეგ შემთხვევაში აღმასბიურომ მათ წინააღმდეგ დისციპლინარული ზომები უნდა მიიღოს. (ადს)

ვენა, 2 ოქტომბერი. ვენაში შესდგა კომპარტიის მიერ მოწვეული ქარხკომების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო მოქმედების პროგრამა: ანტიფაშისტური კომიტეტების ჩამოყალიბება საწარმოებში, თავდაცვის პროლეტარული რაზმების მოწყობა, მუშათა შეიარაღების ლოზუნგის პრაქტიკულად გატარება, აგიტაცია მასიური და პოლიტიკური გაფიცვების სასარგებლოდ, აგიტაცია ღარიბ გლეხობასა და სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატს შორის მსხვილი საეკლესიო მიწების დანაწილების შესახებ და სხვა. (ადს)

ეგვიპტის მთავრობის გადადგომა

ლონდონი, 2 ოქტომბერი. ეგვიპტის მთავრობა გადადგა. (ადს)

ლონდონი, 2 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო კაიროდან იუწყება:

„უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეგვიპტის 15 შეცვლილ კაბინეტიდან მახმუდ-ფაშას გადამდგარმა მთავრობამ ყველაზე მეტხანს შეინარჩუნა ხელისუფლება.

მახმუდ-ფაშის შემდეგ, უეჭველია, მთავრობა შესდგება უმთავრესად „ვაფდის“ პარტიის (ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტია) წარმომადგენლებისაგან. ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს არჩევნები, რომლებსაც შედეგად უნდა მოჰყვეს ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების ახალი საფუძვლების მოწონება. (ადს)

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

ჩინელ ბანდიტების თავდასხმა გრძელდება

საბაროვსკი, 3 ოქტომბერი. ჩინელი ჯარისკაცები და თეთრგვარდიელები კვლავ უშენენ ტყვიებს მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებთ და ხელს უშლიან გლეხების მშვიდობიან შრომას. სოფელ პოლტავკის რაიონში გროდეკოვოდან 40 კილომეტრის მანძილზე, სისტემატიურად უშენენ ტყვიებს „ოქტომბრის“ კოლმეურნეობის მომუშავეებს. (ადს.)

ჩიტა, 3 ოქტომბერი. 2 ოქტომბერს განთიადისას ჩინელი ჯარისკაცები, ბატალიონზე მეტი, არტილერიის დახმარებით გადმოვიდნენ ჩვენს საზღვარზე და თავს დაესხნენ ჩვენ მცველ რაზმს. მცველმა რაზმმა ჩინეთის ჯარის ნაწილები განდევნა. ორივე მხრიდან არიან მოკლულნი და დაჭრილნი. (ადს).

ჩიტა, 3 ოქტომბერი. 29 სექტემბერს სადგურ ბორზიას რაიონში, აგრეთვე დაურიას რაიონში დაფრინავდა ჩინეთის აეროპლანი. ამავე დღეს ჩინელი ჯარისკაცების ჯგუფი ბუგუტურის რაიონში თავს დაესხა ჩვენს სანაპირო რაზმს. თავდასხმა მოგერიებულ იქნა მოსაზღვრე რაზმის სროლით. (ადს).

ხაბაროვსკი, 3 ოქტომბერი. ჩინელი ჯარისკაცები ტყვიებს უშენდნენ ჩვენს სანაპირო რაზმელებს იმანის სადგურის რაიონში. ჩინელების სროლა შეწყდა ჩვენი საპასუხო სროლის შემდეგ. (ადს).

რუსების რეგისტრაცია

პეკინი, 3 ოქტომბერი. როგორც „ნორტ ჩაინა სტარ“-ი იუწყება, ტიანძინში მცხოვრებ რუსებს წინადადება მიეცა—ორი თვის ვადაში რეგისტრაციაში გატარდნენ. (ადს).

გონივრული რჩევა ნანკინელებს

პეკინი, 2 ოქტომბერი. „ნორტ ჩაინა დეილი მეილ“-ი ფიქრობს, რომ ცნობა საბჭოთა სამი მოქალაქის, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ყოფილი მოსამსახურეების, დახვრეტის შესახებ სინამდვილეს შეეფერება. გაზეთი ურჩევს ნანკინის მთავრობას — შესწყვიტოს წვრილმანი შევიწროების პოლიტიკა, ვინაიდან ყველაფერს აქვს საზღვარი.

გაზეთი სწერს: „ვერავინ ვერ შეუშლის ხელს რუსეთს მოახდინოს იმის დემონსტრაცია, თუ როგორ სწარმოებს ნამდვილი ომი“. (ადს).

შტრეზემანის გარდაცვალება

ბერლინი, 2 ოქტომბერი. ღამით უეცრად გარდაიცვალა შტრეზემანი

—:—

შტრეზემანი

—:—

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი და გერმანიის ყოფ. რეიხსკანცლერი შტრეზემანი ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო „სახალხო“ პარტიის „მემარცხენე ფრთისა“, რომლის მარჯვენა ფრთაზე იდგა გუგო სტინესი—შტრეზემანის ანტიპოდი პარტიაში.

შტრეზემანი გამოვიდა წვრილი ბერლინელი ვაჭრის ოჯახიდან. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან პოლიტიკური კარიერა დაიწყო გერმანიის ბურჟუაზიის მარცხენა ფრთაზე. იგი ჯერ ეკუთვნოდა პასტორ ნაუმანის პატარა პარტიას, ეგრედწოდებულ „ნაციონალ-სოციალურ“-ს, რომელიც ცდილობდა დაეყენებინა გერმანიის იმპერიალიზმი შინაური რეფორმების გზაზე. მაგრამ შტრეზემანმა მალე დასტოვა ეს პარტია, თავი დაანება ყოველგვარ თამაშს რეფორმების გარშემო და შევიდა ნაციონალ-ლიბერალურ პარტიაში, რომელიც ომამდე გერმანიის იმპერიალიზმის მთავარ პარტიას წარმოადგენდა.

შტრეზემანი **საქსონიის** დამმუშავებელი მრეწველობის საზოგადოების მდივანი იყო და ამ საზოგადოების შემწეობით პარლამენტში გავიდა, როგორც ნაციონალ-ლიბერალური პარტიის კანდიდატი. აქ იგი მეტისმეტად სასარგებლო მუშაკი გამოდგა საზოგადოებისათვის (სადაც იგი მსახურობდა), რადგან პარტიაში მუდმივი ბრძოლა სწარმოებდა მძიმე და დამმუშავებელი მრეწველობის წარმომადგენელთა შორის, რომლებსაც ერთი-მეორის საწინააღმდეგო შინაური და საგარეო პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ.

შტრეზემანი მალე გადაიქცა პარტიის ლიდერად პარლამენტში; ომის დროს იგი მხურვალედ იცავდა ბოლომდე ომის საჭიროებას და თაოსნობა გამოიჩინა წყალქვეშა ომის საქმეში ინგლისის წინააღმდეგ.

ომის შემდეგ შტრეზემანმა პარტია გარდაქმნა „სახალხო“ პარტიად, მაგრამ თვით პარტიაში ძლიერდებოდა მძიმე ინდუსტრიისა და მისი ბელადის სტინესის გავლენა. ეს უკანასკნელი პარტიის შიგნით აშკარად ატარებდა ანტირესპუბლიკანურ ხაზს, ხოლო საგარეო პოლიტიკაში ჰქადაგებდა ვერსალის იმ „უმსგავსი“ ხელშეკრულების უარყოფას, რომელიც მუხანათურად დასდეს სოციალ-დემოკრატებმა. შტრეზემანი იცავდა საშუალო ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელიც უფრო და უფრო იძარცვებოდა სტინესის კონცერნების წყალობით; იგი ებრძოდა სტინესის პოლიტიკას და ამ ბრძოლაში ეყრდნობოდა კონცერნებს ოტო ვოლფისა და ლიტვინისა, რომლებიც სუბსიდიებს აძლევდნენ სტინესისაგან დამოუკიდებელ შტრეზემანის პრესას. სტინესის პრესის მიერ შეწუხებულმა შტრეზემანმა, როგორც „კაპიტულიანტმა“ და სოციალ-დემოკრატებთან „შემთანხმებელმა“ ჯერ თავისი კაბინეტის რეფორმა მოახდინა, შემდეგ კი პრემიეროპა დაუთმო სტინესისათვის ნაკლებად საშიშ მოწინააღმდეგეს ვილჰელმ მარქსს. მარქსს ამოფარებულმა შტრეზემანმა გერმანიის სრული კაპიტულიაცია მოახდინა „მეორე ვერსალში“—ლონდონის კონფერენციაზე 1924 წლის აგვისტოს.

საფრანგეთის კაპიტალისტების სასიამოვნოდ შტრეზემანი ცდილობდა ჩაეშალა ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ამ მიზნით 1924 წლის ივნისში პროვოკაციული თავდასხმა მოაწყო ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობაზე. საერთოდ იგი ისეთ პოლიტიკას მისდევდა, რომლის მიზანი იყო ანტანტისა და გერმანიის კაპიტალთან თანასწორად შეგუება.

მუშათა პარტიის ყრილობაზე

ბრაიტონი, 2 ოქტომბერი. მუშათა პარტიის ყრილობაზე ჰენდერსონის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წარმომადგენელნი შეეკითხნენ ჰენდერსონს— მართლა შეუდგება თუ არა მთავრობა სრული განიარაღების პოლიტიკის განხორციელებას. ჰენდერსონმა უპასუხა: „მთავრობა თავს არ იტყუებს. იგი ცდილობს განახორციელოს ეს პოლიტიკა, მაგრამ ამავე დროს მთლად ვერ აიღებს ხელს შეიარაღებაზე. სულ სხვა საქმეა ის, რომ ადამიანის ბუნებას სჩვევია მიზნების დასახვა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე შესაძლო გახდება მათი განხორციელება“.

ბრაიტონი, 2 ოქტომბერი. რადგან ბრაიტონის ყრილობა თავს იკავებს მუშათა მთავრობის კრიტიკისაგან, ინგლისის კომპარტია ყოველდღე უშვებს ყრილობის დელეგატებისათვის ფურცლებს, რომლებშიაც განმარტავს კომპარტიის თვალსაზრისს ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხების შესახებ. (ადს)

უმუშევართა მდგომარეობის გაუარესება

ბერლინი, 2 ოქტომბერი. რეიხსტაგმა, კომპარტიის ხმების წინააღმდეგ, პირველი წაკითხვის დროს მიიღო სოციალ-დემოკრატების, დემოკრატების, ცენტრის და ბავარიის სახალხო პარტიის წინადადება, რომელიც უფრო მეტად აუარესებს უმუშევართა მდგომარეობას. (ადს)

ფეიქრებმა განაახლეს ბრძოლა

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. მარიონში (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) ფეიქართა კავშირმა კვლავ გამოაცხადა გაფიცვა, რადგან დამქირავებლებმა უარი სთქვეს დაებრუნებიათ სამუშაოზე წინანდელი გაფიცვის აქტიური მონაწილენი. **მოხდა შეტაკება გაფიცულებსა და შტრეიკბრეხერებს შორის.** შტრეიკბრეხერების დასაცავად გამოსულმა პოლიციელებმა მოჰკლეს 2 ფეიქარი, სასიკვდილოდ დასჭრეს ორი, ხოლო მსუბუქად —12. დაშავდა აგრეთვე ორი პოლიციელი.

სას.-სამ. მუშების მოთხოვნილება

ლონდონი, 2 ოქტომბერი. ინგლისის სასოფლო-სამეურნეო მუშების მდგომარეობა მომავალ ზამთარში ძალიან მძიმე იქნება ბოსტნეულობისა და ძირნაყოფიანი მცენარეულობის მოუსავლიანობის გამო. სასოფლო სამეურნეო მუშები შეტანილი არ არიან მთავრობის იმ სქემაში, რომელიც შეეხება უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენას. პროფკავშირმა გადასწყვიტა დეპუტაცია გაგზავნოს მიწათმოქმედების სამინისტროში და მოსთხოვოს მთავრობას, რომ უმუშევართათვის დახმარების კანონი გავრცელდეს სასოფლო-სამეურნეო მუშებზე. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

„ძირს მილიტარისტი ჩან-კაი-ში“

ტოკიო, 2 ოქტომბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ნანკინში საშიში მდგომარეობაა: ქალაქში ავრცელებენ ფურცლებს, რომლებსაც სათაურად აქვთ „ძირს ახლად გამოჩეკილი მილიტარისტი ჩან-კაი-ში“. (ადს)

ხმები ფან ჩენ-უს დახვრეტის შესახებ

ტოკიო, 2 ოქტომბერი. როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, უხეში შეტაკება მოხდა ფან-ჩენ-უს დივიზიის ნაწილებსა და ნანკინის ჯარს შორის, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა აღნიშნული დივიზიის განიარაღება. იმ დივიზიის უფროსი, რომელსაც ჩან-კაი-შიმ განიარაღება დაავალა, ფან ჩენ-უს ჯარისკაცებმა მოჰკლეს. სააგენტოს სიტყვით, დახვრიტეს ფან ჩენ-უ, რომელიც ნანკინში იყო. (ადს)

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის დადგენილებები

ი. კასუმოვის შესახებ

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. იუსუფ კასიმოვი, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრი 1918 წლიდან, ყოფილი სოფლის მასწავლებელი, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი.

დაადგინეს: ამხ. ცეიტლინის და სხვათა შემადგენლობით გამოყოფილი კომისიის მიერ მოხდენილი შემოწმების თანახმად, „კომსომოლსკაია პრავდა“-ს 4 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ იუსუფ კასუმოვი მუსავატელთა პარტიას ეკუთვნოდა არ შეეფერება სინამდვილეს. (ადს)

ამხ. ლევონ მირზოიანის შესახებ

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. მირზოიანი ლევონ ისაის ძე, საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრი 1917 წლიდან, მოსამსახურე, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, კანდიდატი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობაზე.

დაადგინეს: ამხ. მირზოიანს, რომელმაც თავისი მამისა და ბიძისათვის პროტექციის გაწევით (ბარათები 1923—25 წლ.) უხეში შეცდომა ჩაიდინა, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური. (ადს)

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა

სოხუმი, 3 ოქტომბერი. შესდგა აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმის სხდომა, რომელმაც გამოჰყო პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა — 11 წევრი და 2 კანდიდატი, ნაცვლად 27 კაცისა.

პრეზიდიუმის შემადგენლობაში შევიდნენ: **ამხ. მელაძე, ლაკობა, ჩანბა, მალანია, ჭოლოკუა; მელიქსეტოვი, ლაგვილავა, ინაშვილი, ჩალმაზი, ზანთარია და პრილიპკო. კანდიდატებად—ამხ. ვარდანია და მიშაკოვი.**

საოლქო კომიტეტის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნა დამენია და სუკოიანი.

საოლქო კომიტეტის პლენუმმა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოხსნილ შანბას ნაცვლად, ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულად წამოაყენა ამხ. **ალანია**. (ადს).

მუშათა ცენტრ. კოოპერატივის მუშაკთა საქმე

ბაქო, 2 ოქტომბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის გაერთიანებულმა სხდომამ მოისმინა იმ კომისიის მოხსენება, რომელმაც გამოიკვლია ბაქოს მუშათა ცენტრალური კოოპერატივის შესახებ ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებული მასალა. გაერთიანებული სხდომა აღნიშნავს, რომ დადასტურდა ბრალდება მუშათა ცენტრალური კოოპერატივის ზოგიერთი მუშაკისა და ხელმძღვანელის მიმართ ცალკე დებიტორთაგან დავალიანების არასაკმაოდ ენერგიულად გადახდევინებაში, სუსტ ბრძოლაში ფლანგვასთან და თანხების დაკლებასთან (ცალკე შემთხვევებში) და უმართებლო საქციელში (ქეიფში მონაწილეობა). ხოლო ის ბრალდება, რომ მუშათა ცენტრალური კოოპერატივი ბოროტმოქმედთა ხელშია, რომ მუშათა ცენტრალური კოოპერატივი ოჯახური კოოპერატივია, ცნობილ იქნა დაუსაბუთებლად.

შემდეგ გაერთიანებული სხდომა აღნიშნავს, რომ მუშათა ცენტრალურ კოოპერატივს აქვს მრავალი თვალსაჩინო მიღწევა, რაც გამოიხატა სავაჭრო ბრუნვის გადიდებაში (სავაჭრო ბრუნვა 1925—26 წელს უდრიდა 37.130.000 მანეთს, ხოლო 27—28 წელს—95.000.000 მანეთს), კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცებაში და მომხმარებელთა მომარაგების თვალსაჩინოდ გაუმჯობესებაში.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და აზერბეიჯანის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა:

მუშათა ცენტრალური კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **პიტერსკი**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრი 1919 წლიდან, რომელმაც ენერგიული ზომები არ მიიღო დებიტორებისათვის დავალიანების გადასახდევინებლად, აგრეთვე ზოგიერთ მფლანგველებთან საბრძოლველად, და რომელსაც ბრალდება უმართებლო საქციელი (ქეიფში მონაწილეობა, კონიაკის გამოწერა მუშათა ცენტრალური კოოპერატივის ხარჯზე პირადი საჭიროებისათვის,)—**გამორიცხულ იქნას აზერბეიჯანის კომპარტიის რიგებიდან.** მაგრამ, ვინაიდან მუშათა ცენტრალურ კოოპერატივს პიტერსკის ხელმძღვანელობის დროს აქვს მრავალი უდიდესი მიღწევა და ვინაიდან პიტერსკიმ აღიარა თავისი და გამგეობის შეცდომები, შესაძლებლად ჩაითვალოს ამ გადაწყვეტილების გადასინჯვა, ერთი წლის შემდეგ, თუ უჯრედი შუამდგომლობას აღძრავს.

მუშათა ცენტრალური კოოპერატივის გამგეობის წევრი და საორგანიზაციო განყოფილების გამგე **მამედ შირ ბაბაევი**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრი 1919 წლიდან, რომელიც ენერგიულ ზომებს არ იღებდა დებიტორთათვის დავალიანებათა გადასახდევინებლად, მონაწილეობას იღებდა ქეიფში, არ მიმართავდა ზომებს მუშათა ცენტრალური კოოპერატივის გასაწმენდად—**გამორიცხულ იქნას აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) რიგებიდან და მოხსნილ იქნას თანამდებობიდან.**

გამოეცხადა სასტიკი საყვედური მუშათა ცენტრალური კოოპერატივში მუშაობიდან მოხსნით გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს **აზიზოვს**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრს 1922 წლიდან, საორგანიზაციო განყოფილების გამგეს **კოვალიოვს**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრს 1928 წლიდან, რომელსაც ბრალდება სისტემატიური ლოთობა და ზომების არ მიღება აპარატის გასაწმენდად, და საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორს **პიატიგორსკის**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) 1921 წლიდან.

გამოეცხადა სასტიკი საყვედური **სმორგონსკის**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრს 1920 წლიდან და მუშათა ცენტრალური კოოპერატივის ინსპექტორს **ოსიპოვს**.

გამგეობის წევრ **პახომოვს**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრს 1919 წლიდან, შენიშვნა მიეცა დებიტორებისათვის დავალიანების გადასახდევინებლად ზომების არ მიღებისა და ამ დავალიანების ჩამოწერაში მონაწილეობის მიღების გამო.

გამოეცხადა საყვედური გამგეობის წევრს და სატრანსპორტო განყოფილების გამგეს **ჯაფაროვს**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრს 1919 წლიდან.

თანამდებობიდან მოიხსნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ვორობიოვი**, აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) წევრი 1924 წლიდან, რომელმაც ჯეროვანი სიმტკიცე არ გამოიჩინა გამგეობის მუშაობაში არსებული ნაკლის აღმოსაფხვრელად.

თანამდებობიდან მოიხსნენ მუშათა ცენტრალური კოოპერატივის მთავარი ბუღალტერი **ოგანიანი**, მაღაზიის გამგე **მარქაროვი**, აზერბეიჯანის კომპარტიის წევრი, და საინსტრუქტორო ქვე-განყოფილების გამგე **კლევშჩინსკი**.

კულტმუშაობის ინსტრუქტორს **ლევიტს** და სამეურნეო ნაწილის გამგეს **პოლივანოვს** საყვედური გამოეცხადა.

საქმე ბოსტნეულის ბაზისში 60.000 მანეთის დანაკლისისა და კონტრაგენტობის სისტემის არასწორად განხორციელების შესახებ, გადაეცა პროკურატურას.

ამასთან ერთად აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი სთხოვს აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს —გასცეს დირექტივა მუშათა ცენტრალური კოოპერატივის რწმუნებულთა კრების სასწრაფოდ მოწვევისა და კოოპერატივის გამგეობის გადარჩევის შესახებ და დაავალოს ახალ გამგეობას შეიმუშაოს სხვადასხვა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ საქმიანი თვითკრიტიკა და კონტროლი კოოპერატიული საზოგადოებრიობის მხრივ, მასიური მუშაობის გაშლა და წარმოების მუშათა დაწინაურება კოოპერატიული სისტემის ყველა საფეხურში სამუშაოდ. (ადს)

მ ო ს კ ო ვ ი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„კაპიტულიაცია მოსკოვის წინაშე“

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. „იზვესტია“-ს ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება:

ჰენდერსონისა და ამხ. დოვგალევსკის შორის მომხდარი შეთანხმება დიდ გამოძახილს პოულობს ინგლისის პრესაში, გარდა კონსერვატიულ გაზეთებისა. მხოლოდ ერთ-ერთი კონსერვატიული გაზეთი ათავსებს ამ საკითხზე წერილს, რომელსაც სათაურს უკეთებს: „კაპიტულიაცია მოსკოვის წინაშე“. დანარჩენი კონსერვატიული გაზეთები ჯერ-ჯერობით გაჩუმებული არიან.

მაკდონალდის მთავრობის პოზიციის შეცვლა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ინგლისის საქმიანი წრეების გამოფხიზლებას მოწმობს. მრეწველობის ერთერთი ხელმძღვანელი ლიბერალური ორგანო სწერს, რომ საქმიანი წრეები აღტაცებით შეეგებებიან ჰენდერსონ-დოვგალევსკის შეთანხმებას, რადგან **ეხლანდელი მდგომარეობა მათ დიდ ზარალს აყენებს.** გაზეთის სიტყვით შეთანხმების მეორე დადებით ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ **საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოწესრიგება შეანელებს მუშების უკმაყოფილებას.**

მაკდონალდის მთავრობას იმედი აქვს, რომ მის პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხში მხარს დაუჭერენ თემთა პალატაში ლიბერალები და კონსერვატორების ერთი ნაწილი.

რა სტკივათ პანევროპის იდეის ავტორებს

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი გადმოგვცემს:

„ბერლინერ ტაგებლატ“-ში მოთავსებულია ინტერვიუ გერმანიის დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარე **კოხთან**, რომელიც ეხება პანევროპის შექმნის პროექტს. კოხი აცხადებს, რომ ევროპის კონტინენტის გაერთიანება აუცილებელია ევროპის კულტურის გადასარჩენად და ევროპის ხალხების მატერიალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად. გაერთიანებაში უნდა შევიდეს ყველა სახელმწიფო, რომელსაც თავისი თავი ევროპის სახელმწიფოდ მიაჩნია. **საბჭოთა კავშირი გაეყო ევროპას, საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ სახელმწიფოებს შორის გაწყვეტილია თითქმის ყველა სულიერი კულტურ. კავშირი. სანამ საბჭოთა კავშირი არ წავა სხვა მიმართულებით, შეუძლებელი იქნება მისი მიღება ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებაში.** ინგლისი კი უნდა შევიდეს პანევროპიულ გაერთიანებაში, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

კოხის საუბართან ერთად „იზვესტია“-ს მოჰყავს წერილი ფრანგ ჟურნალისტის ზაუერვაინისა, რომელიც ცნობილია, როგორც ბრიანის აზრის გამომხატველი. ევროპის სახელმწიფოების შეკავშირება, სწერს ზაუერვაინი, არ ისახავს მიზნად ბრძოლა გამოუცხადოს ამერიკას ეკონომიურ სფეროში, ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანების შემდეგ საბჭოთა კავშირს დარჩება ერთად-ერთი გზა; ეს ის, რომ მან უარი სთქვას თავის მართვა-გამგეობის მეთოდებზე.

პროლეტმწერლები ლენინიზმის სადარაჯოზე

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაფართოებულ პლენუმის ფრაქციამ იქონია მსჯელობა შინაპარტიულ მდგომარეობაზე და გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც ფრაქცია მთლიანად იწონებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზს, ჰკიცხავს მემარჯვენე-ოპორტუნისტულ გადახრას და მოუწოდებს პროლეტარულ მწერლებს კიდევ უფრო მტკიცედ შემჭიდროვდნენ კომუნისტური პარტიის ირგვლივ.

ფრაქცია სცნობს, რომ შაცკინის, სტენის და ქსენოფონტოვის წერილები, რომელნიც დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში, წარმოადგენენ პარტიის წინააღმდეგ მიმართულ დოკუმენტებს. ფრაქცია ერთხელ კიდევ მიმართავს პროლეტარულ ასოციაციის წევრ-კომუნისტებს და კომკავშირელებს გადაუხრელად გაატარონ პარტიის ხაზი მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე.

ქართულ ტერნაწილების მანევრები

მანევრები დამთავრდა

„ბრძოლა" კოჯორის უღელტეხილის დასაპყრობად დაიწყო 2 ოქტომბერს დილიდან.

„ლურჯების" ლეგიონი, რომელიც გამაგრებული იყო ხაზზე—სიმაღლეზე 430,2—სამერგე-შავნაბადა, იძულებული შეიქნა დაეხია უკან, მიუხედავად იმისა, რომ ლეგიონს ეკავა საუკეთესო პოზიციები და კარგად მოქმედებდა. ლეგიონის უკან დახევა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ „ლურჯების" დამხმარე ნაწილებმა მარცხენა (კრწანისი) და მარჯვენა (ხატის თელეთი) ფრთებზე დასტოვეს თავისი პოზიციები.

„ლურჯები" 2 ოქტომბრის ნაშუადღევის 3 საათამდე მამაცად იგერიებდნენ „მოწინააღმდეგეს", არ აძლევდნენ წინ წაწევის საშუალებას, რადგან მათთვის საჭირო იყო დროს მოგება პოზიციების ამოსარჩევად და გასამაგრებლად კოჯორის მაღლობებზე.

3 საათიდან, როდესაც კოჯორის მაღლობებზე მოთავებული იყო მუშაობა, ლურჯებმა დაიწყეს უკან დახევა და ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ კოჯორის უღელტეხილს. „წითლები" მიიწევდნენ წინ, მათი არტილერია განუწყვეტლივ მუშაობდა. „ლურჯები" თავისი მხრივ უპასუხებდნენ და არ აძლევდნენ საშუალებას ახლო მისულიყვნენ პოზიციებთან.

2 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე „ბრძოლა" შენელდა. ღამე ჩატარდა მშვიდათ.

3 ოქტომბერს დილის 8 საათზე „ბრძოლა" განახლდა „წითლების" იერიშით.

ამ დღეს გამოყენებული იყო არტილერია, ჯავშნოსნები, ქიმიური საშუალებანი, ფუგასები, მავთულ-ხლართი და სხვა.

„წითლებმა" რამდენჯერმე მიიტანეს იერიში „ლურჯებზე".

„ლურჯებმა" ვერ გაუძლეს „წითლების" არტილერიის ძლიერ ცეცხლს და დასტოვეს კოჯორის მიდამოები.

ამით დამთავრდა მეორე ქართ. მსრ. დივიზიის მანევრები.

„ბრძოლა" კოჯორის უღელტეხილისათვის

თითქმის 20 საათი გრძელდებოდა „ბრძოლა" „წითლებსა" და „ლურჯებს" შორის კოჯორის უღელტეხილისათვის.

„ლურჯები" საკმაოდ კარგად იყვნენ გამაგრებულნი კოჯორის აღმოსავლეთ ფერდობებზე, მათ ხელში იყო საუკეთესო პოზიციები და მაღლობები. ძნელი იყო „ლურჯების" განდევნა ამ მაღლობებიდან და „წითლებმაც" არ დაზოგეს ძალა და ღონე, რომ სისრულეში მოეყვანათ თავისი განზრახვა და დაეპყრათ კოჯორის მაღლობები.

2 ოქტომბერს, დილის 8 საათზე განახლდა „ბრძოლა" სიმაღლე 430,2-ის მიდამოებში. „ლურჯებს" აქ უმტყუნეს მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე მყოფმა მეზობლებმა და „ლურჯების" ლეგიონმა დაიხია ტაბახმელასაკენ, საიდანაც ლეგიონი ფიქრობდა დახევას და გამაგრებას კოჯორის მაღლობებზე.

„ლურჯების" სარდლობამ გადასწყვიტა, რაც არ უნდა დასჯდომოდა შეეჩერებინა „წითლების" წინსვლა, რომ მოეგო დრო კოჯორის მიდამოების დასათვალიერებლად და პოზიციების ამოსარჩევად.

ძნელი იყო ამ ამოცანის შესრულება, მაგრამ „ლურჯებმა" მაინც შესძლეს მისი სისრულეში მოყვანა, „ლურჯები" გამაგრდნენ ტაბახმელას აღმოსავლეთის მხრივ და იგერიებდნენ „წითლებს". ასე გრძელდებოდა 2 ოქტომბრის დღის პირველ საათამდე. 3 საათზე „ლურჯებმა" დაიწყეს დახევა კოჯორისაკენ. „ბრძოლის" ხაზი თანდათან უახლოვდებოდა კოჯორის უღელტეხილს და თვით „ბრძოლაც" განსაკუთრებულ მკაცრ ხასიათს ღებულობდა.

2 ოქტომბერს „ბრძოლამ" კოჯორის ფერდობებზე გასტანა თითქმის საღამოს 8 საათამდე. უკვე კარგად ბნელოდა, როცა მისწყდა თოფის სროლა და ზარბაზნების გრიალი.

როგორც „წითლებმა", ისე „ლურჯებმა" ღამე გაათიეს „ბრძოლის" ველზე, ისინი სდარაჯობდნენ თავის პოზიციებს და, ამავე დროს, ადევნებდნენ თვალყურს ერთმანეთის მოქმედებას.

3 ოქტომბერს, დილიდან, კვლავ დაიწყო „ბრძოლა".

კოჯორის მაღლობების დაცვა წარმატებით შეუძლია პატარა ნაწილსაც კი, თუ მის წინააღმდეგ იბრძვის ქვეითი ჯარი. მაგრამ, თუ მოწინააღმდეგის არტილერია ძლიერია, მაშინ ზარბაზნების ცეცხლი ანადგურებს მაღლობების დამცველ არტილერიას და ადვილათ იპყრობს კოჯორს.

„ლურჯების" სარდლობას, რომელიც წინა ბრძოლებით იცნობდა „წითლების" არტილერიას, იმედი ჰქონდა, რომ ადვილად მოიგერიებდა „წითლების" იერიშს თავისი საკუთარი საშუალებებით იმ შემთხვევაში, თუ „წითლები" არ მიიღებდნენ საიდანმე დახმარებას.

„ლურჯებმა" საუკეთესოდ გაამაგრეს კოჯორის უღელტეხილი. მაღლობებს იცავდა მავთულხლართი, ფუგასები მრავლად იყო გაფანტული იმ ადგილებში, სადაც უნდა გაევლოთ „წითლებს", შესაძლებელი იყო შარა გზის გაფუჭება. მთელი მიდამო მოწამლული იყო შხამიანი გაზებით.

„ლურჯების" არტილერია და ტყვიამფრქვევები საუკეთესოდ იყვნენ შენიღაბებულნი.

„წითლებმა" დაიწყეს წინსვლა 3 ოქტომბერს, დილის 7 საათზე.

„ლურჯებმა" ააფეთქეს შარა გზა, რომ მოესპოთ მოძრაობის საშუალება მოწინააღმდეგის ჯავშნოსნებისათვის. „წითლების" არტილერია განუწყვეტლივ მუშაობდა.

ბოლოს ფარდის საშუალებით „წითლებმა" შესძლეს ახლო მისვლა მოწინავე ხაზთან და უეცრივ გადავიდნენ შეტევაზე. „ბრძოლა" გაცხარდა. ჰაერს ხრყევდა გამუდმებითი სროლა თოფებიდან, ზარბაზნებიდან, ტყვიამფრქვევებიდან. „წითლების" იერიში იყო მკაცრი და მიუხედავად წინააღმდეგობისა „ლურჯების" მხრივ, „წითლები" მიიწევდნენ ზევით, კოჯორისაკენ.

ბევრ ადგილას „ლურჯები" გადავიდნენ კონტრ-იერიშზე, მაგრამ უშედეგოთ. აშკარა გახდა, რომ „წითლები" გაცილებით მეტი იყვნენ, ვიდრე „ლურჯები".

„წითლების" არტილერიამ აიძულა „ლურჯების" არტილერია დაეტოვებინა თავისი ბუდეები და გადაენაცვლა ადგილი.

„ლურჯები" თანდათან მიიწევდნენ სიმაღლე 600-კენ, სადაც ფიქრობდნენ გამაგრებას. „წითლები" განუწყვეტლივ გადადიოდნენ იერიშზე და ავიწროვებდნენ მათ. „ლურჯებმა" მალე დაჰკარგეს თითქმის ყველა სიმაღლეები და დაიწყეს უკან დახევა. ამან გადასწყვიტა კოჯორის უღელტეხილის ბედიღბალი.

მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, „ლურჯები" იძულებულნი იყვნენ დაეხიათ კოჯორის დასავლეთით და დაეტოვებიათ მოწინააღმდეგისათვის კოჯორის მიდამოები.

კოჯორის უღელტეხილი დღის 12 საათისათვის „წითლების" ხელში იყო.

მ. ხუციშვილი.

კოჯორი, 3 ოქტომბერი.

ამხ. ავქსენტიევსკი მანევრებზე

3 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, „წითლებმა" დაიწყეს უკანასკნელი შეტევა კოჯორის უღელტეხილის დასაპყრობად. დაიწყო თუ არა შეტევა, ფრონტზე გამოჩნდა კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის სარდალი ამხ. ავქსენტიევსკი.

ამხ. ავქსენტიევსკი თვალ-ყურს ადევნებდა მანევრების უკანასკნელ ეტაპს. იგი ესაუბრება მანევრების მსვლელობის შესახებ დივიზიის მეთაურს ამხ. გიორგაძეს და მთელ რიგ მეთაურებს და პოლიტ-მუშაკებს.

ამხ. ავქსენტიევსკი დარჩა ფრონტზე მანევრების დამთავრებამდე. მან ჩვენი გაზეთის თანამშრომელს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის მუშაობისა და მდგომარეობის შესახებ.

მიმდინარე წელს — სთქვა ამხ. ავქსენტიევსკიმ — არმიის პასუხისმგებელ ამხანაგების მიერ გამოკვლეულ იქნა დივიზიის მდგომარეობა. გამოკვლევის მასალები და მანევრები გვიჩვენებენ, რომ დივიზია საგრძნობლად გაიზარდა ყოველ მხრივ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეთაურებს უდიდესი მიღწევები აქვთ. მებრძოლნი და უნცროსი მეთაურები — ცვალებადნი იჩენენ უაღრეს აქტიობას და ინტერესს სწავლებისადმი.

უდიდესი მიღწევები აქვს დივიზიას სასროლო საქმეში. ორი ლეგიონის სროლის შეფასება სავსებით ახასიათებს სასროლო საქმის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობას დივიზიაში. კერძოდ, სროლამ ტყვიამფრქვევებიდან დაამტკიცა, რომ დივიზია ამ მხრივ მაღლა სდგას ზოგიერთ საკადრო ნაწილებზე.

რეალური მიღწევები და საგრძნობი ზრდაა შემჩნეული აგრეთვე ტაქტიკურ სწავლების დარგში. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ტაქტიკურ მომზადებაში არის ზოგიერთი ნაკლი. ეს აიხსნება იმით, რომ დივიზიას ძალიან ცოტა დრო ჰქონდა მომზადებისათვის. მომავალში ეს ნაკლი გამოსწორებული უნდა იქნეს".

ამხ. ავქსენტიევსკიმ დიდის კმაყოფილებით აღნიშნა დივიზიის მთელი შემადგენლობის ამტანიანობა და მხურვალე მონაწილეობა დივიზიის მთელ საქმიანობაში.

ამხ. ავქსენტიევსკიმ აღნიშნა, რომ დივიზიის პოლიტიკურ - მორალური მდგომარეობა სავსებით მტკიცეა და ხელს უწყობს სწავლების და აღზრდის მთავარ და საპასუხისმგებლო ეტაპებს.

შეეხო რა დისციპლინას, ამხ. ავქსენტიევსკიმ სთქვა, რომ დისციპლინა დივიზიაში სავსებით დამაკმაყოფილებელია.

დივიზიის ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა — სთქვა ამხ. ავქსენტიევსკიმ — არის ახალი საკუთარი ბანაკის მოწყობა, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია დივიზიის სწავლებასა და მომზადების ნორმალურ მსვლელობაზე.

დასასრულ ამხ. ავქსენტიევსკიმ სთქვა:

„ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული დივიზია წარმოადგენს საბრძოლო მსხვილ ერთეულს და იგი მზად არის ბრძოლისათვის".

არმიის სარდალმა უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნა მებრძოლების მუშაობა, მათი აქტიობა და ინტერესი სწავლებისადმი და სთხოვა ყველა რედაქციებს გაზეთების საშუალებით გადასცენ მებრძოლებს მისი უღრმესი მადლობა.

მიზანი მიღწეულია

(საუბარი დივიზიის მეთაურ ამხ. გიორგაძესთან)

მანევრების შედეგების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურს ამხ. გიორგაძეს, რომელმაც შემდეგი სთქვა:

დივიზიამ დღეს დაამთავრა თავისი მანევრები. სავსებით შესაძლებელი გახდა იმ სამოსწავლო მიზნების განხორციელება, რაც დასმული იყო მანევრებზე გასულ ნაწილების წინაშე.

არმიის ნაწილებმა გამოიჩინეს სრული დისციპლინა და ამტანობა მანევრების ფრიად რთულ პირობებში, რაც იყო შექმნილი უამინდობის, უგზოობის და უხერხული ადგილმდებარეობის გამო.

ჯარები 36 საათის განმავლობაში, კოკისპირული წვიმის ქვეშ და მუხლებამდე ტალახში ამოსვრილი ასრულებდნენ განკარგულებებს ისე, რომ მათ სრულებით არ დაუკარგავთ სულის სიმხნევე და ხალისი. მანევრებმა ცხადჰყო, რომ ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზია სწრაფი ტემპით იზრდება.

მანევრებმა გამოააშკარავა მებრძოლებისა და უფ. შემადგენლობის აქტიური დამოკიდებულება სამხედრო მომზადების ამოცანებისადმი. ყოველდღიური-განუწყვეტელი მონაწილეობა და დახმარება პარტორგანიზაციებისა და პოლიტორგანოების მხრივ მთელი სამოსწავლო საბრძოლო საქმისადმი.

დივიზიამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ სწრაფად მოაწყოს ხიდები ისეთ მდინარეზე, როგორიც არის მტკვარი და გადავიდეს მასზე; მან ცხადჰყო, რომ შეუძლია შეუტიოს დამაგრებულ მოწინააღმდეგეს, შეიჭრას მის ფლანგებში და აწარმოოს ბრძოლა მოსაგერიებელი რაიონის შიგნით.

საერთოდ და მთლიანად შეიძლება ითქვას, რომ მანევრებმა გამოააშკარავა დივიზიის სავსებით დამაკმაყოფილებელი საბრძოლო მომზადება.

—:—

დღეს, 4 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, კოჯორში შესდგება ჩატარებული მანევრების გარჩევა, რომელსაც დაესწრება კავკ. წით.-დრ. არმიის სარდალი ამხ. ავქსენტიევსკი. მანევრების გარჩევის შემდეგ ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული მსროლელი დივიზია თბილისზე გავლით გაემგზავრება ქვემო-ავჭალის ბანაკისაკენ.

დღის 2 საათზე სასახლის პირდაპირ გაიმართება მანევრებიდან დაბრუნებულ ნაწილების შეხვედრა.

—:—

მანევრების დროს გამოდიოდა დივიზიის სალაშქრო გაზეთი „ფრუნზელი", რომელიც დაწვრილებით აშუქებდა მანევრების მსვლელობას.

სულ გამოვიდა გაზეთ „ფრუნზელი"-ს ოთხი ნომერი.

მეორე ქართ. მსრ. დივიზიის ცვალებადი წითელარმიელები და მეთაურები, ბანაკში დაბრუნების შემდეგ, გაშვებული იქნებიან შვებულებაში მორიგ შეკრებამდე.

შემოდგომის თესვა

შემოდგომის თესვა უკვე დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში.--დასავლეთ საქართველოში თესვა იგვიანებს სათესლე მასალის უქონლობის გამო.—რკინის გზის ადმინისტრაცია თავისი დანაშაულებრივი დაუდევრობით ქმნის თესვის ჩაშლის საფრთხეს.—ყურადღება არ ექცევა საწვავი მასალის თავის დროზე მიწოდებას ადგილებისათვის.—კახეთში 29 სექტემბერს გაგზავნილი ნავთის ცისტერნები ჯერ ნავთლუღს არ გასცილებიან.—სასტიკად უნდა დაისაჯონ ის პირები, რომლებიც ასე ჩინოვნიკურად უყურებენ ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს.

თესვა დაიწყო

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებში დაიწყო თესვა. დასავლეთ საქართველოში თესვა იგვიანებს, ვინაიდან ჯერ - ჯერობით სათესლე მასალა კიდევ არ არის ადგილებზე მიღებული.

ისევ რკინისგზის მუშაობის შესახებ

ჩვენს გაზეთში არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ რკინის გზის უთავბოლო მუშაობით შეიძლება შეფერხდეს თესვის კამპანია, ვინაიდან სრულიად მოუგვარებელია ტრაქტორების საწვავი მასალის შემოზიდვა და ბაქოდან თბილისამდე ნავთის ცისტერნები გზაში რჩებიან თითქმის თვეობით. ჩვენი შენიშვნების შემდეგ შესდგა დაინტერესებულ ორგანიზაციათა თათბირი, რომელსაც რკინის გზის სამმართველომ სიტყვა მისცა, რომ თესვის კამპანიისათვის საჭირო მასალების გადაზიდვა იწარმოებს შეუფერხებლად და პირველ რიგში.

როგორც სჩანს ამ დაპირების შესასრულებლად რკინის გზის ადმინისტრაციას არავითარი ზომა არ მიუღია. ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ 24 სექტემბერს კახეთში გაგზავნილი ცისტერნები ჯერაც არ გასცილებიან ნავთლუღის სადგურს. კახეთში ვინაიდან მარაგი ილევა, ტრაქტორები იძულებული იქნებიან გასცდნენ.

დასავლეთ საქართველოსთვის გამოწერილი სათესლე ქვავი ჩრდილოეთ - კავკასიიდან გადმოგზავნილი იქნა 19 სექტემბერს. ხოლო ადგილებზე ჯერაც არ მიუღიათ და მგონი თვით რკინის გზამაც არ იცის, თუ სად იმყოფება ამჟამად ეს ტვირთი. დასავლეთ საქართველოში კი ამ სათესლე მასალის მოლოდინში ცდება თესვის საუკეთესო ალო.

თუ ასე გაგრძელდა, შემოდგომის თესვის წარმატებით ჩატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. რკინის გზის ადმინისტრაცია, რომელმაც დიდი დაპირებები მოგვცა თესვისათვის ხელის შეწყობის შესახებ, ვალდებულია დროზე გამოასწოროს ეს ნაკლი და პასუხი მოსთხოვოს იმ პირებს, რომლებიც ასეთი დანაშაულებრივი გულგრილობით და უთავბოლობით საფრთხეს უმზადებენ ამ დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმეს.

ნ.—ძე.

დაყოვნება დანაშაულია

(წერილი კახეთიდან)

კახეთის ოლქის საშემოდგომო თესვის გეგმა ითვალისწინებს 79,517 ჰექტარის ხორბლეულით დათესვას, ე. ი. სათესი სივრცის გადიდებას 15 პროცენტით (შარშან იყო 69,145 ჰექტარი). მოსავლიანობის გადიდება, ჩასატარებელ ღონისძიებათა ეფექტიანობის მიხედვით, უნდა მოხდეს 9 პროცენტით. საოლქო გეგმა შედგენილია თემებიდან მოწოდებულ გეგმების საფუძველზე, ასე რომ, როგორც ოლქს, ისე თემებს და სოფლებს გარკვეულად დასახული აქვთ მთელი ის საქმიანობა, რომელიც გაწეულ უნდა იქნეს საშემოდგომო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

თავის - თავად ცხადია, რომ ასეთი დიდი გეგმის 100 პროცენტით შესრულება მოითხოვს დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისაგან ყველა ძალების დაჭიმვას, ენერგიულ და შეუწყვეტელ მუშაობას. სამწუხაროდ, ჩვენ ამას არ ვხედავთ.

რამდენი რა გვაქვს გასაკეთებელი! პირველად უნდა გაირჩეს ტრიერებში და მოიწამლოს 40 პროც. მთელი სათესლე მასალისა, რომელიც შემოდგომაზე დაითესება, ე. ი. 5.000 ტონამდე. ეს რაოდენობა ოლქში მყოფ ტრიერების საშუალებით (138 ცალი) ადვილად შეიძლება გაწმენდილი ყოფილიყო, თუ დროზე ე. ი. პურის აღების თანავე, დავიწყებდით ტრიერების გამოყენებას. ეხლა უკვე სექტემბერი თავდება და ტრიერების 50 პროცენტიც არ არის დატვირთული. ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები და ბევრგან პირადადაც შევამოწმეთ, რომ ტრიერები ცდებიან. საოლქო გეგმის მიხედვით უნდა მოწყობილიყო 10 მოძრავი პურის სარჩევი პუნქტი, ჯერ კი 4-ზე მეტი არ არის მოწყობილი.

15,000 ფუთი ხორბალი, გადმოცემული ოლქზე ცენტრალურ კომისიის მიერ, განაწილებულ იქნა 13 სას.-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას შორის. ზოგმა ეს ხორბალი უკვე მიიღო, ზოგს კიდევ არ გადაუბარებია, იგვიანებენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს სათესლე ხორბალი გაუწმენდავია. ტრიერები კი უქმად სდგანან. ამავე დროს, საოლქო აღმასკომის დადგენილების თანახმად, სათესლედ გაურკვეველი თესლის გაცემა არ შეიძლება გლეხებზე. ნუ თუ საკრედიტო ამხანაგობები იმას უყურებენ, რომ გლეხებმა წვრილ - წვრილად თვითონ გაარჩიონ თესლი?... ჩვენი შემოწმებით, ზოგან მომარაგებული თესლი სათესლეთ არ ვარგა, რადგან ერთმანეთში არეულია სხვადასხვა ჯიშის მარცვლები (შემოდგომის—გაზაფხულის თესლი, დიკა, დოლის პური და სხვა). აშკარაა, რომ ასეთი თესლი მოსავლის მომატებას არ მოგვცემს. საჭიროა და აუცილებელი, რომ უბნის აგრონომებმა, ან მათი დახმარებით თესვის სამეულებმა წინასწარ შეამოწმონ სათესლეთ მიღებული მასალა მისი ვარგისიანობის მხრივ. ოლქის გეგმა ითვალისწინებდა აფენის და ლაგოდეხის რაიონებში ტრაქტორების კოლონების მოწყობას სექტემბრის შუა რიცხვებში (!) ასეთ დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციის შესახებ ჯერ არაფერი გვესმის და არც არაფერია გაკეთებული. ნავარაუდევი იყო აგრეთვე მჭედელთა სამი კოლექტივის ჩამოყალიბება. ამ ღონისძიებას სეზონის დამლევს არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. აი, მოკლეთ ერთი წყება დეფექტებისა, რომელიც თან სდევს ჩვენი საშემოდგომო თესვის კამპანიას.

საოლქო საადგილ-მამულო განყოფილება დაკმაყოფილდა იმით, რომ გეგმები, და ცირკულიარები დაგზავნა.

საჭირო არის დაუყოვნებლივ, ეხლავე შევამოწმოთ ადგილებზე ის პირველი ნაბიჯები, რომელიც ტარდება საშემოდგომო თესვის კამპანიის ირგვლივ. არ ჩამოვრჩეთ, არ დავიგვიანოთ. დაყოვნება დანაშაულად ჩაგვეთვლება.

ალაზნელი.

მუშა საქონლისთვის

მიმდინარე თესვის კამპანიისათვის მუშა საქონლის შესაძენად ქუთაისის ოლქის თესვის ჩამტარებელ კომისიას გადაცემული ჰქონდა 5.000 მან., რომელიც განაწილებული იქნა შემდეგნაირად: სოფელ როხის არტელ „სოციალისტურ ნაბიჯს" მიეცა — 300 მანეთი, სოფ. გეგუთის არტელ „ახალ წყარო"-ს — 450 მან., შუმათ - ფერსათის „ჩვენ გამარჯვება"-ს — 300 მანეთი, სოფელ კულაშის „ერთობა"-ს 450 მანეთი, სოფ. გარდამარის მევენახეთა კავშირს — 300 მანეთი, სოფ. ხიდარის არტელ „კულაკის მტერს" — 300 მანეთი, სოფ. სვეთის „ცოლიკოურს" — 300 მან., სოფელ ქვაციხის არტელ „ინტერნაციონალ"-ს — 300 მან., სოფელ თვიშის სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობას — 600 მანეთი, სოფელ უწერის მიწის სახ. შრომით დამმუშავებელ ამხანაგობას — 600 მანეთი და სოფელ ქრებალოს არტელ „აკის პირს" — 300 მანეთი.

პარტიაში

პარტიული სწავლა—კლასობრივი ბრძოლის იარაღი

შევითვისოთ მარქსისა და ლენინის რევოლიუციონური თეორია

უფრო ღრმად განვმარტოთ პარტიის გენერალური ხაზი. — გამოვააშკარაოთ მემარჯვენეთა ოპორტუნისტული თეორია და პრაქტიკა. — პარტსწავლების საგნად დავსახოთ ყოველდღიური პოლიტიკური და საჭირბოროტო საკითხები

ლენინი მუდამ და განუწყვეტლივ იბრძოდა მუშათა კლასის იმ საუკეთესო, იმ ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილის შეკავშირებისა და პარტიაში დარაზმვისათვის, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე თეორიით, მეცნიერული კომუნიზმის ცოდნით.

ჩვენი პარტია, ლენინის მიერ შექმნილი პარტია, პირველია მსოფლიოში, რომელიც ჰფლობს კლასთა ბრძოლის მსოფლიო ისტორიით წარმოშობილი, უდიდესი რევოლიუციონერების მარქს — ენგელს—ლენინის მიერ ჩამოყალიბებული მეცნიერული აზრის დიდად მემკვიდრეობას.

მარქსიზმ - ლენინიზმი არის კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო გაუმჯობესებული, საუკეთესო და უპირველესი იარაღი პროლეტარიატის ხელში. ამ იარაღის უქონლობა ნიშნავს, ჩვენს აუცილებელ დამარცხებას. შემთხვევითი არ არის ის, რომ ლენინი ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა რევოლიუციონურ თეორიას: „რევოლიუციონური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლიუციონური მოძრაობა. მოწინავე მებრძოლის როლი შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს". (ლენინი—„რა ვაკეთოთ").

პარტიამ 30 წლის მანძილი განვლო და, ამ ხნის განმავლობაში იგი მძაფრ ბრძოლას აწარმოებდა კლასობრივი იდეოლოგიის სიწმინდისათვის, პროლეტარიატის პარტიის რიგების მთლიანობისათვის, იმ პარტიის, რომელსაც მხოლოდ ერთად ერთს შეუძლია უზრუნველჰყოს თვით პროლეტარიატის რიგების მთლიანობა. იგი გამოიბრძმედა ბრძოლაში ყოველგვარ მერყეობასთან, ქანაობასთან და ოპოზიციასთან პარტიის შიგნით და მის გარეთ. იგი გაიზარდა მსოფლიო პროლეტარიატის დიად, არაჩვეულებრივად მაგარ, შემჭიდროებულ პარტიად. „ეკონომიზმი", „ლეგალური მარქსიზმი", „მეწშევიზმი", „ლიკვიდატორობა", „მემარცხენე ბავშობა", „მუშური ოპოზიცია", „დეცისტები", „ტროცკიზმი", „მემარჯვენეები",—აი, მთავარი მიმდინარეობანი, „სხეობანი", რომლებსაც პარტიაში მოჰქონდათ მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო სულისკვეთება და შეხედულებანი, რასაც პარტია ლენინისა და ლენინური ც. კ.-ის მეთაურობით ებრძოდა და სძლევდა. ყოველი შეტაკების შემდეგ პარტია ყოველთვის უფრო შემჭიდროებული და გამაგრებული გამოდიოდა, ხოლო ყოველგვარი „ოპოზიციები", მიუხედავად სხვადასხვა უპრინციპო „ბლოკებისა", მარცხდებოდნენ. მასებისათვის ბრძოლაში პარტია ყოველთვის ახერხებდა განეცალკევებია მასა უცხო შეხედულებებისა და იდეოლოგიისაგან, დაეპყრო ფართო მასები და აღეზარდა ისინი შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე. მასები პარტიის ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ პოლიტიკურად.

საკმაოა თვალი გადავავლოთ ჩვენი პარტიის ისტორიის ოქტომბრის შემდგომ პერიოდს, რომ დავინახოთ, თუ რა უდიდესი მიღწევები აქვს პარტიას მუშათა მასების აღზრდის საქმეში. მუშები ასობით, ათასობით, და მილიონობით გადაიქცნენ მარქსიზმ-ლენინიზმის აქტიურ და შეგნებულ დამცველებად. თუ პარტიის ჩამოყალიბების პირველ პერიოდში მარქსიზმ - ლენინიზმის პრინციპების დაცვა მხოლოდ რამდენიმე ათი და ასი პროფესიონალური რევოლიუციონერის საქმეს შეადგენდა და ეს პრინციპები დავას იწვევდნენ ცალკე ჯგუფებს შორის, პარტიული ინტელიგენციის პირებს შორისაც კი, ეხლა მრავალი ათასი მუშა ფაბრიკებსა და ქარხნებში გამანადგურებელი იერიშებით უკუაგდებს ლენინიზმის რევიზიის ყოველგვარ ცდას, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი (ტროცკი, შლიაპნიკოვი, ზინოვიევი, კამენევი, ბუხარინი), „მიუხედავად პიროვნებისა". ამ წარმატებაში პარტიული განათლების აპარატს ეჭირა და უჭირავს არა უკანასკნელი, არამედ ერთ - ერთი პირველი ადგილი. მასების აღსაზრდელად მუშაობენ პარტიის საუკეთესო ძალები.

იმისათვის, რომ მასებს გადასცემოდა პარტიის მთელი თავმოყრილი და კოლექტიური გამოცდილება, საჭირო იყო პირველად პროპაგანდისტ პროფესიონალური რევოლიუციონერების დიდი კადრების აღზრდა მუშებისაგან, რომლებიც შეითვისებდნენ მთელ ამ გამოცდილებას და გადასცემდნენ მას მასებს. პარტიამ მიაღწია ამას. პარტიამ 10 წლის განვალობაში საბჭოთა - პარტიული სკოლების, კომუნისტური უნივერსიტეტების და სხვადასხვა კურსების და წრეების საშუალებით შექმნა მტკიცე არმია მუშაკებისა, რომლებიც შეიჭრნენ საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო მიყრუებულ კუთხეებში, შეიტანეს იქ ლენინის მოძღვრება და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანა შეუფარდეს ენერგიულ მუშაობას მასების აღსაზრდელად.

მაგრამ, მიუხედავად ამ უდიდესი მიღწევებისა, რეკონსტრუქციის პერიოდის მოთხოვნათა დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მასების, მათ შორის პარტიული მასების მომზადების დონე. მეურნეობის მატერიალური, ტეხნიკური რეკონსტრუქცია წინ უსწრებს ადამიანთა მასების კულტურულ რეკონსტრუქციას. ჩვენ შეგვიძლია შემოვიტანოთ მზა ამერიკული და გერმანული მანქანა, აგებული მეცნიერებისა და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, მაგრამ არ შეგვიძლია ასევე შემოვიტანოთ ელემენტარული საყოველთაო წერა - კითხვის ცოდნა, კულტურა, რომელიც იქ იქმნებოდა ბურჟუაზიული ურთიერთობის ბატონობის ასეული წლობით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა პოლიტიკური კულტურის სფეროში ყველაზე მოწინავე ქვეყანაა დედამიწაზე, ტეხნიკურ და საერთო კულტურის სფეროში იგი ჯერ კიდევ ბევრ რამეში ჩამორჩება. ეს ვადა ძალიან მოკლეა იმისათვის, რომ შეგვეცვალოთ არა მარტო „საზოგადოებრივი წყობილება, არამედ შეგვეცვალოთ საკუთარი თავი" (კ. მარქსი — „გოტის პროგრამის კრიტიკა").

მუშათა კლასის ამოცანას ამჟამად შეადგენს — გამოიყენოს ყველა ჩვენი პოლიტიკური უპირატესობა იმისათვის, რომ შეამოკლოს „საკუთარი თავის" გარდაქმნის ვადა. ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით პარტიული მასების, როგორც მოძრაობის ხელმძღვანელების, კულტურულ და პოლიტიკურ დონეს.

ყოველი მუშის ამაღლება პროლეტარიატის კლასობრივი ამოცანების შეგნების დონემდე, მართვა - გამგეობის უფრო კულტურული მეთოდების და ელემენტარული ცოდნის მიცემა ყოველი მუშისათვის, ნიშნავს ჩვენი მეურნეობის წინსვლას უდიდესი ნაბიჯებით. აქ არის დიალექტური ურთიერთმოქმედება.

მთავარია ის, რომ მივაღწიოთ სრულ შეხამებას, სრულ შეთანხმებას პრაქტიკის დონესა და თეორიის დონეს შორის. თეორიისა და პრაქტიკის განუწყვეტელი კავშირი, მათი მთლიანობა მარქსიზმის ერთ - ერთ ძირითად დებულებას შეადგენს.

წინააღმდეგობანი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მომწიფებისა და ტეხნიკურ - ეკონომიური ჩამორჩენილობის შორის უძნელებენ კლასობრივი ბრძოლის პროცესის სირთულის შეგნებას უბრალო მუშასა და გლეხს. თვით ფაქტი ადამიანთა გარდაქმნისა, მათი სამეურნეო და საყოფა - ცხოვრებო წესის შეცვლა სავსებით ახალ საფუძველზე, რაც ჯერ კიდევ უცნობია კაცობრიობისათვის და ეწინააღმდეგება ყველა ძველ ჩვეულებას, წესს და ტრადიციას, — თვით ეს ფაქტი მეტად მწვავე კლასობრივ ბრძოლას წარმოადგენს. კლასებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან იარაღებს და საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრებასთან, წვრილ საქონლის მწარმოებლებს არ შეუძლიათ უცებ, 10 წლის განმავლობაშიაც კი (ისტორიულად უმცირეს ვადაში) გადაიჩვიონ იმას, რასაც ათასი წლობით ეჩვეოდნენ. კულაკი გვებრძვის, გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევს, შეჰყურებს გარეშე კაპიტალისტურ მსოფლიოს და იმედოვნებს ძველის დაბრუნებას.

კოლექტივიზაციის პროცესი სწრაფად მიდის, მაგრამ რიცხვობრივად ჯერ კიდევ არ არის მასში ჩაბმული წვრილი საქონლის მწარმოებელთა მთელი კლასი. აი, სწორედ ეს ჩაბმა წვრილი საქონლის მწარმოებლისა, კოლექტივიზაციის პროცესში წარმოადგენს მეტად მწვავე კლასობრივ ბრძოლას ამ მასებისათვის პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის (კულაკები, ნეპმანები).

მეცნიერულ - მარქსისტულ - ლენინური მეთოდის შემოღებას ჩვენს სკოლაში, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებში, ლიტერატურაში და სხვა დარგებში აშკარა და ფარულ წინააღმდეგობას უწევენ მეცნიერების, ტეხნიკის და ხელოვნების ძველი მუშაკები. ისინი ამას სთვლიან „მეცნიერების" ელემენტარულ უფლებათა დარღვევად, მაგრამ ამავე დროს ეს არის მეტად მწვავე კლასობრივი ბრძოლა ნამდვილი და მოჩვენებითი მეცნიერების შორის, ძველსა და ახალს შორის, სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. საბჭოთა სახელმწიფო აპარატი შეიქმნა ძველი ჩინოვნიკური ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის „ნგრევის" შედეგად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასში არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც ახასიათებენ მხოლოდ ბიუროკრატიულ, ბურჟუაზიულ აპარატს. ეს ხომ სავსებით მარტივი ფორმაა კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანიდან დარჩენილი ადამიანთა მასალასა და ახალი კომუნისტური წყობილების მიერ შექმნილ მასებს შორის.

ჩვენი პარტია, შექმნილი და აღზრდილი ლენინის მიერ, ხელმძღვანელობს სოციალიზმის მშენებლობის მთელ მუშაობას, მაგრამ პროლეტარიატისათვის უცხო ელემენტები მაინც ახერხებენ სხვადასხვა გზით მის რიგებში შეჭრას და ხელს უშლიან მის მუშაობას. ამიტომ სისტემატიური თვითწმენდა აბსოლიუტურად აუცილებელი პროცესია პარტიისათვის. ეს პროცესი უცხო ელემენტების შეჭრისა ჩვენს პარტიაში და ჩვენი რიგების მუდმივი თვითწმენდა კლასობრივი ბრძოლის მეტად გამახვილებულ და მწვავე ფორმას წარმოადგენს. პროლეტარიატის მხრით ეს არის ბრძოლა პროლეტარული იდეოლოგიის სიწმინდისათვის, ხოლო ბურჟუაზიის მხრით — ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელობის გახრწნისათვის.

პარტიის ამოცანას შეადგენს — ასწიოს პარტიული და პროლეტარული მასების დონე, აღჭურვოს ისინი მარქსისტულ - ლენინური იარაღით, რათა მათ შეძლონ კლასობრივი მტრის სწრაფად გამოცნობა, რა ჯავშნითაც არ უნდა ჰფარავდეს იგი თავის კლასობრივ ზრახვებს, რათა მათ შესძლონ ადვილად და თავის დროზე გაერკვიონ რთულ, წინააღმდეგობებით სავსე სოციალურ, სამეურნეო, კულტურულ მოვლენებში, რათა ყოველმა მუშამ შესძლოს სავსებით შეგნებულად და მტკიცედ დაიცვას ბოლშევიკური პრინციპების სიწმინდე და მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებანი.

სხვადასხვა „მიმდინარეობანი" და „ოპოზიციები", „გადახრები", რომლებიც წარმოიშობიან სხვადასხვა პროლეტარიატისათვის ყველაზე უფრო ძნელ პერიოდებში, წარმოადგენენ კლასობრივი ბრძოლის პრაქტიკულ გამოხატულებას და ბურჟუაზიის კლასობრივ წინააღმდეგობას ჩვენი პარტიის რიგებში თავიანთი „ობიექტიური" აგენტების მეოხებით. თანამედროვე მემარჯვენე და ყველაზე უფრო საშიში გადახრა ამ მხრივ არის კლასიკური, თვალსაჩინო ნიმუში კულაკის და ნეპმანის წინააღმდეგობისა სოციალისტური შეტევისადმი. მემარჯვენეთა მოთხოვნები ინდუსტრიალიზაციის ტემპის, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საკითხში სავსებით შეეფერებიან კულაკის და ნეპმანის ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მემარჯვენე ხელმძღვანელს სუბიექტურად ეს არა სურს. ფასების საკითხში მემარჯვენენი მოითხოვენ იმასვე, რასაც კულაკი მოითხოვს. მაგრამ ყოველსავე ამას მასებს აწვდიან ისე, რომ ყველას არ ძალუძს უცებ მიხვდეს — რაშია საქმე. „მემარცხენე" გადახრა მემარჯვენე გადახრისაგან განსხვავდება მხოლოდ მოთხოვნის ფორმით, მაგრამ არსებითად იგი წარმოადგენს ისეთსავე გადახვევას პროლეტარიატის სწორი კლასობრივი პოზიციებიდან და ბურჟუაზიის, კულაკების ინტერესების პირდაპირ დაცვას.

„შემარიგებლობა" წარმოადგენს ლმობიერ და მშვიდობიან დამოკიდებულებას კლასობრივი მტრის მიმართ იმ დროს, როცა გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა სწარმოებს. იგი არსებითად და ობიექტიურად არაფრით განსხვავდება მემარჯვენეთა და „მემარცხენეთაგან", რადგან ყველა ისინი ხელს უწყობენ კლასობრივ მტერს — ჩაშალოს სოციალისტური მშენებლობა.

პარტიის ამოცანა მემარჯვენეებთან, „მემარცხენეებთან" და შემარიგებლებთან ბრძოლაში მოითხოვს ყოველი პარტიულის და მთელი მასის შეიარაღებას შესაფერი ცოდნით და უნარით, რათა მათ შესძლონ ჯეროვნად შეაფასონ კლასობრივი ხაზის და ლენინიზმის საფუძვლების ყოველგვარი დამახინჯება და ბოლშევიკური იერიშით უკუაგდონ ასეთი ცდები.

აშკარა ოპორტუნიზმის მხილება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე რადიკალური „პარტიული ობივატელობისა", რომელსაც ათასნაირი ულტრა „მემარცხენე" ნიღაბი აქვს ჩამოფარებული.

პარტიული ხელმძღვანელობის ბიუროკრატიზმთან, „ტერმიდორიანულ გადაგვარებასთან" ბრძოლის სახით თუ პარტიულ ობივატელობასთან ბრძოლის სახით, ბოლშევიკური ხელმძღვანელობით უკმაყოფილონი ყოველთვის მიმართავდნენ სავსებით ჩვეულებრივ და ნამდვილ ობივატელურ მეთოდებს. ობივატელის ძირითადი [illegible] ხომ შეჭორაობაა. მთელ თავის უძლურებას ხელმძღვანელობისათვის ბრძოლაში პარტიული ობივატელი გამოხატავს უბრალო ჭორით ძველი, ბრძოლაში გამობრძმედილი კადრების წინააღმდეგ, თუმცა ამ ჭორს ზოგჯერ „საშინელ" „თეორეტიულ" საფუძველს გამოუნახავენ ხოლმე, როგორც ამას სჩადის შაცკინი.

პარტიული სკოლა უნდა გადაიქცეს ნამდვილი ლენინელ - ბოლშევიკის აღზრდისა და გამობრძმედების ლაბორატორიად, ლენინელ - ბოლშევიკის, რომელიც შესძლებს მკაფიოდ, სწრაფად, სავსებით ნათლად უპასუხოს თეორიისა და პრაქტიკის ყველა რთულ საკითხს. სკოლა უნდა დაეხმაროს პარტიულს — შეითვისოს მარქსიზმ-ლენინიზმის არსებითი ცოდნა და შეისწავლოს (იკითხოს, დაამუშაოს) მეცნიერული კომუნიზმის საძირკვლის ჩამყრელთა — მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომები. სკოლამ უნდა შექმნას ახალი ადამიანი, რომელიც შესძლებს რევოლიუციონური თეორია შეახამოს და დიალექტიურად შეუერთოს რევოლიუციონურ პრაქტიკას თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

კ. კასრაძე.

რესპ. პარტიული თათბირი

ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ. 15 ოქტომბრისათვის იწვევს მე-2 ფართო რესპუბლიკანურ პარტიულ თათბირს, რომლის საგანი იქნება ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა.

თათბირის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია:

1. ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში.
2. სახალხო განათლების ხუთწლიანი გეგმა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობა ეროვნულ უმცირესობათა შორის.
3. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მოხსენება მიწათ-მოწყობის შესახებ და „სოფლის კავშირის" თანამომხსენება სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის და კოლექტიური მშენებლობის შესახებ ეროვნულ უმცირესობათა შორის.
4. საქართველოს დარაიონება;

თათბირის მიზანია — ჯამი გაუკეთოს ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის მდგომარეობას, გამოარკვიოს სამეურნეო-კულტურული მშენებლობის დეფექტები ეროვნულ უმცირესობათა ოლქებსა და რაიონებში, და შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი იმ ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც პარტიის წინაშეა დასახული სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და ფართო სოციალისტური მშენებლობის ეპოქაში.

ც. კ. წინადადებას აძლევს პარტიულ კომიტეტს, რომ მომავალი თათბირის დელეგატების შერჩევას განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ, ეხლავე დაწყებულ იქნას მუშაობა სათანადო კანდიდატების დასასახელებლად მხოლოდ ეროვნულ უმცირესობათაგან, ამასთან, საჭიროა დაცულ იქნას პროცენტული შეფარდება: იმ რიცხვიდან, რომელიც ადგილებს დაეთმოთ, კომკავშირელთა შემადგენლობას მიეცეს 15 პროც. და ქალებს — 15 პროც. სასურველია დელეგატთა შემადგენლობაში შეყვანილ იქნან ის ამხანაგები, რომლებიც მუშაობას აწარმოებენ თათბირის დღის წესრიგის საკითხების გარშემო.

საჭიროა დელეგატებს ჰქონდეთ ამომწურავი მასალები ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ მაზრაში, რაიონში.

აღნიშნულ თათბირში მონაწილეობა უნდა მიიღონ საქართველოში მოსახლე ყველა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა, ამიტომ ც. კ. წინადადებას იძლევა სასტიკად იქნას დაცული ქვემოთ აღნიშნული ცხრილი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მდივანი: **კახიანი.**

დელეგატების განაწილება

მე-2 ფართო რესპუბლიკანურ თათბირზე ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის შესახებ

აფხაზეთიდან: აფხაზი—2; ბერძენი — 2; სომეხი — 1; რუსი — 1; ლაზი—1, გერმანელი —1, ესტონელი—1, ზანგი—1. სულ —10 კაცი.

აჭარისტანიდან: ლაზი — 1, ბერძენი—1; აჭარელი — 3; სომეხი — 1; ქურთი — 1, ოლქის ქალთა განყოფილება — 1; ცაკთან არსებული ეროვნ. უმც. კომის. რწმუნებული—1. სულ — 9 კაცი.

სამხრეთ - ოსეთიდან: ოსი—2 კაცი; ქართველი - ებრაელი — 2; ოლქის ქალთა განყოფილება — 1; ცაკთან არსებული ეროვნ. უმც. კომის. რწმუნებული — 1. სულ — 6 კაცი.

კახეთიდან: ლეკი—1; ინგუში—1; თურქი — 1; ოსი — 1, სომეხი — 1; ცაკთან არსებული ეროვნ. უმც.კომის. რწმუნებული — 1; რუსი—2; ოლქის ქალთა შორის მუშაობის განყოფილება — 1. სულ — 9 კაცი.

ახალქალაქიდან: თურქი—1; დუხობორი—1; მოლოკანი—1; სომეხი—1, ქურთი—1; სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილება — 1; ცაკთან არსებული ეროვნ. უმც. კომისიის რწმუნებული—1. სულ 7 კაცი.

ახალციხიდან: თურქი—2; ქურთი — 2; სომეხი—1; ქართველი ებრაელი — 1, სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილება — 1; ცაკთან არსებული ეროვნ. უმც. კომის. რწმუნებული — 1. სულ — 8 კაცი.

ქუთაისის ოლქიდან: ქართველი ებრაელი—2; (ქუთაისი), კულაში — 1; მაზრის კომიტეტი—1. სულ—4 კაცი.

გორის მაზრიდან: ოსი—2; ქართველი ებრაელი—2; ბერძენი—1; სომეხი—1. სულ 6 კაცი.

ფოთის მაზრიდან: — ქართველი ებრაელი—1; მაზრის კომიტეტი—1. სულ — 2 კაცი.

ახალ-სენაკიდან: ქართველი ებრაელი —1; მაზრის კომიტეტი — 1. სულ 2 კაცი.

თბილისის ოლქიდან: თურქი — 5; (სარვანი, ლუქსემბურგი, ყარაია, ბაშკიჩეთი, მუღანლო); ბერძენი—3 (წალკა, ალბულაღი, ოფრეთი); სომეხი—2 (შაუმიანი, დაგეთ—ხაჩინი); გერმანელი—3 (ლუქსემბურგი, სართიჭალა, ასურეთი); დუხობორი — 2, (ბაშკიჩეთი); რუსი—3 (გომბორი, მანგლისი, ალბულაღი); ასურელი—2 (სოფ. ძველი ყანდა და ყარაია); ოსი—3 (მანგლისი, ალბულაღი, კობი); სულ 23 კაცი.

თბილისის ქალაქის რაიონს — 3 ადგილი.

დელეგატების რიცხვიდან გამოყოფილ უნდა იქნას საოლქო კომიტეტის ან სამაზრო კომიტეტის ერთ - ერთი პასუხისმგებელი მუშაკი.

ყველა ჩამოსულ მონაწილეს მიეცემა დღიური ულუფა, ღამის სათევი და უკან წასასვლელი ფული.

მტკიცედ დავიცვათ პარტსწავლების ერთიანი დღე

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ყველა რაიკომებსა და უჯრედებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გასული სასწავლო წლის მიღწევებმა პარტგანათლების სფეროში არ უნდა მიჩქმალონ მთელი რიგი გარემოებანი, რომელნიც წლიდან წლამდე ხელს უშლიან პარტგანათლების განვითარების საქმეს საერთოდ და პარტიულ-კომკავშირის აქტივის სწავლებას განსაკუთრებით. პარტიულ-კომკავშირის აქტივის ზედმეტად დატვირთვა, სწავლების მთლიანი დღის ჩაშლა, აგრეთვე ის გარემოება, რომ პარტუჯრედები სათანადო დახმარებას და კონტროლს ვერ უწევენ სკოლებისა და წრეების მუშაობას და სხვ., არის პარტგანათლების არასაკმაოდ შეფასების შედეგი, პარტგანათლების, რომელიც ამჟამად რეკონსტრუქციის პერიოდის პირობებში განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ღებულობს.

თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარტიის მიერ არაერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე:

1) მტკიცედ იქნას დაცული პარტსწავლების მთლიანი დღე (ხუთშაბათი); ამ დღეს არ უნდა ეწყობოდეს არავითარი კრება და სხდომა.

2) ის ამხანაგები, რომელნიც გაგზავნილნი არიან სასწავლად საღამოს საბჭოთა პარტსკოლაში (ორშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი), მუშა პროპაგანდისტთა კურსებზე, საღამოს კომუნისტურ უნივერსიტეტში და სხვ., განთავისუფლებულ იქნან პარტიულ-საზოგადოებრივი მოვალეობებისაგან. მათი პარტსწავლება ჩაითვალოს პარტდატვირთვად.

3) სკოლები და კურსები უზრუნველყოფილ იქნან კონკრეტული დახმარებით (ბინა, განათება და სხვ.). დაწესდეს სისტემატიური კონტროლი მათ მუშაობაზე.

თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, ამა თუ იმ ამხანაგების მიერ აღნიშნული დირექტივის დარღვევის ყოველ ცალკე შემთხვევაში დაისვას საკითხი მისი პარტიულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი **ი. ასრიბეკოვი.**

თბილისის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მოადგილე **ადამიანი.**

ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის რეალიზაცია

ბათუმი, 3 ოქტომბერი. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაცია აჭარისტანში განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს. ცნობების მიხედვით, ჩამოყალიბებული ხელის მოწერა 934.000 მან.-მდე აღწევს. საკონტროლო ციფრი — 870.000 მანეთი გადაჭარბებულია თითქმის 10 პროცენტით. ხელის მოწერამ შეიძლება 1 მილიონ მანეთს გადააჭარბოს. სოფლად ხელის მოწერა სუსტად მიმდინარეობდა,. მრავალი ობიექტიური მიზეზის გამო, მაგრამ ეხლა ხელის მოწერა იქაც გამოცოცხლდა. ხელის მოწერის თანხა სოფლებში 56.000 მანეთს აღწევს. (ადს).

ბორჯომი, 2 ოქტომბერი. სააგიტაციო კამპანიის წყალობით, ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერა სოფლებში საგრძნობლად გამოცოცხლდა. ბორჯომის რაიონის სოფლებში ხელის მოწერამ 78 ათას მანეთს მიაღწია. თვით ქალაქ ბორჯომში ხელის მოწერამ 100.000 მანეთს გადააჭარბა. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის ფონდში

სოხუმი, 3 ოქტომბერი. წყალზე მომუშავეებმა გადასწყვიტეს—ინდუსტრიალიზაციის ფონდისათვის გადასდონ არა მარტო 20 სექტემბრისა, არამედ21 სექტემბრის ხელფასიც. სამასმა სოხუმელმა გემო-კვების მუშაკმა გადასწყვიტა ინდუსტრიალიზაციის მეორე დღე მოაწყოს 25 დეკემბერს.

ფერადი ლითონების ნამსხვრევების შეგროვება

საბჭოთა სახალხო მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ, — ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის ცალკე დარგების და სხვ. გაძლიერებულმა მოთხოვნილებამ ლითონის ნაწარმოებზე, ბუნებრივად გამოიწვია ლითონის ნედლეულის ნაკლებობა. განსაკუთრებით მწვავე კრიზისს განიცდის ჩვენი ფერადი ლითონის მრეწველობა, რომლის მუშაობაც საგრძნობლად ფერხდება ნედლეულობის უქონლობის გამო.

ამავე დროს გამოკვლეულია, რომ ქალაქსა და სოფლებში მოიპოვება შავი და ფერადი ლითონის ნამსხვრევების დიდძალი რაოდენობა, რომელიც უქმად ყრია. ამ ლითონის შეგროვება და მისი დანიშნულებისამებრ გადაცემა დიდ დახმარებას გაუწევდა ლითონის მრეწველობას. ამ მხრივ ერთ დროს კიდევაც დაიწყო კამპანია, ადგილობრივ ორგანიზაციებმა ჩააბეს მასები ლითონის ნამსხვრევების შეგროვების საქმეში. მაგრამ ამ სასარგებლო მუშაობას არ მიუღია საჭირო მასიური სახე. ის მალე შესწყდა და დღეს თითქმის აღარაფერი კეთდება ამ მიმართულებით.

ასეთი მდგომარეობა, თავისთავად ცხადია, ნორმალურად ვერ ჩაითვლება. ლითონის ნამსხვრევები საუკეთესო მასალას წარმოადგენს, როგორც ნედლეული. ჩვენ ეს ნედლეული, როგორც უკვე ვთქვით, საკმაოდ დიდი რაოდენობით მოგვეპოვება. ამავე დროს კი მრეწველობა მის ნაკლებობას განიცდის. დასკვნა აქედან ასეთია: საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ლითონის ნამსხვრევების შეგროვება მასიურ - საზოგადოებრივ საქმედ გადაიქცეს. პირველი სიტყვა ამ შემთხვევაში ეკუთვნის ბავშვთა ორგანიზაციებს. მათ უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლიათ ამ მხრივ საბჭოთა ლითონის მრეწველობისათვის. პიონერთა ორგანიზაციებმა და სკოლებმა აქედანვე უნდა დაიწყონ სამზადისი იმისათვის, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით მოეწყოს ლითონის ნამსხვრევების შეგროვება.

ჩვენ ყოველთვის ვლაპარაკობთ, რომ ბავშვთა ორგანიზაციები და სკოლა ჩაბმული უნდა იყვნენ სოციალისტურ მშენებლობაში. ლითონის ნამსხვრევების შეგროვება ერთი იმ დიდმნიშვნელოვან საქმეთაგანია, რომელშიაც ბავშთა მასებს შეუძლიათ გამოხატონ თავისი უაღრესად სასარგებლო საქმიანობა საბჭოთა ქვეყნის მშენებლობის დარგში. ეს იქნება ბავშთა მიერ არა მარტო საზოგადოებრივი მოვალეობის მოხდა; სახელმწიფოს წინაშე; არამედ ამავე დროს, სკოლისა და პიონერორგანიზაციების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაც. სახელმწიფო უსასყიდლოთ არ მოითხოვს ამ მუშაობის შესრულებას. ლითონის ნამსხვრევების რეალიზაციისაგან შემოსულ თანხით სკოლას, თუ კი მან შესაფერი აქტიობა გამოიჩინა ნამსხვრევების შეგროვების მხრივ, შეუძლია მოაწყოს ექსკურსია, გააძლიეროს სკოლის ბიბლიოთეკა და სხვ.

იბადება კითხვა: რა უნდა იქნას შეგროვებული? ყოველი სახის ლითონის ნამსხვრევი, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფერად ლითონის ნამსხვრევებს. ასე მაგალითად, ალუმინის დამტვრეული ჭურჭლეულობა (თეფშები, კოვზები, ჩანგლები და სხვ.), სპილენძის უვარგისი ნივთები და ჭურჭლეულობა (დამტვრეული ფათქები, ტაშტები, თაბახები, ლამპის ნაწილები, ბუხრის კარები; კარ-ფანჯრის ლითონის მოწყობილობანი, დამტვრეული სამოვრები, პრიმუსები, შანდლები და სხვ.).

ყოველივე ეს, რომელიც ხშირად უქმად ყრია კერძო და სახელმწიფო მეურნეობებში, საუკეთესო განძს წარმოადგენს ჩვენი ლითონის მრეწველობისათვის.

ამ შეგნებით უნდა გაიმსჭვალოს ჩვენი სკოლებისა და პიონერორგანიზაციების ხელმძღვანელები. იმისათვის, რომ ეს საქმე ფართო პრაქტიკულ ნიადაგზე დადგეს, უნდა მოეწყოს ლითონის ნამსხვრევების შეგროვების ხელის შემწყობი კომიტეტები, რომლებიც იმუშავებენ საოლქო, სამაზრო და საქალაქო განათლების განყოფილების ხელმძღვანელობით. საქმე დაყოვნებას არ ითმენს. აქედანვე შევუდგეთ ლითონის ნამსხვრევების შეგროვების საქმეს.

შ. გ—ი.

ღარიბი გლეხის მოკვლა

განჯა, 2 სექტემბერი. კულაკს მირზა იუსუფ-ოღლის თაუზის რაიონის სოფ. ჩოლქინშლიში ჰქონდა ნორმაზე მეტი მიწა. ოლქის საადგილმამულო განყოფილებამ ეს ზედმეტი მიწა ჩამოართვა იუსუფ-ოღლის და გადასცა იმავე სოფლის ღარიბ გლეხებს—ორუჯუ ველი-ოღლისა და მის შვილებს—ამირასლანსა და რუსტამს. მირზა მკვლელობით ემუქრებოდა ღარიბ გლეხებს, თუ ისინი მიწას მოხნავდნენ. მაგრამ გლეხებმა მუქარას ყურადღება არ მიაქციეს და ხვნას შეუდგნენ. მირზა იუსუფ-ოღლიმ თოფით მოჰკლა ორუჯა ველი-ოღლი და მისი შვილები ამირასლანი და რუსტამი. იუსუფ-ოღლი, თაუზის რაიონის კულაკი და ბანდიტების სულის ჩამდგმელია, ამჟამად დაპატიმრებულია. გამოძიება სწარმოებს. (ადს).

ბანდიტთა ხროვის ლიკვიდაცია

სტეფანაკერტი, 3 ოქტომბერი. 1905 წლიდან დაწყებული მთიანი ყარაბახის ავტონომიური ოლქის ჯრაბერთის რაიონს დროგამოშვებით მეტად დიდ ზარალს აყენებდა ბანდიტების ხროვა სერგეი ბალაიანის მეთაურობით. ბანდას კავშირი ჰქონდა კულაკებთან და ანტი-საბჭოთა სხვა ელემენტებთან. რამდენიმე წლის განმავლობაში ბანდიტები შიშის ზარსა სცემდნენ გლეხობას, განსაკუთრებით—მომთაბარეებს. ბანდიტები ძარცვავდნენ მხოლოდ ღარიბ და საშუალო გლეხებს, სასოფლო საბჭოს წევრებს, პარტიულებს და კომკავშირელებს, თან მხეცური ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ მათ. ძარცვავდნენ აგრეთვე სოფლის კოოპერატივებს. ბანდიტები იმალებოდნენ უღრიან ტყეებში, ამიტომ მათი დაჭერა დიდხანს შეუძლებელი გახდა. აზერბეიჯანის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მთიანი ყარაბახის განყოფილებისა და ახალი ხელმძღვანელობის ენერგიული ღონისძიებათა წყალობით მოხდა ბანდიტების სრული ლიკვიდაცია. მოკლული იქნა ორი ბანდიტი. ხუთმა ბანდიტმა სერგეი ბალაიანის მეთაურობით, იარაღი დაჰყარა, ისინი შეპყრობილ იქნენ. მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ბანდიტთა ხროვის ლიკვიდაციის ამბავს. (ადს).

დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობის მდგომარეობა სამოქალაქო სამსახურში

ა. კ. სახკომსაბჭომ განიხილა ა. კ. მუშგლეხინის დადგენილება დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობის მდგომარეობის შესახებ სამოქალაქო სამსახურში და მთლიანად დაამტკიცა.

ა. კ. შრომის სახკომისარიატს წინადადება მიეცა ყურადღება მიაქციოს შრომის ბირჟების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობის აღრიცხვის საქმეში. ამასთანავე შრომის კომისარიატმა უნდა გამოსცეს დადგენილება, რათა დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობას შრომის სტაჟში ჩაეთვალოს მათი სამსახური წითელი არმიის რიგებში.

რესპუბლიკანურმა სახკომსაბჭოებმა უნდა გამოსცენ დადგენილებები დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობისა და სამოქალაქო დაწესებულებებს შორის წარმოშობილ შრომის კონფლიქტების დაჩქარებით გარჩევის შესახებ.

ა. კ. სახკომსაბჭო აღნიშნავს, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე რესპუბლიკანურ დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობის სამსახურში მომწყობ კომისიების მუშაობის მოდუნებას და წინადადებას აძლევს ა. კ. სახკომსაბჭოსთან არსებულ მთავრობის კომისიას გააძლიეროს თავისი მუშაობა, დაუკავშიროს იგი საზოგადოებრიობას და მიიღოს საჭირო ზომები, რათა დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობის ჯამაგირი გათანაბრებულ იქნას იმ ჯამაგირთან, რომელსაც წითელ არმიის რიგებში სამსახურის დროს იღებდა ესა თუ ის მეთაური.

ა. კ. მუშგლეხინს წინადადება მიეცა დაწესებულებათა ადმინისტრაციის მხრივ დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობისადმი უყურადღებობის გამოჩენის შემთხვევებში, დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს, სამსახურიდან მოხსნით.

პრესის მიერ დემობილიზაციაქმნილ უფშემადგენლობაზე შეუმოწმებელი მასალის მოთავსება ცნობილ იქნას დაუშვებლად და წინადადება მიეცეს გაზეთების ხელმძღვანელთ მომავალში მეტი სიფრთხილით მოეკიდონ ამ საკითხს.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წინადადება მიეცა საჩქაროდ შეუდგეს იმ საკითხის შესწავლას, თუ რამდენი დემობილიზაციაქმნილი მეთაური იქნება 1929—30 წელში სამსახურში მოსაწყობი ა. კ. რესპუბლიკებში და გამოიმუშაოს ღონისძიებები მათი წარმატებით განაწილებისათვის.

სათანადო მასალები უნდა წარედგინოს განსახილველად ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს.

რა ხდება ადგილებზე

საცდელი მიწის ნაკვეთები მინერალურ გამანოყიერებელ ნივთიერებათათვის

გურჯაანი, 2 ოქტომბერი. კახეთში მიწათ - მოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქტორები მემინდვრეობის ყველა რაიონში აწყობენ მიწის ნაკვეთებს მინერალურ გამანოყიერებელ ნივთიერებათა გამოსაცდელად. ცდა ხდება უმთავრესად კოლექტივების მიწებზე. განზრახულია მოეწყოს რამდენიმე ასი ასეთი საცდელი ნაკვეთი; სივრცე ასეთი ნაკვეთისა ჰექტარის ერთ მერვედზე იქნება. (ადს).

რაიონის საბჭოების ყრილობა

თელავი, 2 ოქტომბერი. 1-ლ ოქტომბერს თელავში გაიხსნა თელავის რაიონის საბჭოების პირველი ყრილობა. მოსმენილ იქნა ამხ. ბაქრაძის მოხსენება შემოდგომის თესვის კამპანიისა და საბჭოების ამოცანების შესახებ. ყრილობამ აირჩია კომიტეტი 27 წევრისა და 5 კანდიდატის შემადგენლობით. სარაიონო აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ი. ქურდღულაშვილი, მის მოადგილეთ — მოჯამაგირე აზიზ მანუკოვი.

ყრილობამ თავის დადგენილებაში საჭიროდ მიიჩნია მეტი ყურადღება მიექცეს შემოდგომის თესვის კამპანიას და აგრომინიმუმისა და აგროდახმარების განხორციელებას. (ადს).

ქალთა საოლქო კონფერენცია

გურჯაანი, 2 ოქტომბერი. 1-ლ ოქტომბერს გაიხსნა სოფლის საბჭოების წევრ-ქალების პირველი საოლქო კონფერენცია. ოლქის სხვადასხვა რაიონიდან კონფერენციას 100-ზე მეტი დელეგატი ქალი დაესწრო. მათ შორის არიან მთიული - ქალები—ქისტები, თუშები და ლეკები. ერთი დელეგატი თურქი ქალია.

დღის წესრიგი: 1) ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა და ქალთა მონაწილეობა მის განხორციელებაში; 2) სასკოლო მშენებლობა თვითდაბეგვრის საფუძველზე.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. აფციაურმა.

მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. ორატორები აღნიშნავდნენ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობას. ბევრმა განაცხადა, რომ კახელი ქალი სოფლის მეურნეობის გარდაქმნისა და სოციალისტური სოფლის მოწყობის საქმეში გვერდში ამოუდგება კახელ გლეხს. (ადს).

სოხუმის ნავთსადგურის აგება

სოხუმი, 3 ოქტომბერი. დამთავრდა მუშაობა ნავთსადგურის სანაპირო ნაწილის მოსაწყობად 194 მეტრის მანძილზე. ზამთრის განმავლობაში განზრახულია ხიმინჯების შემდგომი ჩადგმა და ბეტონის სვეტების გამართვა. (ადს).

რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს საშემოდგომო კონტრაქტაციისათვის

შემოდგომის თესვა და კონტრაქტაცია

შემოდგომის თესვასთან ერთად ტარდება კონტრაქტაცია, მას შეაქვს სოფლის მეურნეობაში გეგმიანობა. ის, ზრდის მოსავლიანობას, აფართოებს ნათესების სივრცეს, ტექნიკურ ღონისძიებებით აუმჯობესებს მეურნეობას და სხვა.

კონტრაქტაციის გატარება ჩვენში დაკისრებული აქვს „სოფლის კავშირს" თავის საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით. წინასწარ მოწყობილ იქნა თათბირები, სადაც მიეცა საკრედიტო ამხანაგობებს ახსნა-განმარტება კონტრაქტაციის მნიშვნელობისა და სათანადო ორგანიზაციული მუშაობის ჩატარების შესახებ. კონტრაქტაცია ტარდება სამ ოლქში (კახეთის, გორის და ტფილისის).

უკვე დადებულია საკონტრაქტაციო ხელშეკრულება ადგილობრივ საკრედიტო ამხანაგობებთან, რომლებიც თავის მხრივ სდებენ ხელშეკრულებებს მთესველებთან.

1929 წ. საშემოდგომო ნათესებზე კონტრაქტაცია ტარდება: ხორბლეულის ნათესების 10.730 ჰექტარზე და ქერის 1.000 ჰექტარზე, სულ 11.730 ჰექტარზე. შარშან შემოდგომაზე ჩატარებული იქნა კონტრაქტაცია: ხორბლეულის ნათესების 6.618 ჰექტარზე და ქერის 758 ჰექტარზე, სულ 7.376 ჰექტარზე. ამრიგად, წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ, შარშანდელთან შედარებით, კონტრაქტაცია ხორბლის ნათესებზე გაადიდა 62,1 პროცენტით და ქერის 31,8 პროცენტით, სულ გაზრდილია 93,9 პროცენტით.

კონტრაქტაციის სახეები

საკონტრაქტაციო ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, უნდა გატარებული იქნას სამის სახის კონტრაქტაცია: ავანსიანი, უავანსო და შერეული. ამავე ხელშეკრულების მეოვე მუხლი იძლევა მოკლე ახსნა-განმარტებას ყველა სახის კონტრაქტაციის შესახებ.ა) საავანსო კონტრაქტაციის დროს მთესველს ეძლევა ფულადი ავანსი ხელშეკრულების დადებისას. უავანსო კონტრაქტაციის დროს მთესველს ეძლევა უფასო აგრო-დახმარება, ბ) მიწის დასამუშავებლად იარაღ-მანქანები; უკანასკნელი მათ უნდა მიაწოდონ სათანადო ორგანიზაციებმა პირველ რიგში, ამ იარაღ-მანქანების განაწილების დროს, გ) სათესლე სესხის მიღების უფლება. შერეული კონტრაქ. დროს მთესველებს ეძლევათ ყველაფერი ის, რაც გათვალისწინებულია უავანსო კონტრაქტაციაში, და, გარდა ამისა, ფულადი ავანსი ათი მანეთის რაოდენობით თითო ჰექტარზე პურის მოსავლის მოჭრის წინ. ავანსიანი კონტრაქტაცია ჩატარებულ იქნა ხორბლის ნათესებზე 9.000 ჰექტარზე და ქერის 1.000 ჰექტარზე; უავანსო კონტრაქტაცია მხოლოდ ხორბლის ნათესებზე—500 ჰექტარზე და შერეული კონტრაქტაცია ხორბლის ნათესების 1.230 ჰექტარზე. შარშან კონტრაქტაცია კი ჩატარებულ იქნა მხოლოდ ერთი სახის—ავანსიანი.

კონტრაქტაციის ფინანსიური მხარე

თესვისა და მიწის დამუშავების საწარმოებლად მთესველს ეძლევა ავანსი თითო ჰექტარზე 6 მანეთის ანგარიშით, აქედან ორი მანეთი ჰექტარზე საწარმოო კრედიტში ჩაირიცხება. საწარმოო კრედიტის საშუალებით მთესველს შეაქვს ტექნიკური გაუმჯობესება თავის მეურნეობაში. მას ეძლევა უფლება გამოიწეროს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რომელთა ღირებულების გადახდა განაწილებულია რამდენიმე კვარტალად; გადახდის თვითეული ვადის დადგომის დროს ჰექტარზე კუთვნილ 2 მანეთი საწარმოო კრედიტისა, რაც მთესველს ბანკში ენახება, ჩაერიცხება მას, მის მიერ სასოფლო-სამეურნეო იარაღის ღირებულების ანგარიშში. ამნაირად გაისტუმრებს მთესველი იარაღის მთელ ღირებულებას. ასეთი წესი იმიტომაა შემოღებული, რომ მთესველს არა აქვს ერთბაშად იმდენი თანხა, რომ იყიდოს სასოფლო-სამეურნეო იარაღი, ხოლო საწარმოო კრედიტის შემოღების წყალობით კი იძენს საჭირო იარაღ-მანქანებს.

კონტრაქტაციისათვის უკვე დარიცხულია 40.000 მანეთი და 20.000 მანეთი ინახება ბანკში საწარმოო კრედიტისათვის. ახლა მთესველს ხელში ეძლევა თითო ჰექტარზე 4 მანეთი და ორი მანეთი ბანკში ენახება საწარმოო კრედიტისათვის. ვინაიდან შარშან ხშირი იყო შემთხვევები, როცა კონტრაქტაციისათვის მიღებულ ავანსს საკრ. ამხანაგობა ხარჯავდა სხვა დანიშნულებისათვის და ამით უშლიდა ხელს კონტრაქტაციის გატარებას, ამიტომ წელს, თანახმად ხელშეკრულების 15 მუხლისა, ამხანაგობას არ აქვს უფლება კონტრაქტაციისათვის მიღებული ავანსი სხვა რაიმე დანიშნულებას მოახმაროს. ამავე დროს სოფლის კავშირი და სხვა სათანადო ორგანოები მოვალენი არიან გაუწიონ კონტროლი საკრ. ამხანაგობებს, რათა მათ კონტრაქტაციისათვის გაცემული ავანსები სწორად დაარიგონ და თავის დროზე მიაწოდონ მთესველებს. შარშან იყო კიდევ ისეთი შემთხვევა, რომ თუ მთესველს ქონდა ამხანაგობის სხვა რაიმე დავალიანება, ამას უჭერდნენ კონტრაქტიციით კუთვნილ ავანსიდან. წელს სასტიკად აკრძალულია, მთესველზე გასაცემ ავანსიდან რაიმე თანხის დაჭერა ძველ ვალდებულების დასაფარავად. (ხელშეკრულების მე-13-ტე მუხლი).

კლასობრივი ხაზი კონტრაქტაციაში

კლასობრივი პოლიტიკის მტკიცედ დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტაციის გატარების დროს. რადგან კონტრაქტაციის საწარმოო ხასიათი მოითხოვს გლეხობისაგან შეკავშირებული შრომით შესრულონ ის დავალებანი, რომელნიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებაში, ამიტომ, თანახმად ხელშეკრულობის მესამე მუხლისა, კონტრაქტაცია უნდა ჩატარდეს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ღარიბ და საშუალო მთესველთა ჯგუფურ შენაერთებს შორის. არავითარ შემთხვევაში კონტრაქტაცია გატარებული არ უნდა იყოს ინდივიდუალურ მეურნეობებს და შეძლებულ გლეხობის მიმართ.

კონტრაქტაციის საშუალებით გავაუმჯობესებთ კოლექტივების მდგომარეობას, როგორც ფინანსიური მხრით, ისე მიწის ტექნიკური დამუშავების მხრივ. კონტრაქტაციის საშუალებით შევქმნით მრავალ ჯგუფურ განაერთებს, რომელნიც კოლექტიური შრომით დაამუშავებენ ნათესებს, თანდათანობით გაიზრდებიან, გაფართოვდებიან და ჩამოყალიბდებიან კოლექტიურ მეურნეობებად. ამრიგად, სოფლად მრავალი ახალი ჯგუფური შენაერთი დაარსდება, ახალი კოლექტივები შეიქმნება.

კონტრაქტაციის გატარება დაიწყო სწორედ კოლექტივებში და საბჭოთა მეურნეობებში, აგრეთვე ღარიბ და საშუალო მთესველთა ჯგუფებში. თუ რომელიმე კოლექტივი, არტელი, ან საბჭოთა მეურნეობა არ მოისურვებს კონტრაქტაციის გატარებას, მათ წინააღმდეგ ზომები უნდა მივიღოთ, არაფრად ღირს ისეთი კოლექტივი, რომელსაც არ ესმის კონტრაქტაციის მნიშვნელობა და არ სურს ის ცხოვრებაში გატაროს.

მოსავლის ხარისხის გაუმჯობესება

მოსავლიანობის გადიდების და მის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საკონტრაქტაციო ხელშეკრულების მეოთხე მუხლის თანახმად მთესველმა შემოდგომის ნათესების საერთო რაოდენობიდან არა ნაკლებ 38 პროცენტისა უნდა დაამუშაოს მანქანით და ჩვეულებრივი წესით—65 პროც., ხოლო ამასთანავე იმ პირობით, რომ დაკონტრაქტებული სივრცის მთელი 100 პროცენტი მოიხნას რკინის გუთნით და მიწა განოყიერებულ იქნას მის დამუშავებამდე; მიწა უნდა იყოს დათესილი მწკრივში სათესი მანქანებით არა ნაკლებ 14 პროცენტისა, და თესვა უნდა სწარმოებდეს აუცილებლად გაწმენდილი და მოწამლული თესლით (მუხლი 5-თე). ყოველივე ეს რომ შეასრულოს მთესველმა, საკრ. ამხანაგობა ვალდებულია გაუწიოს მას დახმარება გათვალისწინებულ გაუმჯობესებათა განსახორციელებლად. ამასთანავე ერთად „სოფლის კავშირი" ვალდებულია არის გაუწიოს კანტროლი დაკონტრაქტებულ სივრცეზე თესვის ჩატარებას რაოდენობრივი და ხარისხობრივ მხრივ. (მუხლი 6-ე).

აგრო დახმარება

იმისათვის, რომ მთესველმა შესრულოს ის ვალდებულებანი, რომელნიც გამომდინარეობენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებიდან მოსავლიანობის გადიდების და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესების საქმეში, საჭიროა ტექნიკური და აგრონომიული დახმარება. შარშან ეს საქმე დაკისრებული ჰქონდა მიწადმოქმედების კომისარიატს. ამაზე დადებული იყო ხელშეკრულება სოფლის კავშირთან. წელს კი სათანადო ხელშეკრულებები დაიდო უშუალოდ იმ სამაზრო სადგილ-მამულო განყოფილებებთან, სადაც ტარდება კონტრაქტაცია.

ამ ხელშეკრულებათა ძალით ადგილობრივი სადგილ-მამულო განყოფილება ვალდებულია გაუწიოს თავის აგრონომების საშუალებით აგროდახმარება მაზრის ფარგლებში დაკონტრაქტებული მიწის ფართობს, რაც გამოიხატება შემდეგში: საჭირო აგრო-პროპაგანდა და უშუალო ხელმძღვანელობა ნიადაგის წესიერად დამუშავებისა და განოყიერების დარგში იმ საშუალებით და სახსრებით, რომლებიც მოეპოვება მეურნეს; მთელი სათესლე მასალის გადარჩევა და დახარისხება ახლო მყოფ გასაქირავებელ პუნქტების საშუალებით და ამ მუშაობის ხელმძღვანელობა; მეურნის მთელი სათესლე მასალის მოწამვლა გუდაფშუტის წინააღმდეგ და ამ მუშაობის ხელმძღვანელობა; ამისათვის საჭირო წამალს იძენს თვით განყოფილება თავის ხარჯზე. გათვალისწინებულია კიდევ მრავალი სხვა აგროდახმარება. ამ სამუშაოს ჩასატარებლად გაღებულია თითო ჰექტარზე 38 კაპეიკი, რაც უკვე გადაეგზავნათ ადგილებს. ამასთან ერთად სადგილ-მამულო განყოფილება ვალდებულია თვეში ერთხელ წარმოუდგინოს ცნობები „სოფლის კავშირს" სადგილ-მამულო განყოფილების მიერ ჩატარებულ აგრო-დახმარების შესახებ.

იარაღ-მანქანები

მთესველმა რომ ნათესები დამუშაოს იარაღ-მანქანებით, დათესოს მწკრივში, სათესლე მასალა გაწმინდოს და მოწამლოს და სხვა ტექნიკური გაუმჯობესებანი შეიტანოს თავის მეურნეობაში,—ამისათვის საჭიროა იარაღ-მანქანები. მთესველს ეძლევა საშუალება, ჯერ თითონ შეიძინოს საჭირო სასოფლო მანქანები საწარმოო კრედიტის საშუალებით, რომლის მიღების უფლება აქვს საკონტრაქტაციო ხელშეკრულების ძალით, შემდეგ სათანადო ორგანოებმა შეძლებისდაგვარად უნდა მიაწოდონ ადგილებს შემოდგომის თესვისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, რადგან მთესველი საწარმოო კრედიტის საშუალებით ერთბაშად ვერ შეიძენს ყველა საჭირო იარაღს. მიუხედავად იმისა, რომ სოფლად ყოველწლიურად იგზავნება მნიშვნელოვანი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მაინც მათზე მოთხოვნილება დიდია.

შარშან „სოფლის კავშირის" მიერ იყო გადაგზავნილი მაზრებში შემოდგომის და გაზაფხულის თესვისათვის სხვადასხვა სისტემის გუთნები. 8.371 ცალი, ფარცხები 814 ცალი, სათესები 782 ცალი, ტრიერები 111 ცალი, ტრაქტორები 25 ცალი. წელს საშემოდგომო თესვისათვის გაგზავნილია, როგორც საკრედიტო ამხანაგობებში, ისე კოლექტიურ მეურნეობებში: ტრიერები 155 ცალი, ბეხერის გუთნები 65 ცალი და № 4—800 ცალი, რაც უკვე მიღებულია ადგილებზე. ამასთან ერთად გამოწერილია და მოკლე ხანში იქნება მიღებული სხვადასხვა სისტემის გუთნები 560 ცალი, სათესები 35 ცალი და ტრაქტორები, რომლებიც განაწილდება სპეციალურად საკრედიტო ამხანაგობებში და კოლექტიურ მეურნეობებში. საკრედიტო ამხანაგობებმა და კოლექტივებმა მათ მიერ მიღებული სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანები უნდა გამოიყენონ დაკონტრაქტებულ ნათესებისათვის.

რა უნდა მოგვცეს მთესველმა

თუ შარშან შემოდგომის კონტრაქტაციის გატარების დროს და 1929 წ. საგაზაფხულო კონტრაქტაციის დროს ხელშეკრულების ძალით მთესველებს უნდა ჩაებარებინათ ჭირნახული მათ მიერ მიღებულ ავანსის 200 პროც. და 250 პროც. (გაზაფხულის) რაოდენობით, უღარიბეს გლეხებს კი მიღებული ავანსის 150 პროცენტი რაოდენობით, წელს, 1929 წ. შემოდგომის კონტრაქტაციის ხელშეკრულების მე-18 მუხლის თანახმად, მთესველები ვალდებულნი არიან ჩააბარონ თითეულ ჰექტარზე: ღარიბთა ჯგუფურმა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა 8 ფუთი, საშუალო გლეხთა ჯგუფურმა მეურნეობებმა და შერეულმა მეურნეობებმა (ღარიბ და საშუალო)—12 ფუთი, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა ჯგუფებმა 16 ფუთი. ასე რომ ჭირნახულის ჩაბარების საქმეშიაც დაცულია კლასობრივი ხაზი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსავლის მთელი რაოდენობა მთესველმა უნდა ჩაგვაბაროს ორი თვის განმავლობაში დღიდან მოსავლის აკრეფის. რამდენი ჩააბაროს პირველ თვეში და რამდენი მეორეში, ამას თვით საკრედიტო ამხანაგობა აწესებს, მთესველთან შეთანხმებით, რაც ხელშეკრულებაში აღინიშნება. მთესველს უფლება აქვს დააზღვიოს თავისი ნათესები, რადგან ხშირად ხდება, რომ ან თესლის უვარგისობით, ან გვალვის, ან ქარის და სხვა მიზეზებით მოსავალი არ მოსდის. მოუსავლიანობის დროს ადგილობრივი ალმასკომის საექსპერტო კომისია აყენებს სათანადო აქტს.

ზედამხედველობა და კანტროლი

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებანი უკვე გატარებულია ნაწილობრივ: თათბირები ჩატარებულია, საკრედიტო ამხანაგობებთან ხელშეკრულობა დადებულია, ისინი თავის მხრივ სდებენ მთესველებთან ხელშეკრულობებს, ავანსი გადაგზავნილია და მრავალ ადგილას მთესველებმა ის უკვე მიიღეს, აგრონომებისათვის გასაწევად დადებულია ხელშეკრულებები და ამ მიმართულებით დაწყებულია მუშაობა, აგრო-დახმარებისათვის საჭირო თანხები სადგილ-მამულო განყოფილებებს გადაეგზავნათ, იარაღ-მანქანები უკვე ადგილებზეა და სხვა. საჭიროა კონტროლი და ხელმძღვანელობა, რომ გაწეული დახმარება რაციონალურად იქნას გამოყენებული. კანტროლის გაწევის უფლება ეძლევა თვით საკრედიტო ამხანაგობას, „სოფლის კავშირს", ზევითმდგომ სათანადო ორგანოებს და ყველას, ვინც დაინტერესებულია სოფლის მეურნეობის განვითარებით და კონტრაქტაციის გატარებით. ამასთან ერთად კონტრაქტაციის ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ ადგილობრივმა თესვის სამეულებმაც, ეხლახან გაგზავნილმა აგიტკოლონებმა და მუშათა ბრიგადებმა. გაძლიერებული ხელმძღვანელობით და კანტროლით შესრულებული იქნება საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ასაღორძინებლად.

ელ. ჩხიკვაძე.

გადასვლა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე

საოლქო კომისიების მოწყობა

განუწყვეტელი საწარმოო კვირის გამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ მიზანშეწონილად სცნო მოეწყოს საოლქო საუწყებათაშორისო კომისიები ქუთაისში, ბათომში, სოხუმში და ფოთში. საოლქო კომისიების მოწყობის მიზანია განუწყვეტელი მუშაობის შემოღების საქმისათვის ხელის შეწყობა ადგილებზე, რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო კომისიის დაუდასტურებლად საოლქო კომისიებს არა აქვთ უფლება გადასდგან პრაქტიკული ნაბიჯები განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღების დარგში.

საოლქო კომისიებში შეყვანილ უნდა იქნენ — ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოების, შრომის კომისარიატისა, ვაჭრობის მომწესრიგებელ ორგანოების, პროფკავშირების და სხვების ორგანოების წარმომადგენლები.

განუწყვეტელი კვირა სავაჭრო ორგანიზაციებში

საუწყებათაშორისო რესპუბლიკანური კომისიის დადგენილებით განუწყვეტელი 5 დღიანი კვირა შემოღებული უნდა იქნეს ყველა იმ სავაჭროებში, რომლებიც ეკუთვნიან სახელმწიფო ან კოოპერატიულ ორგანიზაციებს. ყველა იმ მაღაზიებში, სადაც ვაჭრობენ ფართო მოხმარების საქონლით, ყოველდღიური ვაჭრობა უნდა სწარმოებდეს განუწყვეტლივ 10 საათის განმავლობაში. მოსამსახურეები ერთი მეორეს შესცვლიან ისე, რომ ამით არ დაბრკოლდეს მიმდინარე ვაჭრობა. ისეთ სავაჭროებში, სადაც ვაჭრობა სწარმოებს სპეციალური მოთხოვნილების საგნებით (ლინოლეუმი, პარფიუმერია, აბრეშუმი და სხ.) ვაჭრობა იწარმოებს 8 საათი.

საქ. სახ. ვაჭრობის მაღაზიებში № 2, 4, 5 და 6-ში განუწყვეტელი მუშაობა შემოღებული უნდა იქნეს მიმდინარე კვირაში. ვაჭრობა აღნიშნულ მაღაზიებში იწარმოებს 10 საათის განმავლობაში. ცეკავშირმა განუწყვეტელი კვირა პირველ რიგში უნდა შემოიღოს — მანუფაქტურის, გალანტერეის, ტრიკოტაჟის, შეკერილი ტანსაცმლის და ფეხსაცმლების მაღაზიებში.

ა.-კ. საგზაო სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების სავაჭროებში განუწყვეტელი კვირის შემოღება უნდა მოხდეს იმ ვარაუდით, რომ დატოვებულ იქნეს 8 საათის სავაჭრო დღე.

ამასთანავე საუწყებათაშორისო რესპუბლიკანურმა კომისიამ წინადადება მისცა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში, რომ მან წარმოადგინოს მთელი სავაჭრო ქსელის, საწყობების მუშაობისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანის დამატებითი პროექტი.

განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე

ა.-კ. რკინის გზების წარმოებების ერთი ნაწილი ახლო მომავალში გადავა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე.

პირველ რიგში განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადავა დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმე შემდეგ სადგურებში: ბათომში, ფოთში, ქუთაისში, შორაპანში, თბილისში, ნავთლუღში, განჯაში, ევლახში, ბალაჯარაში, ბაქოში (მე2 სადგურში), ლენინაკანში და ერევანში.

განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანილი იქნება სილისა და ქვის დამზადების საქმე (6 კარიერში).

გარდა ამისა, განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადავა სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოები სამტრედიაში, ხაშურში, თბილისში, ნავთლუღში და განჯაში.

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის შემდეგ გადიდდება მუშების რიცხვი და დაიდგმება ახალი მანქანები.

სტატისტიკის სამმართველო განუწყვეტლივ იმუშავებს

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოდან გამოყოფილია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ხელი შეუწყოს სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოში განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღებას. კომისიაში შედიან ადგილობრივი კომუჯრედის, პროფორგანოს და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

კომისიამ ამასთანავე შეიმუშავა მთელ დაწესებულებაში განუწყვეტელი მუშაობის შემოღების პროექტი, რომელიც უკვე გააცნეს ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას. საერთო კრებამ ერთხმად მოიწონა კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი და სასურველად აღიარა, რომ განუწყვეტელი საწარმოო კვირა დაწესებულებაში შემოღებულ იქნეს პირველი ოქტომბრიდან.

საერთო კრების სურვილი და კომისიის პროექტი წარდგენილია განსახილველად და დასამტკიცებლად სათანადო ორგანოებში.

სოფელთაშორისო სამანქანო-სატრაქტორო სადგურის ორგანიზაციის საკითხი

ყოფ. ბორჩალოს მაზრაში

საბჭოთა კავშირი იძლევა იმის საუცხოვო მაგალითს, თუ რამდენად შორს შეიძლება წავიდეს ქვეყნის სამეურნეო განვითარება, თანამედროვე სას.-სამ. ტექნიკის პირობებში თუ ეს ტექნიკა შეერთებულია საწარმოო ურთიერთობათა ყველაზე უფრო მაღალ, სოციალისტურ ფორმასთან. ამასთან სოციალისტურ წარმოების საფუძველზე ის მეტი წარმატებით, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნები ეუფლება მე-20 საუკუნის ტექნიკას.

აქ ჩვენ გვინდა შევეხოთ სოფლის მეურნეობას. ამ დარგში სოციალისტური მშენებლობის ყველაზე უფრო მკვეთრს, სულ უკანასკნელ წლების მიღწევას, წარმოადგენს მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის წარმოების ახალი ფორმა — სოფელთაშორისო სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ორგანიზაცია.

სოფელთაშორისო სამანქანო - სატრაქტორო სადგურების გეგმიან მშენებლობისათვის დიდი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უნდა იქნას გაწეული. ეს მუშაობა უმთავრესად უნდა შეიცავდეს: 1) რაიონის ბუნებრივ - ისტორიული და სოციალურ - ეკონომიური პირობების მიმოხილვას; 2) სოფელთაშორისო სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მუშაობის შედეგად მოსალოდნელი პერსპექტივი - საპროექტო ფორმის დასახვა; 3) სოფლის მეურნეობის საერთო შემოსავლის მოსალოდნელი გადიდების გამორკვევას, რასაც თან უნდა მოჰყვეს ერთდროულ ხარჯების გაანგარიშება და წამოწყების ეკონომიურ რენტაბელობის შესწავლა; 4) სოფელთაშორისო სამანქანო - სატრაქტორო სადგურის საორგანიზაციო გეგმის დეტალური შედგენა, რაც დანაწილებულ უნდა იქნას, ყოველწლიურ და საკვარტალო საოპერაციო ნაწილებად, სათანადო ფინანსიურ - ტექნიკური დასაბუთებით.

ასე გავიგეთ ჩვენ ის დავალება, რომელიც საქართველოს მიწსახკომმა ბორჩალოს მაზრაში გაგზავნილ კომისიას მისცა რაიონში მივლინების წინ.

სადღეისოდ ბორჩალოს მაზრაში კომისიას მუშაობის მდგომარეობა ასეთია: შეგროვილია ყოველნაირი მასალა რაიონის სასოფლო მეურნეობის ბუნებრივ - ისტორიული, სოციალურ - ეკონომიური და აგროტექნიკური ანალიზისათვის; როგორც ტექსტუალური, ისე ციფრობრივი მასალა ამჟამად კამერალური დამუშავების სტადიაშია.

ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია ჯერ-ჯერობით რამე კონკრეტული დასკვნების გამოყვანა, ამთავითვე შეიძლება მხოლოდ შემდეგის თქმა: 1) ბორჩალოს რაიონის ბუნებრივ - ისტორიული პირობები სოფელთაშორისო სამანქანო - სატრაქტორო სადგურის მოსაწყობად სავსებით შესაფერისად უნდა ჩაითვალოს, რადგან აქ ერთ ფარგალში დაბლობზე მოქცეული დაახლოვებით 50.000 ჰექტარი ნოყიერი მიწა ხარვანის ველის სახელწოდებით; მას გვერდით აკრავს ეგრედწოდებული კოდა—სოღანლუღის პლატო; სივრცით 20.000 ჰექტარი; და მდ. მტკვრის მარცხენა მხარეზე კი ყარაიას ველი სივრცით 30.000 ჰექტ. 2) ეკონომიური პირობებიც შესაფერად უნდა ჩაითვალოს, რადგან აქ, როგორც საგზაო, (ორი რკინისგზის მაგისტრალი), ისე საბაზრო (თბილისი, განჯა, ბაქო), პირობები ერთობ ხელსაყრელია. 3) საყოფაცხოვრებო პირობებიც შესაფერისია; აქაური ნახევრათ მომთაბარე მოსახლეობა ნაკლებად მიჯაჭვულია თავის ნაკვეთ მიწაზე და მათში კერძო მესაკუთრეობრივი ინსტიქტების აღმოფხვრა და მათი გადაყვანა განსაზოგადოებულ მეურნეობაზე გაცილებით ადვილი იქნება, ვიდრე სხვა რაიონებში.

ყველა ზემოაღნიშნულიდან ჩვენ სრულებით არ გვინდა იმ დასკვნის გაკეთება, რომ ის ერთი, ან უკეთეს შემთხვევაში, ორი სადგური, რომელიც მოსალოდნელია საქართველოში ამთავითვე მოეწყოს, უეჭველად ბორჩალოში გაშენდეს.

ჩვენ დაინტერესებული ვართ მით, რომ საქართველოში პირველმა სოფელთაშორისო სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა, რაც შეიძლება მეტი სოციალური და ეკონომიური ეფექტი გამოიღოს. ეს საჭიროა, ერთი მხრით, სადგურების შემდგომი მასიური მშენებლობის უზრუნველსაყოფად და, მეორე მხრით კი, საკუთრივ ეკონომიური სარგებლიანობის თვალსაზრისით.

ეს კი შესაძლო იქნება მაშინ, თუ ნაჩქარევ დასკვნებს არ გამოვიყვანთ, არამედ, წინასწარ დასახულ ყველა რაიონის (კახეთი, ბორჩალო, გორის ოლქი, სამეგრელო,), შესწავლისა და მათი ინდივიდუალური დამუშავების შემდეგ მიღებულ მასალების ურთიერთი შედარებით, ამა თუ იმ რაიონის უპირატესობის რეალური საფუძველს გამოვარკვევთ.

არჩევანი მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს.

აგრ. ნ. იაშვილი.

კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება

კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების შემოწმება უკვე დაიწყო. — შემოწმება მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შემოწმებასთან ერთად. — ახალი კოლხელშეკრულებების დადების კამპანია დაიწყება 1-ლ ნოემბრიდან. — კოლხელშეკრულებათა შეუსრულებლობაში დამნაშავე პირები მიეცემიან [illegible] პასუხისგებაში. — სად ჰქონდა ადგილი კოლხელშეკრულებების დარღვევას და რა მიზეზით.

1-ლი ოქტომბრიდან მთელ საქართველოში დაწყებულია კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების შემოწმება. შემოწმებას ატარებენ საწარმოების ცეხებთან გამოყოფილი მუშათა ბრიგადები, რომლებსაც ირჩევენ საცეხო საწარმოო თათბირები. აღნიშნული ბრიგადები ახდენენ აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შემოწმებასაც.

კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების შემოწმების ჩატარება მუშათა ბრიგადების საშუალებით მასიური კონტროლის ახალი ფორმაა. განვლილ წლებში კოლხელშეკრულებათა შესრულების შემოწმებას ახდენდნენ პროფკავშირების ორგანოები, რომლებიც ხელშეკრულების დარღვევის ყოველ ცალკე შემთხვევაში ღებულობდნენ სათანადო ღონისძიებებს. წელს კი შემოწმების ჩატარებაში ჩაბმული იქნებიან თვით მუშების წარმომადგენლები.

შემოწმება უნდა ჩატარდეს ორგვარი მიმართულებით: ერთის მხრივ უნდა გამოირკვეს, თუ რა ზომებს ღებულობდა სამეურნეო ორგანიზაცია კოლექტიური ხელშეკრულების შესასრულებლათ და მეორეს მხრივ, თვითონ მუშები ასრულებდნენ თუ არა იმ ვალდებულებებს, რომლებიც მათ ეკისრებათ ამავე კოლექტიური ხელშეკრულებით.

კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების შემოწმებას ხელმძღვანელობას უწევს საქ. პროფსაბჭო.

კოლექტიური ხელშეკრულების შემოწმებით ჩვენ უნდა მივიღოთ სრული სურათი იმისა, თუ როგორ ჩატარდა განვლილი სამეურნეო წელი; ჰქონდა თუ არა ადგილი შრომის ნაყოფიერების ზრდას, სამუშაო დროის გაცდენის შემცირებას და სხვ. აშკარაა, რომ იქ, სადაც კოლექტიური ხელშეკრულებები სავსებით შესრულებულია, ადგილი ექნება შრომის ნაყოფიერების ზრდას და სამუშაო დროის გაცდენის შემცირებასაც, ხოლო იქ, კი, სადაც ხელშეკრულებები არ შეუსრულებიათ, შრომის ნაყოფიერებაც ნაკლები იქნება და მეტი სამუშაო დროც დაიკარგებოდა ფუჭად.

მუშათა ფართო მასებმა უნდა იცოდნენ, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებებს არ აქვს ცალმხრივი ხასიათი. მის შესასრულებლათ თანაბრად პასუხისმგებელნი არიან როგორც სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისე წარმოებაში უშუალოთ ჩაბმული მუშები. მაგრამ, თუ მუშები სცდილობდნენ გაედიდებინათ თავისი შრომის ნაყოფიერება, ხოლო წარმოების ადმინისტრაცია კი მათ მხარს არ უჭერდა და მათ შრომას აბრკოლებდა ხელშეკრულების ამა თუ იმ მუხლის შეუსრულებლობით, მაშინ ასეთი დამნაშავე ადმინისტრატორები გამოყვანილ უნდა იქნენ მუშების სამსჯავროს წინაშე და ისინი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

შემმოწმებელ ბრიგადებს ევალებათ კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულების შესახებ მიღებული მასალები გამოიტანონ მუშათა საცეხო კრებებზე და მოისმინონ ფართო მასების აზრი ჩატარებული შემოწმების შესახებ.

შემოწმების ჩატარება უნდა დამთავრდეს ერთ თვეში, ე. ი. 1-ლი ნოემბრისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანია.

მიმდინარე შემოწმების დროს მიღებული გამოცდილება მთლიანად იქნება გამოყენებული ახალი კოლხელშეკრულებების დადების კამპანიაში.

როგორ უნდა ჩატარდეს კოლხელშეკრულებათა შემოწმება

იმის შესახებ, თუ რა საკითხების გამორკვევას უნდა მიაქციონ ყურადღება შემმოწმებელმა ბრიგადებმა, ან რა წესით უნდა ჩაატარონ მათ შემოწმება—პროფსაბჭოს სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგემ ამხ. ს. გოდაბრელიძემ განაცხადა შემდეგი:

მუშათა ბრიგადები გამოყოფილი უნდა იქნენ ცალკე ცეხებთან, საშუალოთ 10 კაცის შემადგენლობით თვითეული ბრიგადა. ბრიგადებმა უნდა გამოარკვიონ: კოლექტიური ხელშეკრულების რომელი მუხლები არ იყო ცხოვრებაში გატარებული და რა მიზეზებით; კონკრეტულათ რა ზომები მიიღო წარმოების ადმინისტრაციამ ან იმ სამეურნეო ორგანომ, რომელსაც ეს შეეხებოდა კოლექტიური ხელშეკრულების ამა თუ იმ მუხლის შესასრულებლათ; ტრესტები, ან ზემო მდგომი სამეურნეო ორგანოები რა ზომებს ღებულობდნენ იმისათვის, რომ არ დაბრკოლებულიყო ხელშეკრულების შესრულება.

მეორეს მხრივ უნდა გამოირკვეს პროფორგანოების დამოკიდებულება წარმოების ადმინისტრაციასთან. კერძოთ უნდა შემოწმდეს—ადევნებდა თუ არა თვალყურს ადგილობრივი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი კოლხელშეკრულების დარღვევის შემთხვევებს, ღებულობდა თუ არა გადამჭრელ ზომებს ხელშეკრულების დარღვეული მუხლის შესასრულებლათ, ხომ არ იჩენდა პასიურობას წარმოების ადმინისტრაციასთან დამოკიდებულებაში; აძლევდნენ თუ არა პროფორგანოები პასუხისგებაში ხელშეკრულების დარღვევის დამნაშავეებს და სხვ.

შემოწმების კამპანია უნდა ჩატარდეს არა მარტო ხელშეკრულებების დარღვევის გამორკვევის თვალსაზრისით, არამედ იმ მხრივაც, რომ გამოირკვეს, თუ რამდენათ შეეფერება ხელშეკრულების ესა თუ ის მუხლი წარმოების ინტერესებს და იყო თუ არა ობიექტიურათ შესაძლებელი დადებული კოლექტიური ხელშეკრულების უნაკლოთ შესრულება.

კლუბების მუშაობა უნდა გადახალისდეს

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება მუშათა კლუბების საზაფხულო მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კლუბებში არ სწარმოებდა პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა; უმეტეს შემთხვევაში გამეფებული იყო ხალტურა. კლუბები ჩამორჩნენ მიმდინარე პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს და სხვ.

მოხსენების გამო პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ პროფკავშირების კულტმუშაობა საერთოდ და კერძოდ კლუბების მუშაობა საზაფხულო პერიოდში, მიუხედავად ერთგვარ მიღწევებისა, გასულ წლებთან შედარებით, მკვიდროთ ვერ დაუახლოვდა და ვერ გაიღვიძა იმ მნიშვნელოვანი საკითხებით, რომლებიც სდგას მუშათა კლასის წინაშე; ეს საკითხებია სოც. შეჯიბრება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა, ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და სხვა.

უმეტეს კლუბების მუშაობაში არ სჩანდა მიმდინარე პოლიტიკური ამოცანების შეგნება და მუშაობის ამ ამოცანებთან შეფარდება.

მიიღო რა ეს მხედველობაში, პრეზიდიუმმა დაადგინა გადასინჯული იქნეს ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების ხელმძღვანელობის სისტემა და კულტმუშაკების შემადგენლობა იმ მხრივ, რომ უვარგისი მუშაკები მოხსნილი იქნენ სამუშაოდან და მათ ადგილზე წამოყენებული იქნენ ახალი კადრები, უმთავრესად მუშა - ახალგაზრდობის წრიდან.

15 ოქტომბერს უნდა დაიწყოს და 1 ნოემბერს დამთავრდეს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და პროფკავშირთა მერვე ყრილობის კულტმუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციების დამუშავება; აუცილებლად იქნეს ცნობილი კულტგანყოფილების ინსტრუქტორთა შტატის გადიდება დიდ კავშირებში.

ესტრადის საკითხის მოგვარების მიზნით, განათლების სახ. კომისარიატის წინაშე კატეგორიულად დასმული უნდა იქნეს საკითხი საკონცერტო ბიუროს დაარსების შესახებ, ხოლო სახკომსაბჭოს უნდა ეთხოვოს, რომ დოტაცია მისცეს ამ ბიუროს. ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიუროსთან დაარსებული უნდა იქნეს კომისია საუკეთესო საბჭოთა სპეციალისტებისაგან საესტრადო ძალების გასაცხრილავად. ხელოვნების მუშაკთა კავშირი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს პროფ. და პოლიტსკოლების გახსნას, რომლებშიაც უნდა ჩაბას კლუბებში მომუშავე ყველა ძალები.

დასასრულ, პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო 15 ოქტომბრიდან ჩატარებული იქნეს კულტმუშაობის გამოკვლევა სამაზრო ორგანიზაციებში.

რესპუბლიკანური თათბირი სას.-სამ. განათლების შესახებ

პირველი სხდომა

გუშინ, განათლების სახ. კომისარიატში გაიხსნა რესპუბლიკანური თათბირი სასოფლო-სამეურნეო განათლების შესახებ.

სხდომის დაწყებამდე თათბირის წევრებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს ახლად გარდაცვალებულ პროფ. რაზმაძის ხსოვნას.

შემდეგ სახ. საგეგმო კომისიის წარმომადგენელმა კონიაშვილმა დამსწრეთ გააცნო თათბირის მოწვევის მიზანი და აღნიშნა, რომ სასოფლო მეურნეობა უკვე გაცილდა აღდგენის პერიოდს და ეხლა ის იმყოფება რეკონსტრუქციის ხანაში, რომლისთვისაც ხელის შეწყობას და განვითარებას ითვალისწინებს 5 წლიანი გეგმა. ამასთან დაკავშირებით საკავშირო მასშტაბით მწვავედ ისმება სასოფლო მეურნეობის სპეციალისტების მომზადების საკითხი. ამ მხრივ ჩვენში კიდევ უფრო უნუგეშო მდგომარეობაა. ამიტომ საჭიროა ამ თავითვე მივიღოთ შესაფერი ღონისძიებები, რომ ხუთწლიანი გეგმა უმტკივნეულოდ შევასრულოთ.

სასოფლო მეურნეობის სპეციალისტებისა და კვალიფიცურ მუშაკთა მომზადება

ამ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სახ. საგეგმო კომისიის წარმომადგენელმა გ. ოქროპირიძემ.

საქართველოს სასოფლო მეურნეობაში სპეციალისტების ჩარევას, განაცხადა მან, ცოტა ხნის ისტორია აქვს. საქართველოს მეურნეობა საქართველოში საბჭ. ხელისუფ. დამყარებამდე მოკლებული იყო საჭირო აგრონომიულ დახმარებას. ამჟამად საქართველოში დაახლოვებით ითვლება სასოფლო მეურნეობის 667 სპეციალისტი, აქედან 320 აგრონომია.

საქართველოში მუშაობს 86 რაიონული აგრონომი, თვითეულმა მათგანმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს დაახლოებით 4.800 მეურნეობას, რაც სინამდვილეში შეუძლებელია. ამიტომ ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია მათი რიცხვის გაორკეცება. აგრეთვე გადიდებული იქნება მათი დამხმარე ტექნიკური და აგროპერსონალი.

რაიონული აგრონომები, როგორც ეხლა, შემდეგშიაც იმუშავებენ ადგილობრივ ალმასკომების ხაზით.

სპეციალურ აგრონომიულ მუშაობას უმთავრესად აწარმოებენ სხვადასხვა ორგანიზაციები საკუთარი გეგმით. ამ მიზნით „საქართვ. ჩაი-"ს, მეაბრეშუმეობის ტრესტს, კოლმეურნეობათა ცენტრს, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციას, მებამბეობის, მეთამბაქოების და მესაქონლეობის ორგანიზაციებს და სხვ. თავიანთი მუშაობის გასაფართოებლად და 5 წლიანი გეგმის წარმატებით შესასრულებლად სჭირდებათ დამატებით 1.480 უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი და 1.800 საშუალო ცოდნის მუშაკი. სპეციალისტებს შორის საჭიროა 1.027 აგრონომი, განსაკუთრებით აგრონომ-ორგანიზატორები კოლმეურნეობების განსავითარებლად.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს შეუძლიათ გეგმის ბოლოსთვის სულ მოგვცენ მხოლოდ 500-600 სპეციალისტი, ასე რომ დანარჩენების მომზადება მოგვიხდება პარალელურ სასწავლებლების და კურსების მოწყობის საშუალებით. გარდა ამისა სპეციალისტები უნდა მოვიწვიოთ მეზობელ რესპუბლიკებიდანაც.

ამავე საკითხზე მოხსენება გააკეთა მიწსახკომის წარმომადგენელმა აგრონომმა ხოფერიამ.

მომხსენებლის სიტყვით ამჟამად საქართველოში მუშაობს 106 აგრონომი - ორგანიზატორი. მათზე დიდი მოთხოვნილებაა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაძლიერების გამო.

5 წლის განმავლობაში გათვალისწინებულია კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული იქნეს 72.000 მეურნეობა, ე.ი. უღარიბეს გლეხთა მეურნეობის 50 პროც.

5 წლის ბოლოს კოლექტიურ მეურნეობებს ექნებათ 218.000 ჰექტარი მიწა, რაც შეადგენს ყველა სამეურნეო მიწების 15,3 პროცენტს. კოლმეურნეობათა მშენებლობის ეს ტემპი რომ არ შეფერხდეს, საჭიროა 250 ახალი აგრონომი - ორგანიზატორი.

გარდა ამისა აგრონომი - ორგანიზატორები საჭიროა საბჭოთა მეურნეობების განსავითარებლად. გეგმით ხუთი წლის განმავლობაში მოეწყობა 14 ახალი საბჭოთა მეურნეობა; ასე რომ ამ მხრივაც და კიდევ სხვა სასოფლო - სამეურნეო ორგანიზაციების დასაკმაყოფილებლად მიწსახკომს ესაჭიროება სულ 500 აგრონომი - ორგანიზატორი, აქედან 250 მაღალი ცოდნით.

სხვადასხვა კულტურების განსავითარებლად და მოსავლის ასაწევად საჭიროა აგრეთვე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ტექნიკოსები, ინჟენერ - აგრონომები და სხ. მაგალითად განზრახულია ბამბის ნათესები ისე გაფართოებული იქნეს 22.000 ჰექტარამდე, თამბაქოს—21.000 ჰექტარამდე. ამასთანავე საგრძნობლად გადიდდება კანაფის და შაქრის ჭარხლის მეურნეობების სივრცე. ამ მიზნით საჭიროა 150 ახალი უმაღლესი ცოდნის და 100 საშუალო ცოდნის მემინდვრე.

მესაქონლეობის დარგში საჭიროა 350 ახალი მესაქონლე, მათ შორის 150 უმაღლესი ცოდნით. გეგმით განზრახულია ბაღების სივრცე 11.806 ჰექტარიდან აყვანილ იქნეს 18.111 ჰექტარამდე და ახალი ვენახი გაშენდეს 10.758 ჰექტარზე. აგრეთვე გათვალისწინებულია სხვადასხვა ძვირფასი კულტურების გაშენება, რისთვისაც მიწსახკომის აზრით საჭიროა 272 სპეციალისტი უმაღლესი ცოდნით და 170 საშუალო ცოდნით.

დირექტივების თანახმად საქართველოში ჩაის პლანტაციების სივრცე უნდა გაიზარდოს 60.000 ჰექტარამდე. ყოველ 500 ჰექტარზე საჭიროა ერთი ინსტრუქტორი-აგრონომი და 200 ჰექტარზე თითო საშუალო ცოდნის ტექნიკოსი. სულ საჭიროა 450 ინსტრუქტორი - აგრონომი და 30 აგრონომი ტექნიკოსი.

მეურნეობის მექანიზაციის დარგში საჭიროა 880 უმაღლესი ცოდნის და 100 საშუალო ცოდნის ახალი სპეციალისტი.

მეტყევობის დარგში საჭიროა 300 ახალი მეტყევე, მიწადმოსაწყობად 280 მიწის მზომელი და ტექნიკოსი. გარდა ამისა, საჭიროა 250 ახალი ვეტერინარი.

თათბირმა სასოფლო მეურნეობის სპეციალისტებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიიღო სახ. საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული ნორმა ზოგიერთი შესწორებებით.

ყოფილი აზნაურების, კულაკების და მენშევიკების ალვირახსნილობა

(ლიხაურის თემში)

ლიხაურის თემი ოზურგეთის მაზრაში საკმაოდ ცნობილი კუთხეა, ის ხალხის საერთო კულტურული დონის მიხედვით არ ჩამოუვარდება მოწინავე თემებს არა თუ ოზურგეთის მაზრაში, არამედ მთელ საქართველოშიც. თავისი პოლიტიკური წარსულით ის ცნობილია, როგორც მენშევიკების ბუდე. აღნიშნული თემი ქ. ოზურგეთიდან, როგორც სამაზ. ცენტრიდან, დაშორებულია მხოლოდ 3-4 ვერსის მანძილით, რაც გვაძლევს საბაბს გვეფიქრა, რომ აქ ადგილობრივი საბჭოთა მუშაობას ექნებოდა მკიდრო ხელმძღვანელობა და ადგილი არ დაურჩებოდა თემის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ისეთ უმსგავსო მოვლენებს, რომლებსაც დღეს იქ ვხვდავთ. **ამ თემში იმდენათ თავაშვებული არიან ყოფილი აზნაურები, კულაკები და მენშევიკები**, რომ ბუნებრივად იბადება საკითხი, **თუ ვისი ხელისუფლება არსებობს აქ. მათი თუ საბჭოთა.** იმდენად თავისუფლად გრძნობენ თავის თავს ყოფილი აზნაურები, რომ სხვადასხვა ფორმებში ახერხებენ წინანდელ მდგომარეობის საკმაოდ შენარჩუნებას. მათ თავგასულ მოქმედების სახით აქ ჩვენ ვპოულობთ **ნამდვილ ბატონყმურ ურთიერთობას**, შელამაზებულს თანამედროვეობის „შესაფერ" ფორმით.

მაგალითისათვის ავიღოთ ის, თუ როგორ ისარგებლა ერთმა ყოფილმა აზნაურმა ადგილობრივ საბჭოთა - პარტიულ ორგანიზაციების სისუსტით, რომლებსაც, როგორც სჩანს, არ ესმით კლასიური ხაზის შინაარსი სრულიად, როგორ ისარგებლა ამისათვის რომ **პირველი ღამის უფლებაც კი აღადგინა**, სხვას რომ თავი დავანებოთ, ესა თუ ის საზოგადოებრივი მოვლენა და მათ შორის პირველი ღამის უფლებაც განსაზღვრული ეკონომიური პირობითაა გამოწვეული. მის მეტად მოქნილ ფორმაში აღდგენას ვერ შესძლებდა ყოფილი აზნაური **ერმილე თაყაიშვილი**, რომ მას ვერ მოეხერხებია სათანადო ეკონომიური პირობების შექმნა, საუკეთესო შემოსავლიან მიწა-წყლის დიდი რაოდენობის შენარჩუნებით. ამ მიწების საშუალებით ეს ყოფილი აზნაური მამა-პაპურ ცხოვრებას ეწევა ლიხაურის თემში, რადგან ის მას აძლევს საშუალებას უმეტესად სხვა ამუშაოს, და არა თვითონ იმუშაოს, ამა თუ იმ მიწის ნაჭერს ის ხშირად სცემს „საზიაროდ" ღარიბ გლეხებზე, რომლებიც იძულებული არიან მოსავალი შუაზე გაუყონ არარის მქნელ ყოფილ აზნაურს. ეს უკანასკნელი ხშირად მიმართავს დაქირავებულ შრომასაც. მას პირველად მოჯამაგირედ (მოზარდულად) აუყვანია თავისი მეზობლის, ღარიბი კაცის, **სტეფანე სურგულაძის** ახალგაზრდა ქალი. ძველი მოხუცი აზნაურს მოუნდა ძველი ნეტარი ცხოვრება და მან ქალი გააუპატიურა, რის შემდეგ, ბოროტმოქმედების დაფარვის მიზნით, ის „შვილობილად" გამოაცხადა. საქმე რომ უფრო მტკიცე ბოძზე დაეყენებია, თავადს „უშვილობის" მეორე ღარიბი კაცის ვაჟი, რომელსაც შეპირებია ქონების დამტკიცებას, თუ „ნაშვილებ" ქალს ცოლად ითხოვდა. ვაჟიც ასე მოიქცა, მაგრამ დახე თავადის „უიღბლობას!" ვაჟმა რამოდენიმე დღის შემდეგ როდესაც დარწმუნდა — თუ რაში იყო საქმე, იკადრა წასვლა. ეს გაუგებარი არ დარჩა არც ღარიბ ქალის დედ-მამისათვის. თავადს დაემუქრენ, მაგრამ ეკონომიურმა ძლიერებამ თავისი გაიტანა და საქმეც მორიგებით დამთავრდა. მას შემდეგ, რაც შუაში ჩამოდგენ ყოფილი თავადის დამქაშები, ისეთი გამოქნილი და გაიძვერა კულაკები, როგორიცაა **ყარამან კალანდარიშვილი და ბეგურ გორდელაძე** (ეს უკანასკნელი მისი მოურავია), რომლებსაც ასეთი შავი საქმეები ადვილად ახდით ხელზე, რისთვისაც ისინი საკმაოდ ცნობილნი არიან მშრომელ გლეხობაში. ასეთი ღონისძიებების მეოხებით ყოფილი თავადი დღემდე ყვლეფს აღნიშნულ ქალს. როგორც სჩანს, თემის საბჭოს და ბევრს სხვას, ვისაც ასეთი საქმე ეხება, ეს ნორმალურ მოვლენად მიაჩნიათ, რაც ბადებს ჩვენში შიშს იმის შესახებ, რომ ამის მსგავს ხელობას მხოლოდ აღნიშნული აზნაური არ მისდევს და მას უსათუოდ ეყოლება კოლეგები. თავის შინაარსით ეს საქმე რითი ჩამოუვარდება იმას, რასაც ბატონყმობის დროს პირველი ღამის უფლებას ეძახდნენ! ასეთ მოვლენას ჩვენ ვპოულობთ საბჭოთა ხელისუფლების რამოდენიმე წლების არსებობის შემდეგ.

რა არის საჭირო ამ უმსგავსოების ძირფესვიანად მოსპობისათვის. ამისათვის საჭიროა **აღნიშნული აზნაურის გასამართლება თავისი დამქაშებითურთ და მისი გასახლება. მიწის ჩამორთმევით და ღარიბ გლეხობაზე გადაცემით. ყოფილი აზნაური ერმილე თაყაიშვილი** თავისი მდგომარეობით არ საჭიროებს მიწა-წყალს, რადგან მას მოსწრებული შვილები ყავს, რომელთაგან 3—4 ექიმია, მათ შორის სევერიანე თაყაიშვილი, რომელმაც ზემოაღნიშნული კულაკი ბეგურ გორდელაძე „ძმობილათ" გამოაცხადა, უკანასკნელ იმპერიალისტურ ომში სამხედრო ექიმათ ყოფნის დროს, თავისთან „დენშჩიკად" გადაიყვანა და „ძმურად" ძარცვა-გლეჯის როლს ასრულებინებდა. აი, საიდან მოდის მათი დღევანდელი „ბლოკი"ს ფესვები. დიდი ხანია, რაც ყოფილი აზნაური ერმილე თაყაიშვილი სოფლიდან წასული იყო და ქალაქში ცხოვრობდა. ის დაბრუნდა სოფლად ამ 3—4 წლის წინად—მიწა-წყლის დაბრუნების და ძველი ცხოვრების აღდგენის მიზნით. მას ეს საშუალება უნდა მოესპოს დაუყონებლივი გასახლებით.

ლიხაურის თემში გავრცელებულია მიწის „მალულად" ყიდვა-გაყიდვა. ასეთი შემთხვევების შესახებ ყველამ იცის და უნდა ვიფიქროთ, რომ ეცოდინება ადგილობრივ ხელისუფლებასაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამას არ ებრძვის გადამჭრელი ზომებით. მიწის გაყიდვით ცხოვრობს ყოფილი აზნაურების ერთი კატეგორია. განსაკუთრებით ისეთი ხალხი, როგორიცაა **გიორგი გოგოლაშვილი**, რომელმაც არ იცის—რა არის მუშაობა„ მაგრამ ისედაც კარგათ ცხოვრობს. მიწის გაყიდვას მიმართავს აგრეთვე **გაბრიელ გოგოლიშვილიც**, მიუხედავად იმისა, რომ ის საბჭოთა მოსამსახურეა, ჩაქვის ჩაის ერთ-ერთ სპეციალისტად ითვლება (ალბად ჩაის საქმე ისე ზედმიწევნით შეისწავლა კადეტთა კორპუსში სწავლისა და პარიტეტულ კომიტეტის წევრობის დროს, რომ თავისი ცოდნით მოხიბლა „საქართველოს ჩაი" და სამსახურშიც მიიწვიეს). მიწა-წყლის ყიდვა-გაყიდვის მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია, ამიტომ ჩვენ მასზე არ შევჩერდებით. საჭიროა მხოლოდ მკაცრი ზომების მიღება მის აღმოსაფხვრელად.

ყოფილი აზნაურების და კულაკების გავლენა აქ იმდენად ძლიერია, რომ მათ თავის გავლენის ქვეშ დაუყენებიათ, როგორც სჩანს, ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობაც. რას უნდა მივაწეროთ აბა ჩვენ ისეთი მოვლენა, როდესაც ის ღარიბ გლეხს სესხზე უარს ეუბნება, ხოლო ყოფილ აზნაურს და კულაკს სესხით ხელს უწყობს. მაგალითისათვის: ალექსი ურუშაძე ღარიბი მშრომელი გლეხია ლიხაურის თემში. მან მიმართა საკრედიტო ამხანაგობას ასი მანეთი სესხის მიღებისათვის ხარის შესაძენად (მგონი ცალი ხარი მოუკვდა); საკრედიტო ამხანაგობამ ის ფულის უქონლობის მომიზეზებით უარით გაისტუმრა. მხოლოდ იმავე დღეებში კი ყოფილ აზნაურს, მუდამ უსაქმოდ და მუქთახორულად მცხოვრებს გიორგი გოგოლაშვილს ასი მანეთით ხელი მოუთბო, ალბად,კონტრაბანდის კოსტიუმის შესაძენათ. ასეთი სახელმწიფო დაწესებულების გაჯანსაღებისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ ამოქმედებული იყოს რკინის ცოცხი.

თავისთავად ცხადია, რომ ყოფილი აზნაურების და კულაკების ასეთ თავისუფალ ნავარდობის და ადგილობრივ საბჭოთა, პარტიულ ორგანოების სრული უმოქმედობის ატმოსფერაში მენშევიკებისათვის იქმნება პირობები შესაფერ „მოღვაწეობისათვის". ასეთ „მოღვაწეობაზე" ხელს არ იღებს მენშევიკი **ვარლამ კალანდარიშვილიც**, რომელიც დიდი ხანი არ არის დაბრუნდა გადასახლებიდან. როგორც სჩანს, უქმად ჩაუვლია მის გადასახლებას, ცუდუბრალოდ დაკარგულა საბჭოთა პური სამი წლის განმავლობაში, რადგან ეს „პატიოსანი გვამი" ძველებურ ყაიდაზე განაგრძობს საქმეს. ეს იმდენად გასაკვირველი არ არის, რამდენადაც ის, რომ იგი ახერხებს საბჭოთა ორგანოები თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ეს უკვირს ყველას და ვერ პოულობენ პასუხს. მშრომელი გლეხობა აუშფოთა იმ გარემოებამ, რომ ხსენებულმა მენშევიკმა იმდენად მოაჭახრაკა საქმე საბჭოთა დაწესებულებებში, რომ მან „კანონიერ" ფარგლებში შესძლო წისქვილი დაკეტა მის პატიოსან მშრომელ გაყოფილ ძმისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მას წისქვილის აშენებაში მონაწილეობა არ მიუღია და ის არც მის მიწაზეა აგებული. ეს „სოციალისტი" ძმას გამოედავა წისქვილში იმ საბუთით, როგორც ამავე საბუთით ედავებოდა ყველას, რომ ის გადასახლებული იყო „ხალხის საქმეზე", „ქვეყნის საერთო ინტერესებისათვის" და სხვა. და, როგორც ასეთს, მას აქვს უფლება მოითხოვოს წილი წისქვილში. მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა, თუ როგორ მოახერხა მან წისქვილში წილის მღებისათვის პირველი ნაბიჯის გადადგმა — ხელისუფლების განკარგულებით წისქვილის დაკეტის სახით. ეს მოხდა ასე: წისქვილის პატრონის დაუკითხავათ და მისი მონაწილეობის გარეშე მოუწვევია სამედიატორო სასამართლო თავის ძმა-ბიძებისაგან (სამედიატორო სასამართლო მეორე მხრის მონაწილეობის გარეშე — ასეთია მენშევიკური სამართალი), ლიხაურის თემის საბჭოს წყალთა სექციის წევრებისაგან, და პურმარილით შემკობილ მუსაიფის შემდეგ ერთ მშვენიერ საღამოს მენშევიკი **ვარლამ კალანდარიშვილი** ღებულობს სამედიატორო სასამართლოს „ავტორიტეტულ" დასკვნას იმის შესახებ, რომ ის ყოვლად მართალია და წისქვილის ნახევარი მას ეკუთვნის. ეს ქაღალდი თემის საბჭოს დახმარებით მიდის ბათომის საოლქო წყალთა სამმართველოში, რის შემდეგ ამ უკანასკნელისაგან გამოიცა ბრძანება წისქვილის შეჩერების შესახებ. გლეხობა ფიქრობდა,— და ეს ჭეშმარიტებაცაა, რომ მენშევიკ **ვარლამ კალანდარიშვილს** თავის ხალხი ყავს არა მარტო თემის საბჭოში, არამედ მის ზევითაც, და ამას თვითონაც არ მალავს. ის ზემოდმოყვანილ ლოზუნგებთან ერთად ხშირად ისვრის ხალხის დასატუქსავად ლოზუნგებს იმის შესახებ, რომ ის საქვეყნოდ ცნობილი კაცია, რაც უნდა იმას გააკეთებს თავის „მფარველების" დახმარებით„ და თუ ამახაც არ გასჭრა, მაშინ ყველამ უნდა იცოდეს, რომ „ჩვენი დრო დაბრუნდება"-ო.

მენშევიკის ასეთ მატრაკვეცობას და ალვირ-ახსნილობას ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა მაგარი ლაგამი. ის ხალხს აწუხებს. ალბად, ასეთი „ლოიალური" განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი აძლევს საბუთს **ვარლამ კალანდარიშვილს** საბჭოთა სამსახურში მოწყობა სცადოს.

ლიხაურის თემის საბჭოს ასეთი უძლურება ყოფილი აზნაურების და კულაკების ალვირ-ახსნილობის ალაგმვის საქმეში ნათელი იქნება ჩვენთვის, თუ გავიხსენებთ, რომ ეს საბჭო არჩეულია მათი უშუალო მონაწილეობით. მე ვეცადე გამომეკვლია, თუ აღნიშნულ პირებისაგან, სხვებს რომ თავი დავანებოთ, რომელს აქვს წართმეული საარჩევნო ხმის უფლება, მაგრამ ასეთი არ აღმოჩნდა. კიდევ უფრო მეტი. ზოგიერთ მათგანს დღემდის არ ჰქონია საარჩევნო უფლება, მაგრამ საბჭოს უკანასკნელ გადარჩევის დროს ის მიუღია. ალბად, არიან ისეთი ჭკუის კოლოფები, რომლებიც ფიქრობენ, რომ გასულ წლებთან შედარებით საარჩევნო უფლება გაფართოვდა. როგორც სჩანს, ასეთ ხალხს მეტად „რადიკალურად" ესმით მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საკითხები. რომ ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა, სჩანს იქიდან, რომ, მაგალითად, **ბეგურ გორდელაძეს საარჩევნო** ხმის უფლება არ ჰქონდა წარსულ არჩევნებში, მხოლოდ უკანასკნელში კი. რა გასაკვირია ამის შემდეგ, თუ მენშევიკები, ყოფილი აზნაური და კულაკი კმაყოფილად გრძნობენ თავს საბჭოს „მუშაობით" და მის საშუალებით აკეთებენ იმას, რაც მოეპრიანებათ. დროა ასეთ მოვლენას ბოლო მოეღოს —საბჭოთა მუშაობის გაჯანსაღებით, კლასიური ხაზის გატარების საფუძველზე, და აღნიშნულ კატეგორიის ხალხის სწრაფი ალაგმვით.

კ. გორდელაძე.

საქ. პროფსაბჭოში

ნებაყოფლობითი ინსტრუქტორები

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო მიმაგრებული იქნეს პროფსაბჭოზე კავშირების ცენტრალურ გამგეობის და პლენუმის წევრებისაგან ნებაყოფლობითი ინსტრუქტორები.

ს. პ. კ. საბჭოზე მიმაგრებული იქნება 50 ნებაყოფლობითი ინსტრუქტორი, რომლებიც გამოყენებული იქნებიან სხვადასხვა დავალებების შესასრულებლად, გამოკვლევების ჩასატარებლად და სხვა.

პროფმუშაკების მომზადება

1929 — 30 წლის განმავლობაში პროფკავშირების კულტმუშაკების მოსამზადებლად გახსნილი იქნება: მაზრის პროფმომუშავეთა თვენახევრიანი კურსები, რომელსაც გაივლის 240 კაცი, კლუბების და წითელ კუთხეების გამგეთა კურს-სემინარები, და პროპაგანდისტების კურსები 50 კაცისათვის.

ამას გარდა, ცალკე კავშირების ხაზით გახსნილი იქნება 42 პროფსკოლა, 20 კულტკომისიების მუშაკთა მოსამზადებელი კურსები, 12 საწარმოო - ეკონომიური კომისიების მუშაკთა კურსები, 13 შრომის დაცვის და საკონფლიქტო კომისიის მუშაკთა კურსები, 13 სარევიზიო კომისიის მუშაკთა კურსები, 42 ხუთწლიანი გეგმის შემსწავლელი წრე და 15 სხვადასხვა წრე.

„სწავლის დღე"

კვირას, 6 ოქტომბერს, ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილება ყველა კულტორგანიზაციებში აწყობს „სწავლის დღეს", რომლის მიზანია მიაპყროს პროლეტარულ საზოგადოებრიობის ყურადღება წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, რევოლიუციონურ თეატრის შესწავლის, პროფტექნიკურ და საწარმოო განათლების გაძლიერების, მუშათა საერთო განათლების და სასკოლო მდგომარეობის საკითხებზე.

ამ მიზნით მუშათა კლუბებში მოეწყობა სათანადო მოხსენებები, ცნობათა მაგიდები, გამოფენები და სხვ.

კულტაქტივის კონფერენცია

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება შაბათს, ოქტომბრის 5-ს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში იწვევს კულტაქტივის საქალაქო კონფერენციას.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:

საზაფხულო საკლუბო მუშაობის შედეგები და საზამთრო მუშაობის პერსპექტივები; პროფკავშირების კულტმუშაობა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ბოროტმოქმედება პურის ახალი წიგნაკებით

ა. წ. სექტემბრის ბოლო რიცხვებში თბილისის მუშკოოპმა დაამთავრა პურის ახალი წიგნაკების განაწილება თბილისის მშრომელ მოსახლეობას შორის. სათანადო ორგანოების მიერ ენერგიული ზომები იყო მიღებული, რათა პურის ახალი წიგნაკები ხელში არ ჩავარდნოდა არა მშრომელ და ანტისაბჭოთა ელემენტებს, მაგრამ თბილისის სისხლის სამართლის მილიციის მიერ აღმოჩენილი ბოროტმოქმედება ცხადჰყოფს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ავალაპარაკოთ ფაქტები.

გუშინწინ, თბილისის ს. ს. მილიციამ ნაქურდალი ნივთების აღმოსაჩენად მოახდინა დავით ლეონტისძე რამიშვილის ბინის (პეტრიაშვილის ქ. № 8) გაჩხრეკა. გაჩხრეკისას მილიციის წარმომადგენლებმა ჩემოდანში წააწყდნენ ათ ცალ პურის ახალ წიგნაკს (თვითეული წიგნაკი ოთხი სულის არის). რამიშვილს მოსთხოვეს ახსნა - განმარტება. მან განაცხადა, რომ წიგნაკები ეკუთვნის მასთან მცხოვრებ სიმონ ფილიპესძე ძნელაძეს, რომელიც დარაჯად მუშაობს ამიერ - კავკასიის რკინის გზების ქალაქის ცენტრალურ სადგურში (ა. წერეთლის ქ.).

სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა შეამოწმეს პურის წიგნაკები; ისინი ნამდვილ წიგნაკებათ იქნა ცნობილი. წიგნაკებზე სათანადო ხელწერის გარდა დასმულია მუშკოოპის პურის წიგნაკების სექციის ბეჭედი და მიმაგრებულ მაღაზიის ნომერი. დაკითხეს ძნელაძე; მან მიკიბულ-მოკიბული ჩვენება მისცა და ბოლოს განაცხადა, რომ „წიგნაკები იპოვა ცირკის მახლობლად მდებარე საპირფარეშოში". ძნელაძე დააპატიმრეს. დაიწყო ამ საქმის სასწრაფო გამოძიება. სისხლის სამართლის მილიციის ინსპექტორი მ. ხანჯარია წავიდა წიგნაკების განმანაწილებელ პუნქტზე (ურესის ქ. № 19) საჭირო ცნობების მისაღებად, მაგრამ იქ ვერ მიიღო ისეთი უბრალო ცნობაც კი, როგორიც არის: რამდენი პურის წიგნაკები შეუკვეთეს სტამბას დასაბეჭდათ, რა რაოდენობის წიგნაკებია დარიგებული თბილისის მოსახლეობას შორის და სხ. მხოლოდ განაცხადეს, რომ ერთი ბეჭედი დაიკარგაო.

საჭირო ცნობების უქონლობამ შეაფერხა ამ საქმესთან დაკავშირებულ სხვა ბოროტმოქმედებათა დროზე გამომჟღავნება. სისხლის სამართლის მილიცია ღებულობს სასწრაფო ზომებს ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად.

პურის ახალი წიგნაკები თბილისის მუშკოოპმა დაამზადა პოლიგრაფ-წარმოების საქარხნო - საფაბრიკო სკოლის სტამბაში, რომელიც მდებარეობს ა.-კ. რკინის გზების ქალაქის სადგურის გვერდით. სადგურის დარაჯათ კი ითვლება ძნელაძე. სისხლის სამართლის მუშაკებს აქედან დასკვნა გამოჰყავთ, რომ შესაძლებელია ძნელაძემ წიგნაკები მოიპარა სტამბიდან ან და ვინმემ დაავალა მას წიგნაკების გაყიდვა.

გამოანგარიშებულია, რომ 10 წიგნაკიდან შეძენილ შაქრის, პურისა და სხვა პროდუქტის გადაყიდვით, ძნელაძეს ყოველთვიურად წმინდა მოგება 200 მანეთამდე დარჩებოდა.

ო. ვ.

მიწსახკომი წმენდის წინ

მიწსახკომში სუსტადაა ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობა. — უპარტიო მუშა-მოსამსახურეები არ არიან ჩაბმული წმენდის საქმეში. — ადგილი აქვს ერთმანეთისათვის ხელის დაფარებას. — კედლის გაზეთები და მსუბუქი კავალერია სუსტად მუშაობენ.—ადგილებთან არ არსებობს კავშირი.

26 სექტემბერს „კომუნისტი"-ს მუშკორებმა ამხ. **იტრიევმა, ხებრელაშვილმა და ახალაძემ** მოახდინეს იმის გამოკვლევა, თუ როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა აპარატის წმენდისათვის მიწადმოქმედების კომისარიატში.

გამოკვლევის დროს დაკითხული იქნენ ამავე კომისარიატის ადგილკომის, კომუჯრედის და გამწმენდი კომისიის წარმომადგენლები. გამოირკვა, რომ მოსამზადებელი მუშაობა დროზე ყოფილა დაწყებული, მაგრამ ის ფართოდ ვერ გაუშლიათ. სპეციალისტები თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებენ წმენდის მომზადებაში.

გამწმენდი კომისია არ აწარმოებდა მომუშავეთა ინდივიდუალურ დახასიათებას; არც კომუჯრედზე და არც ადგილკომის ფრაქციაში არ ჩაუტარებიათ მომუშავეების დახასიათება. კომისია აპირებს მომავალში შეკრიბოს ყველა ცნობები და მთლიანად განიხილოს. ჯერ-ჯერობით არაა აგრეთვე შედგენილი საეჭვო პირთა სიაც.

კომისარიატის მუშა-მოსამსახურეებს განუხილავთ უმაღლეს ორგანოების მოწოდება წმენდის შესახებ, მაგრამ კამათში უპარტიოთა ძლიერ მცირე რაოდენობას მიუღია მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ ადგილი ქონია ერთმანეთისათვის ხელის დაფარებას. კომისია აგროვებდა პრესაში გამოქვეყნებულ შენიშვნებს. ადგილობრივი კედლის გაზეთი სისტემატიურად ვერ აშუქებდა აპარატის წმენდის მნიშვნელობას' რედკოლეგია ფიქრობს მომავალში გამოუშვას სპეციალური ნომერი.

ოქმების გადათვალიერებამ ნათელჰყო, რომ შედგენილი ყოფილა გეგმა, თუ როგორ უნდა ჩატარებულიყო აპარატის წმენდა, მაგრამ ის საერთო კრებაზე ვერ იყო ფართოდ გაშუქებული.

მსუბუქი კავალერიაც ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე: მისი მუშაობა ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს.

აპარატის გაწმენდის შემდეგ ახალ კადრთა წამოსაყენებლად და მათ მოსამზადებლად არავითარი მუშაობა არ არის ჩატარებული. ადგილებზე მხოლოდ მიმართვებია გაგზავნილი; განყოფილებებთან კავშირი სუსტია, ხელმძღვანელობა არ არის.

იტრიევი, ხებრელაშვილი, ახალაძე.

ქრონიკა

ავსტრალიის მუშათა დელეგაციის გამგზავრება

გუშინ, საღამოს, თბილისიდან ბაქოში გაემგზავრა ავსტრალიის მუშათა დელეგაცია, რომელმაც თბილისში დაჰყო ორი დღე. ამ ხნის განმავლობაში დელეგაციამ დაათვალიერა ზაჰესი, თბილისის კამვოლის ქსოვილთა ფაბრიკა და ახალი საამშენებლო სამუშაოები.

გარდა ამისა დელეგაცია ესტუმრა საქ. პროფსაბჭოს და გაეცნო სხვადასხვა პროფკავშირების საქმიანობას.

აზერბეიჯანში დელეგაცია შეჩერდება ერთი დღე.

ფრანგი მუშა - ველოსიპედისტები თბილისში

საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში მიღებული ცნობით ამ დღეებში გროზნოდან თბილისში ჩამოვა ფრანგ მუშა - ველოსიპედისტების ჯგუფი. ჯგუფში შედის 6 კაცი.

დახმარება საბჭოთა მეურნეობებს

ტრესტში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარების აღმოსაჩენად საქ. სას.-სამ. ბანკს მიეცა 26.000 მან.

640 მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ გუშინდლამდე გასცა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის 640 მოგება 52.000 მანეთის რაოდენობით.

მარელისის ფაბრიკამ წლიური საწარმოო გეგმა შეასრულა გადაჭარბებით

სატყეო მრეწველობის ტრესტმა მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკის დირექტორისაგან მიიღო ცნობა, რომ ფაბრიკამ განვლილი 1928—29 საოპერაციო წლის საწარმოო გეგმა შეასრულა გადაჭარბებით. ცნობაში ნათქვამია:

„ცეხებს შორის გამართული სოციალისტური შეჯიბრების წყალობით, გეგმით გათვალისწინებული 100.000 ცალი სკამის მაგიერ პირველი ოქტომბრისათვის ფაბრიკას დამზადებული ჰქონდა 120.085 ცალი“.

კალოშების გაცემის წესი

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, მიმდინარე წელს კოოპერატივის წევრები მიიღებენ არა უმეტეს ორი წყვილი კალოშისა (წიგნაკზე), ხოლო დანარჩენები 1 წყვილს. კალოშების გაცემა იწარმოებს პურის წიგნაკებით. კოოპერატივის წევრებს კალოშები მიეცემა კოოპერატიულ სავაჭროებში, ხოლო დანარჩენებს რეზინოტრესტის და სახ. ვაჭრობას მაღაზიებში.

თბ. აღმასკომში

◆ **ბავშთა სანატორიუმი.** მანგლისის ბავშთა სანატორიუმი, რომელსაც აქვს სეზონური ხასიათი, განზრახულია გადაკეთებული იქნეს მუდმივ სანატორიუმად.

◆ **ბავშთა კონსულტაცია.** თბილისის ყოველ უბანში ჯანმრთელობის განყოფილება ხსნის ბავშთა კონსულტაციას.

საქ. წითელ ჯვარში

◆ **წ.-ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია.** 1930 წლის ოქტომბრისათვის მოწვეულია წითელი ჯვრის საზოგადოებების საერთაშორისო კონფერენცია.

◆ **ახალი საექიმო პუნქტები.** საქ. წ. ჯვრის საზოგადოების ცენტრ. კომიტეტმა გადასწყვიტა რაჭა — ლეჩხუმის რაიონში გახსნას ახალი საექიმო პუნქტი.

◆ **დახმარება კოლმეურნეობას.** საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებამ გადასწყვიტა უფასო საექიმო დახმარება გაუწიოს სოფ. ბაისუბნის მშრომელ ებრაელთა კოლმეურნეობას „წითელ გორა“-ს წევრებს.

— **ახალი პოლიკლინიკა.** წითელი ჯვარი ამ დღეებში გერმანელთა ყოფ. საავადმყოფოს შენობაში ხსნის პოლიკლინიკას.

სხვადასხვა

◆ **მუშაობა ს. პ. კ. საბჭოში** ყოველდღიურად იწარმოებს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

◆ **პარასკევს, ა. წ. 4 ოქტომბერს,** დილის სრულ 10 საათზე მოწვეულია საქართველოს პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს მეშვიდე პლენუმი.

◆ **დღეს, 4 ოქტომბერს** სტუდენტთა კლუბში სრულ 12 საათზე შესდგება სტუდენტთა (სამკურნალო ფაკულტეტის და ოდონტოლოგების) საერთო კრება.

პროფ. ა. რაზმაძის გარდაცვალების გამო

სამოქალაქო პანაშვიდი

გუშინ, საღამოს, 6 საათზე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში შესდგა სამოქალაქო პანაშვიდი განსვენებულ პროფესორ ან. რაზმაძის ხსოვნის აღსანიშნავად. პანაშვიდს დაესწრნენ თბილისის სამეცნიერო ძალები, პროლეტარული სტუდენტობა და დიდძალი ხალხი. პანაშვიდის შემდეგ განსვენებულის ცხედარი გადაასვენეს ბინაზე (წყნეთის ქუჩაზე).

დამკრძალავი კომისიის სხდომა

გუშინ საღამოს შესდგა დამკრძალავი კომისიის სხდომა, რომელმაც დაადგინა განსვენებულის ცხედარი დღეს საღამოს გადასვენებული იქნას უნივერსიტეტის შენობაში, სადაც საღამოს 8 საათზე შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

კომისიის დადგენილებით განსვენებულის ცხედარის გამოსვენება უნივერსიტეტიდან მოხდება კვირას, 6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

შემთხვევები

ხულიგნები

თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა და სპეციდანიშნულების იზოლიატორში მოათავსა შალვა ივანეს ძე ავაქოვი, გიორგი მიხეილის ძე სარქისოვი და მარგარიტა ცასილის ასული კოლჩინსკაია.

როგორც გამოძიებით გამოირკვა, ავაქოვი და სარქისოვი ა.-წ. 25 სექტემბერს, დღისით, მთვრალი შევიდნენ კომუნართა ბაღში და ასტეხეს დებოში. შემდეგ მიუახლოვდენ სკამზე მსხდომ როსკიპ ქალს მარ. კოლჩინსკაიას და განიზრახეს მასთან საჯაროდ სქესობრივი კავშირის დაჭერა, რაზედაც ქალი წინააღმდეგობას არ უწევდა. ბაღში დასასვენებლად მყოფმა მოქალაქეებმა ამის შესახებ აცნობეს საგუშაგოზე მყოფ მილიციონერს, რომელმაც დიდის ვაი-ვაგლახით ხულიგნები დააპატიმრა.

ქურდი ნოქარი

გუშინწინ, მუშკოოპის მაღაზიის (აღმასკომის და მაჩაბლის ქუჩის კუთხე) ნოქარმა ბორის ევგენის ძე მკერვალიძემ თავის ნაცნობს 1 მან. და 56 კაპ. ჩეკით მისცა სამი მანეთის შაქარი. მკერვალიძის საქციელი არ გამოეპარა მაღაზიის გამგეს ეძგვერიძეს, რომელმაც მაღაზიის სხვა თანამშრომლების თანდასწრებით შეამოწმა სალაროდან გაცემული ჩეკი, რითაც დადასტურდა მკერვალიძის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება. გაბრაზებულმა მკერვალიძემ მაგარი სილა გააწნა გამგეს. ხმაურობაზე გამოიწვიეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები და მკერვალიძე დააპატიმრეს.

გაუპატიურების ცდა

2 ოქტომბერს, საღამოთი, მთვრალმა მეეტლემ — ახმედ კალი-ოღლიმ კოჯრის გზაზე რესტორან „კლდის დუქნის“ მახლობლად, დაინახა თავისი მეზობელი გოგონა — მარუსია ახმეტის ასული ბაკიევა. როცა მეეტლე ბაკიევას მიუახლოვდა, მიიპატიჟა იგი სასადილოში, მაგრამ გოგონამ უარი განაცხადა და ჩქარი ნაბიჯით გასწია სახლისკენ. ახმედ კალი-ოღლი გადმოხტა ეტლიდან და დაედევნა ბაკიევას, რომელსაც შიშისაგან დააწყებინა ცახცახი, რის გამო ფეხი დაუსხლტა და გადავარდა ხრამში. ყვირილზე მიცვივდნენ გამვლელები და ბაკიევა ამოიყვანეს ხრამიდან. მას დაზიანებული აქვს თავი და სახე. იგი უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. მეეტლე მიიმალა, მაგრამ გუშინ დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა. გამოძიება სწარმოებს.

ტრამვაის ქვეშ

საბჭოთა ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონზე შეხტომის დროს ფეხი დაუსხლტა და ვაგონის ქვეშ მოჰყვა ალექსანდრე ივანეს ძე აქმარაშვილი, რომელიც სერიოზულად, დაშავდა. იგი გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

დაჯახება

ავტო-მანქანა № 35, რომელსაც მართავდა შოფერი პავლე ბრუნოვი, ელბაქიძის დაღმართზე დაეჯახა ივანე ტურქესტანის ძე ქურთიშვილს და მძიმედ დააშავა. როგორც ირკვევა, შოფერს მანქანა დიდი სისწრაფით მიჰყავდა. შოფერი დაპატიმრებულია.

მკვლელობა

დაპატიმრებულია სოფ. ჩადისციხეში (ფასანაურის სამილიციო უბანი) მცხოვრები დავით იაკობის ძე აბულაძე, რომელმაც ამას წინად შურისძიების ნიადაგზე მოკლა თავისი მეზობელი გლეხი ვანო შიოს ძე ქავთარაძე.

თავის მოწამვლა

მართა გრიგოლის ასულმა ხმალაძემ (მცხ. შრომის ქ. № 69) იოდით მოიწამლა თავი, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს.

მცირეწლოვანი დამნაშავენი

მილიციამ დააპატიმრა მცირეწლოვანი არტაშ კონსტანტინეს ძე ბერიშოვი, რომელმაც მუშკოოპის პასაჟიდან მოიპარა პალტო.— დაპატიმრებულია აგრეთვე ზურაბ ვასილისძე ჩახოიანი, რომელმაც ტრამვაის ვაგონში დ. დოლაბერიძეს ჯიბიდან ამოაცალა ფული და სხვადასხვა საბუთები.

თავგატეხილი კაცი

გუშინ, დილით ადრე თავისუფლების მოედანზე, აღმასკ. პირდაპირ, მილიციონერი წააწყდა თავგატეხილ კაცს, რომელიც გულწასული იყო. თავგატეხილი აღმოჩნდა ვასო კოსთაშვილი (მცხ. კახეთის ქ. № 10); მას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში.

დაპატიმრება

ქურდობისათვის დაპატიმრებულია: ივანე სავალოვი და ბესარიონ ნიკოს ძე დათოშვილი. ყალბი საბუთების დამზადებისათვის დააპატიმრეს სიმონ შალვას ძე მანუშეროვი.

ქურდობა

2 ოქტომბერს, გაქურდეს საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს კანცელარია (თავისუფლების მოედანი); ბოროტგამზრახველებს სპეციალური ხელსაწყოებით გამოუჭრიათ რკინის სალარო, საიდანაც წაუღიათ ფულად 60 მანეთი და 290 მანეთის ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები. ნაწილი ხელსაწყოებისა ბოროტმოქმედების ადგილზე აღმოაჩინა სისხლის სამართლის მილიციამ.— ალექსანდრე გიორგის ძე ბერიშვილს ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 205 მანეთი.—გაქურდეს სევერიან ტარიელის ძე მარუსიძის ბინა, წაიღეს ფულად 400 მანეთი.

ამხ. სტალინის სახელობის აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნივერსიტეტში

მიღების წესები 1930—31 სამოსწავლო წლისათვის

1. ამხ. სტალინის სახელობის აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს პარტიულ სკოლას; იგი ამოცანად ისახავს აღმოსავლეთის ეროვნებათა მშრომელებისაგან მოამზადოს კვალიფიციური პარტმუშაკები, რომლებსაც შეეძლებათ რევოლიუციონური ბრძოლის და სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში გამოიყენონ მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდი.

2. უნივერსიტეტში მიიღებიან აღმოსავლეთის ეროვნებათა მშრომელნი. საკავშირო კომპარტიის წევრები და არა ნაკლებ 3 წლის პარტსტაჟით (საკავ. ახ. ლენ. კომკავშირის სტაჟი ამ შემთხვევაში არ ჩაითვლება) და აქტიური პრაქტიკული პარტიული, პროფესიონალური ან საბჭოთა მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის სტაჟით, არა ნაკლებ 20 წლის და არა უმეტეს 32 წლის ჰასაკისა.

შენიშვნა 1. წარმოებაში ჩაბმულ მუშებისათვის, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის, შუა აზიის, ციმბირის და შეიძლება აღმოსავლეთის რაიონების, რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების მშრომელთათვის გამონაკლისის სახით, პარტსტაჟი შეიძლება შემცირებულ იქნას 2 წლამდე.

შენიშვნა 2. თუ საკავშირო კომპარტიის (ბ) წევრ ქალებს შორის არ აღმოჩნდა შესაფერი კანდიდატი, უნივერსიტეტში შეიძლება გაგზავნილ იქნან მკვიდრი მოსახლეობის მშრომელი ქალები—საკავშირო კომპარტიის (ბ) კანდიდატები, რომელთაც აქვთ ქალთა შორის მუშაობის ან კომკავშირის, პროფესიონალური, საბჭოთა და სხვა საზოგადო ორგანიზაციებში მუშაობის 2 წლის სტაჟი; ჰასაკი ასეთ შემთხვევაში შეიძლება შემცირებულ იქნას 18 წლამდე.

შენიშვნა 3. მისავლინებელთა შერჩევა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მკვიდრი და არა მოსული მოსახლეობის მშრომელთაგან.

შენიშვნა 4. ის ამხანაგები, რომლებსაც წინა წლებში იყვნენ მივლინებულნი და არ იქნენ მიღებულნი წინა მოწვევებში, შეიძლება გაგზავნილ იქნან იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებენ ამ წესების მოთხოვნებს.

შენიშვნა 5. ის ამხანაგები, რომლებიც დამთავრებული აქვთ საბჭოთა პარტიული სკოლა, უნივერსიტეტში მიიღებიან იმ პირობით, თუ სკოლის დამთავრების შემდეგ არა ნაკლიბ 1 წლისა უმუშავნიათ პრაქტიკულ პარტიულ სამუშაოზე.

3. უნივერსიტეტში მისაღებმა ამხანაგებმა დაუსწრებლად უნდა გაიარონ კომუნივერსიტეტში შესვლისათვის საჭირო საგნები აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნივერსიტეტთან არსებული დაუსწრებელი მომზადების განყოფილების პროგრამებისა და დავალებების მიხედვით და უნდა დაიჭირონ გამოცდები ამ პროგრამების მოცულობით შემდეგ საგნებში: რუსული ენა, მათემატიკა, გეოგრაფია, კლასობრივი ბრძოლის ისტორია, პოლიტეკონომია, საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორია და ლენინიზმი.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში შემსვლელები უნდა ერკვეოდნენ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში, მათ სწორად უნდა ესმოდეთ პარტყრილობების და კონფერენციების გადაწყვეტილებანი (განსაკუთრებით მე-14 და 15 პარტყრილობების, კომინტერნის მე-6 კონგრესის, კომინტერნის აღმასკომის მე-10 პლენუმის, საკავ. კომპარტიის (ბ) მე-15 და მე-16 პარტკონფერენციების და ც. კ-ის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი).

შენიშვნა: დაუსწრებელი მომზადების განყოფილების სამოსწავლო გეგმა და პროგრამები ყველა პარტორგანიზაციას დაეგზავნება არსებული განაწილების მიხედვით.

4. უნივერსიტეტში მიიღებიან მხოლოდ სავსებით ჯანსაღი ამხანაგები. ვისაც უნივერსიტეტის საექიმო კომისია სცნობს ფიზიკურად სუსტად, ვინც დაავადებულია სისხლნაკლებობით, დაუძლურებით, კლინიკური ფორმის ნევრასტენიით, ტუბერკულიოზით, გადამდები სნეულებით (სხვათა შორის ტრახომით, ვენერიული სნეულებით და სხ.), ქრონიკული, მკაფიოდ გამოხატული კუჭნაწლავების ავადმყოფობებით, სერიოზული გინეკოლოგიური ავადმყოფობით და სხ.— ასეთები არავითარ შემთხვევაში არ მიიღებიან უნივერსიტეტში.

შენიშვნა. ინვალიდობა თავის თავად ისეთ ფორმაში, რომელიც ხელს არ უშლის გონებრივ მუშაობას, არ წარმოადგენს დაბრკოლებას უნივერსიტეტში შესასვლელად.

5. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნივერსიტეტში შესვლის მსურველთა წინასწარი შემოწმების მიზნით ნაციონალური კომპარტიების ცენტრ. კომიტეტებთან და საოლქო კომიტეტებთან ეწყობა გადამრჩევი კომისიები შემდეგი შემადგენლობით: აგიტპროპის გამგე, საორგანიზაციო განყ. გამგე, პროფსაბჭოს წარმომადგენელი, აგიტპროპგანყოფილების გამგის თავმჯდომარეობით. გადამრჩევ კომისიას ევალება ამოარჩიოს კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ მიღების წესების ყველა მოთხოვნას. კომისიის მიერ არჩეულ კანდიდატებს ამტკიცებს პარტკომიტეტის ბიუროს სხდომა. გადამრჩევი კომისიები აწყობენ კანდიდატების საერთო საგანმანათლებლო და პოლიტიკური მომზადების წინასწარ შემოწმებას. იქვე ეწყობა საექიმო კომისიები მისავლინებელთა შესამოწმებლად ამ წესების მეოთხე მუხლის თანახმად. აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნივერსიტეტის გამგეობას უფლება აქვს გადამრჩევ კომისიაში გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი კანდიდატების შერჩევაში მონაწილეობის მისაღებად.

6. გადამრჩევ კომისიების მუშაობა ადგილობრივ უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 1929 წლის 15 ოქტომბრისა. შერჩეულმა კანდიდატებმა უნდა შეავსონ დაგზავნილი ანკეტები და საკუთარი ხელით დასწერონ თავიანთი ბიოგრაფია. გადამრჩევი კომისიები არა უგვიანეს 1929 წლის 15 ოქტომბრისა უნივერსიტეტში გზავნიან უნივერსიტეტში მისავლინებელთა სიებს და შემდეგ დოკუმენტებს ყოველ მისავლინებელზე: 1) გადამრჩევი კომისიის მიერ შემოწმებულ ანკეტას, 2) ავტობიოგრაფიას, 3) ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 4) მოწმობას მისავლინებელის უკანასკნელი საზოგადო, პარტიული მუშაობის შესახებ, 5) ხელწერილს იმის შესახებ, რომ იგი იცნობს მიღების პირობებს და 6) ორ ფოტოგრაფიულ სურათს.

7. ყველა კანდიდატი, რომელსაც დაამტკიცებს ადგილობრივი პარტორგანიზაცია და უნივერსიტეტის სამანდატო კომისია დაუშვებს მისაღებ გამოცდებზე, სავალდებულო წესით ჩაირიცხება დაუსწრებელი მომზადების განყოფილებაზე და 1929 წლის 1 ნოემბრიდან 1930 წლის 5 აგვისტომდე ემზადება უნივერსიტეტში შესასვლელად საზოგადო-პოლიტიკურ და საერთო-საგანმანათლებლო საგნებში. მზადება სწარმოებს იმ პროგრამებისა და დავალებების მიხედვით, რომლებიც უნივერსიტეტის სამოსწავლო ნაწილი გაუგზავნის ყველა კანდიდატს.

8. კანდიდატები, რომლებიც ჩაირიცხებიან დაუსწრებელი მომზადების განყოფილებაზე და სამანდატო კომისიის მიერ დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე, 1 ივნისიდან იღებენ 2 თვის შვებულებას უნივერსიტეტისათვის მოსამზადებლად; მათ ეძლევათ ჯამაგირი იმ დაწესებულების ან საწარმოს ხარჯზე, სადაც ისინი მუშაობენ, თანახმად საკავშირო შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებისა 1927 წლის 18 ივლისის თარიღით № 182.

9. უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტებს ეძლევათ დაწესებული ნორმით ბინა საერთო საცხოვრებელში, სტიპენდია, სასმელ-საჭმელი, სახელმძღვანელოები და საწერი მოწყობილობა 1 სექტემბრიდან. უნივერსიტეტი არავითარ ვალდებულებას არა კისრულობს იმ მხრივ, რომ უშოვნოს ბინები სტუდენტების ოჯახებს.

10. მიმავლინებელ ორგანიზაციებს ევალებათ:

ა) იკისრონ საგზაო ხარჯები, გამგზავრებისა და დაბრუნების ხარჯები, დღიურები 1 სექტემბრამდე, ამასთან მისავლინებელი დოკუმენტების მეორე მხარეზე უნდა აღინიშნოს ანგარიში და მიცემული ფულის თანხა;

ბ) იკისრონ მისავლინებელის დარჩენილ ოჯახზე ზრუნვა, შეუნარჩუნონ მას ბინა ადგილობრივ.

11. მივლინებული ვალდებულია უნივერსიტეტში წარადგინოს მისავლინებელი მოწმობა პირადი საქმე ან საღრიცხვო-პარტიული ბარათი და საღრიცხვო-სამხედრო ბილეთი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ამოწმებს დამოკიდებულებას აღრიცხვისადმი. ის ამხანაგები, რომლებიც აღნიშნულ დოკუმენტებს არ წარადგენენ, მიუღებულნი არ იქნებიან.

12. ყველა ჩამოსული უნდა გამოცხადდეს უნივერსიტეტის სამდივნოში: მოსკოვი, პუტინკოვსკის ქ., 2. მისაღები გამოცდები მოხდება 1930 წლის 20 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე. ვინც აღნიშნულ ვადას გადააცილებს, მიღებული არ იქნება.

13. უნივერსიტეტში კანდიდატების მისვლის ვადათ დანიშნულია 15 აგვისტო, ამ დღიდან კანდიდატები თავსდებიან საერთო საცხოვრებელში.

შენიშვნა: 15 აგვისტომდე ჩამოსულებს არ მიეცემათ ბინა საერთო საცხოვრებელში.

14. ის ამხანაგები, რომლებსაც სამანდატო კომისია არ დაუშვებს გამოცდებზე იმის გამო, რომ ისინი არ აკმაყოფილებენ მიღების პირობებს ან არ წარადგინეს სათანადო დოკუმენტები, ხუთი დღის განმავლობაში დადგენილების შემდეგ ბრუნდებიან უკან მიმავლინებელი ორგანიზაციების ხარჯზე და ერთმევათ უნივერსიტეტთან არსებულ საერთო საცხოვრებელში ყოფნის უფლება.

კანდიდატები, რომლებიც აკმაყოფილებენ მიღების ყველა პირობას და ჩააბარებენ გამოცდას, ჩაირიცხებიან სტუდენტებად და ისარგებლებენ მეცხრე პარაგრაფში აღნიშნული ყველა სახის კმაყოფით 1 სექტემბრიდან.

15. შვებულება მეცადინეობის პერიოდში დაუშვებელია.

შენიშვნა. მისავლინებელთა სამსახურის და პირადი საქმეები ჯერია მოწესრიგდეს უნივერსიტეტში ჩასვლამდე.

საბჭოთა კავშირის ცაკის სკოლებისა და სამოსწავლო დაწესებულებების გამგე კომიტეტის თავმჯდომარე ი. სტეკლოვი.

აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის რექტორი

ი. რაიტერი.

ჭადრაკი

დღეს 4 ოქტომბერს, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში მოხდება პირველ და მეორე კატეგორიის მოჭადრაკეთა შეჯიბრების გახსნა და კენჭის ყრა. შეჯიბრება ჩატარებული იქნება ეგრედწოდებულ შევენინგენის სისტემით. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობენ: მაესტრო ნენაროკოვი, გოგლიძე, სოროკინი, ტალვიკი, კასპარიანი, ვეიზერი, ასოვსკი, ლევიტასი, წერეთელი, პოგოსოვი, სიჭინავა, ფალავანდიშვილი, ჩერნიავსკი და კარლინსკი. შაბათს, 5 ოქტომბერს, გათამაშებული იქნება შეჯიბრების 1-ლი ტური. დასაწყისი საღამოს სრულ 6 საათზე.

რკინისგზეზე

მატარებლის გაწყვეტა

3 ოქტომბერს ნავთლუღ-თბილისს შუა გაწყდა საბარგო მატ. № 40022. დაზიანდა რამოდენიმე ვაგონი. მოძრაობა შესწყდა. თბილისიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

დაუდევარი მემანქანე

სადგ. აქსტაფიდან მემანქანე ნიკიტინმა კვერთხის მიუღებლად წაიყვანა ორთქლმავალი № 306. უბედური შემთხვევა არ მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი თავისუფალი აღმოჩნდა.

საწყობების განსატვირთავად

უკანასკნელ ხანებში სადგ. ბაქოში, განჯაში, თბილისში, ბათომში, ერევანში და სხვა სადგურებში თავი მოიყარა დიდძალმა ტვირთებმა, რაც მოძრაობას საგრძნობლად აბრკოლებს.

სხვადასხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები არ ჩქარობენ ტვირთების გატანას.

მთავრობის ცენტრალურმა კომისიამ დაავალა ყველა დაწესებულებებს ორი დღის ვადაში გამოიხსნან თავისი ტვირთები წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

მატარებლის მოხსნა

8 ოქტომბრიდან ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობის განკარგულებით მოიხსნება ბაქო-კიევის მატ. № 15—16.

ფეხბურთი

კალენდარული შეჯიბრებები

კვირას, 6 ოქტომბერს, იწყება შემოდგომის სეზონის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ამ დღეს შეჯიბრებები გაიმართება „დინამო“-ს და ლენინის სახელობის სტადიონზე დილის 8 საათიდან.

„დინამო“-ს სტადიონზე თამაშობენ: მე-2 კატეგორია კლასი „ბ“ 1-ლი ჯგუფი: მშენებელი მუშები მე-2—საბჭოთა მუშაკები მე-2 (დილის 8 საათზე); 10 საათიდან იწყება 1-ლი კატეგორიის „ა“ და „ბ“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების შეჯიბრება. 10 საათზე თამაშობენ „მედსანშრომა 2—„მესტრანი“ 2; 12 საათზე „მედსანშრომა“ 1—„მესტრანი“ 1. 2 საათზე: „პოლიტეხნიკური ინსტიტუტი“ 2—„დინამო“ 2; 4 საათზე: „პოლიტეხნიკური ინსტიტუტი“ 1—„დინამო“ 1.

ლენინის სახელობის სტადიონზე თამაშობენ: პირველი კატეგორიის „ა“ და „ბ“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდები: 12 საათზე „კომუნალური მუშაკები“ 2—„მელითონეები“ 2; 2 საათზე „კომუნალური მუშაკები“ 1—„მელითონეები“ 1.

ოთხ საათზე თამაშობენ მეორე კატეგორიის „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდები: „მშენებელი მუშები“ 1—„საბჭოთა მუშაკები“ 1.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია სასწრაფოდ იწვევს თბილისის ორგანიზაციის იმ შემმოწმებელ კომისიების მდივნებს, რომელნიც ამჟამად ატარებენ წმენდას და აგრეთვე, რომელთაც დაამთავრეს მუშაობა. ამხანაგები უნდა გამოცხადდნენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველი № 24, მესამე სართული, ოთახი № 5) 4 ოქტომბერს ნაშუადღევის 3 საათზე.

—:—

პარასკევს, 4 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია ლენ-რაიონის განათლების მუშაკთა უჯრედის არაჩვეულებრივი კრება. კრება შესდგება რკ. გზის მე-8 სკოლაში.

დასწრება ყველა პარტ. წევრისა და კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საღრიცხვო სექტორი სთხოვს ამხ. მარდალეიშვილს (საქართველოს გზატკეცილების სამმართველო) შემოვიდეს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკაში ამხ. ციხელაშვილთან (ოთახი № 22).

—:—

ა. წ. 1 ოქტომბრიდან საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალური კომიტეტი და ბიბლიოთეკა-სამკითხველო გადავიდნენ განუწყვეტელ და ნაწილობრივ დღისით მუშაობაზე. კაბინეტი და ბიბლიოთეკა-სამკითხველო ღიაა ორშაბათობით, სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 5-დან 10 საათამდე, ხოლო პარასკევობით და კვირაობით დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე.

—:—

შაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის პროსპექტი № 21, მესამე სართული)—„ანტირელიგიურ სექციაში“ შესდგება ჯგუფური კონსულტაცია შემდეგ თემაზე: ანტირელიგიური მუშაობის ამოცანა ზამთრის პერიოდში.

მოწვეულნი არიან მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ბიუროების წევრები, უჯრედების თავმჯდომარენი და მდივნები და აქტივი.

—:—

6 ოქტომბერს (კვირას) დილის 10 საათზე პოლიტგანის მთავარ სამმართველოს შენობაში მოწვეულია მებრძოლ უღმერთოთა კავშირის სრულიად საქართველოს ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: გიდონი, ნაცვლიშვილი, გალდიანი, მარო საკაიანი, კობერიძე, დავით დოლიძე, შ. ტოროშელიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტა), ძ. ღოლობერიძე (სახელმწიფო უნივერსიტეტი), დიმოევი (სახ. კომისართა საბჭო), დ. კანდელაკი (განათლების სახ. კომისარიატი), ასრიბეკოვი (საქართველოს ცაკი), შტეპა (სახელმწიფო პოლიტსამმართველო), ვოლკოვი (სახ. პოლიტსამმართველო), კოჩლოვსკი (სახ. პოლ. სამმართველო), ლინეცკი (სახ. პოლ. სამმარ.), მიკ (სახ. პოლ. სამმართველო), ხოზავა (პოლიტგანათლების მთავარი სამმართველო), ჩხარტიშვილი (პოლიტგანი), ვ. ქობულია (პოლიტგანი), ჰასან საჰიი (საკავშირო კ.მპარტიის ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტი), კოგანი (ს.კ.პ. ა.კ. საოლქო კომიტეტი), ზეინალო (განათლების სახ. კომისარიატი), ნ. მახარაძე (განათლების სახ. კომისარიატი), ბედია (ცეკა), დ. ორაგველიძე (ცეკა), ს. არუთინოვი (თბილისის კომიტეტი), იაკოვლევი (თბ. კომიტეტი), ადამიანი (თბ. კომიტეტი), სოსიანი (სახალხო განათლების თბილისის განყოფილება), ბელეზნიაკი, სტეპანოვი (საშეფო საზოგადოება), ბოგდანოვი (ალექსანდროვის 34), ტყეშელაშვილი (ფეხსაცმელის ფაბრიკა), სემიხი („ენი კენდ“-ს რედაქცია), ბარბარინსკი (წითელი არმია), დოიდიშვილი (თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოება), ორლოვი (ამიერ-კავკასიის პარტსკოლა), მდივანი (კომ პარტიის ქალაქის რაიკომი), არუთუნოვი (საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება), ისააკოვი (სახალხო განათლების თბილისის განყოფილება), მანტკავა (მე-19 შრომის სკოლა), დოლონაძე (კომპარტიის ლენრაიკომი), ბელოზოროვი (ცეკა), ციხელაშვილი (ცეკა).

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპპეჭდვითი განყოფილების მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები დანიშნული არიან 1929 — 30 სამოსწავლო წელში პარტ-განათლების პროპაგანდისტებათ. დასახელებულ პირებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ გაემგზავრონ აღნიშნულ ოლქებში და მაზრებში.

ახალქალაქის მაზრა

აირაპეტიანი არტუშ, კარაპეტიანი ცოლაქ, მურადოვი ფაშა, აბრამოვი პეტრე (კ. კ. ხ), გიგაშვილი გრიგოლ.

ახალციხის მაზრა

ჩხეიძე ალი, ქადეიშვილი კაპიტონ, მაღრაძე ვასილი (კ. კ. ხ.), ბეგიჯანოვი ნერსესი.

თბილისის

კოჩაროვი ზაქრო (კ. კ. ხ.), შიხლინსკი, კახიძე პეტრე, გვენცაძე ილია, გალუსტოვი ტიტიკ, სტურუა არკადი, გულბათაშვილი სოფრ. (კ. კ. ხ.), ცუცქირიძე არჩილ (კოლმ.),

კახეთის ოლქი

კვინტრაძე პანტელ., გულაშვილი იოსები, სანაკაშვილი სერგო, გამოვა ოლია, გძელიშვილი ლავრენტი, ჩხიკვაძე კტრ. (კოლმ. ხაზ.).

გორის ოლქი

გოგოლაძე შალვა, ტატიევი ილია, ელიოზაშვილი იაკობ, გვარამაძე გიორგი (კ. კ. ხ.), ცინცაძე თედორე, (კოლმ.).

ქუთაისის ოლქი

ჯიხვაშვილი ნესტორ (კოლმ.), კალანდაძე სერგო, ბერუაშვილი სიმონ, ბურკაძე შალვა, ჭელიძე გრიშა, მეგენეიშვილი მიხეილი, ქუხალეიშვილი შალვა (კ. კ. ხ.), ქაბუკიანი რაჟდენ, კაციტაძე ივანე, კბილაძე რუბენ, მეტრეველი სერგო (კ. კ. ხ.), ყალიაშვილი ილია (კ. კ. ხ).

ოზურგეთის მაზრა

ფრუიძე გრიშა, გაბრიჩიძე იოსები, მექვაბიშვილი ნოე (კოლმ.), ბარამიძე ბენია, სიმონიშვილი ზაქრო (კ. კ. ხ.).

სენაკის მაზრა

დუნდუა ამბროსი, ლობჟანიძე გიორგი, (კ. კ. ხ.), ცხაკაია ვასილი, ჯიბლაძე გიორგი.

ზუგდიდის მაზრა

ხუბულავა ნიკოლოზი, კეზუა იონა, ჩიქოვანი სამსონი, ცხაკაია ბონდო (კ. კ. ხ.).

ფოთი

ბარკალაია ლეონი, მეყლაშვილი კარპეზ, (კ. კ. ხ.).

სვანეთი

ხოშტარიანი გრამიტონი.

სამხრეთ - ოსეთის ოლქი

თვაური გიორგი (კ. კ. ხ.), ჯიოევი ეფემ, ბეგოევი ბიქტორი.

სახ. უნივერს. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 4 ოქტომბერს, საღამოს ხუთ საათზე ამხ. გ. მეგრელიშვილთან უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომლებიც გამოყოფილნი არიან სოც. შეჯიბრების ჩამტარებელ ჯგუფში 1 და 2 უჯრედიდან (სოც. ეკონ. ფაკ.) სხდომას უნდა დაესწროს აგრეთვე ბაბო სახოკია.

—:—

სახ. უნივ. სამკ. ფაკ. კომუჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 4 ოქტომბერს, დღის 12 საათზე ზოგად გიგიენის კათედრის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქუჩა № 12) სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ ზემოხსენებულ უჯრედის ყველა წევრები და კანდიდატები; პარტწმენდასთან დაკავშირებით რეგისტრაციაში გასატარებლად და თან უნდა იქონიონ პარტ-მანდატები და სალექციო წიგნაკები.

—:—

სახ. უნივ. პედ. ფაკ. ს. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროები აცხადებენ, რომ 4 ოქტომბრიდან 6 ოქტომბრამდე იწარმოებს უჯრედის წევრთა აღრიცხვა. აღრიცხვაზე გატარება სავალდებულოა უჯრედის ყველა წევრ-კანდიდატთათვის.

აღრიცხვაზე უნდა გატარდნენ პედ. ფაკ. ახლად ჩარიცხული კომკავშირელები.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის კომუჯრედის ღია კრება შესდგება დღეს საღამოს 6 საათზე. სავალდებულოა უჯრედის წევრების დასწრება.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ალექსანდრე ბაბანოვი, სირანუშ ადამიანი, ლეონ ბახჩიანი, მიკირტიჩ არუთინოვი, გიორგი მინდიაშვილი, რუბენ არუთინოვი, გიორგი დარაშვილი, სტეფანე ტოლსტიკოვი, ბარბარე გიუნაშვილი, გეურკ არუთინოვი, ნინა ხუბაშვილი, ბარბარე თხელაძე-ემტაშვილი;

მედსექციიდან: ნიკოლოზ პოპოვი, ივანე ცერცვაძე, ვლადიმერ თავდიშვილი, სირანუშ სალიევა, ანა სვერაცევსკაია, მარია იგითხანოვა, ელენა პუნინა, ანა ემინოვა, ქეთევან კიკნაძე, ალექსანდრე ჩეკულაევა;

მოზარდთა სექციიდან: გერმანე მაცაბერიძე, კონსტანტინე არჩვაძე, მიხეილ არამაშვილი, ვლადიმერ მინდიაშვილი, ბიქტორ კარაპოვი;

მშენებელ მუშათა სექციიდან: იოსებ ხატისკაცი, ვლადიმერ გიგინეიშვილი, სერგო ვარამოვი, მელქომ-მელქანიანი, ფრანც ზიგრამოვი, ნიკოლოზ სიმონიანცი, ბაკა ფანცულაია, ტერენტი ღაფრინდაშვილი, მიკონ ლანოზოვი, იოსებ ხასიდაშვილი, გრიგოლ მანჯგოვი, პავლე აბრამოვი, სერგო ხარაზოვი, იოსებ თვალაძე;

შავ მუშათა სექციიდან: გეურკ გასპარიანი, გიორგი რუსიშვილი, სარქის აბგარიანცი, არამ სტეფანოვი, დავით მამაჯანოვი, ალექსანდრე თავშავაძე, ნიკოლოზ ხანკუროვი, მელიქ კარაპეტიანი, ბაგრატ მალიანი, გეურკ წალნიკიანცი, სტეფანე გოჯელოვი, კონსტანტინე მინასოვი.

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭო იუწყება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის და თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს წევრის

ანდრია მიხეილის-ძის რაზმაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება უნივერსიტეტის შენობიდან, კვირას, 6 ოქტომბერს, დღის 12 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 2—1

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი-მათემატიკოსი, შეუდარებელი პედაგოგი, თბილისის უნივერსიტეტის ერთი დამფუძნებელთაგანი

პროფ. ა. მ. რაზმაძე

ნ. 3291

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ცნობილი მეცნიერის

პროფ. ა. მ. რაზმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 3291

საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიაში მომუშავე მათემ. დარგის კურსმოსმენილი სტუდენტები: დ. ფორჩხიძე, დ. ჯალაღანია, გ. ხახუბია, ი. ვეკუა, მ. ჩხეტია, შ. ჩხენკელი, ევგ. ხარაძე, დ. დოლიძე, ს. ფანცხავა, ალ. ცხაკაია ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფას და საყვარელ მასწავლებლის

პროფ. ა. რაზმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს უნივერსიტეტის შენობაში საღამოს 8 საათზე. გამოსვენება უნივერსიტეტის შენობიდან კვირას, 6 ოქტომბერს დღის 12 საათზე. დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 3342

თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის მათემატიკური დარგის მე-4 კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მათთვის ძვირფას მასწავლებლის

პროფ. ა. მ. რაზმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 3355

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური დარგის მესამე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მათთვის უძვირფასესი მასწავლებლის

პროფ. ანდრია მიხეილის ძე რაზმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 3346

თბილისის სახ. უნივერსიტეტის მათ. დარგის II კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს

პროფ. ა. რაზმაძის

გარდაცვალების გამო. 3349

მათემატიკური დარგის სტუდენტთა ერთი ჯგუფი: ბ. მხეიძე, კ. სვანი, კ. კობახიძე, გ. კაკაბაძე, დ. აბუთიძე, მ. გამყრელიძე, ა. ბახტაძე, ა. ტორონჯაძე და ვ. კვალიაშვილი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, უძვირფასესი მასწავლებლის და სახელმწიფო უნივერსიტეტის სიამაყის

პროფ. ანდრია მიხეილის-ძე რაზმაძის

უდროოდ გარდაცვალებას. 3360

დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამ, შვილები: მარგარიტა, ვანო და გიორგი თავიანთ ცოლ შვილით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ მათთვის დაუვიწყარ

გიგო ნიკოს-ძე დიდიას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 6 ოქტომბერს, 5 საათზე, ქ. ფოთში, ნახუტურის სასაფლაოზე. 3344

ღრმა მწუხარებაში მყოფნი შალვა და ალექსანდრა ლორთქიფანიძეები, ლავრენტი და სონა კოპაძეები, პოლიკარპე და კუკუ ლორთქიფანიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველი ორი ძვირფასი შვილის, ხოლო დანარჩენნი თავისი შვილის შვილის

პატარა ადილარის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება სახლიდან დღეს, საღამოს 5 საათზე რუსთაველის პროსპექტი № 30 დაკრძალვა სურამში. (შ)

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგ. ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგის II კურსის სტუდენტები: ნადეჟდა გაბუნია, ქსენია ჭელიძე, მარიამ ურუშაძე, ნინო თოხაძე, პელო კეკელიძე, თამარა გაგლოევა, თამარა თათარიშვილი, პროკოფი ჯაფარიძე, ზია ქემხაძე, ვალიკო ჟღამაძე მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ამავე კურსის სტუდენტ

ქეთო დოლიძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე, კვირას, 6 ოქტომბერს, დღის 1 საათზე. 3347

გულდამწვარნი დედა ნინო და მამა ვასო, დები: თამარ, რუსუდან და გულნარა, ბიძები: მიხეილ და გრიგოლ, დეიდები ქეთო და ანო მირიანაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარ

ლეილა ვასილის ასული კევლიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა პარასკევს, 4 ოქტომბერს, კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება 4 საათზე პლეხანოვის შესახვევი № 8. 3356

პარასკევს, 4 ოქტომბერს,
ცირკის გახსნის მეოთხე დღე
ყველაფერი ახალია თბილისისათვის
კვირას, 6 ოქტომბერს, **პირველი საბავშვო დილა,** დასაწყისი ნაშუადღევის სრულ 2 საათზე. სრული საღამოს პროგრამა. ბავშვები უფასოდ. ანტრაქტებში ბავშვების ტარება ცხენებზე.
დირექტორი **ს. ნ. ქუთათელაძე.** დირექტორის მოადგილე **ქ. მაქს-ხოდჯკო.**
ნ. 3287 3—1

აპოლო (საზამთრო)	დუგლას ფერბენქსი სურათში **ზეროს ვაჟი**
პალასი	დრამა ცირკის ცხოვრებიდან **სასიკვდილო ნომერი** სურათში მონაწილეობს შნეიდერის ასი ლომი
სოლეი	ბესტერ კეიტონი კომედიაში **გენერალი**
არფასტო	**ვიდოკი** უკანასკნელი 5 და 6 სერია
მინიონი	პრემიერა **კატი პორთფელით** ა. ფაიკოს პიესა
საზაფხულო აპოლო	უცხოეთის მხატვრული სურათი **ცეცხლის კაცი**

მალე უცხო ქალი ქიზნევას მონაწილეობით
0—4

კინო-არფასტო
მალე
ო. ქიზნევა
სურათში
უცხო ქალი
ნ. 3290

საზ. უნივერსიტეტის სტუდ. აღმასბიურო
აცხადებს, რომ ა. წ. 1 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე სწარმოებს
კავშირის წევრ სტუდენტების
რეგისტრაცია
პროფკომებში. რეგისტრაციის დროს უნდა წარმოადგინონ საბუთები სოც. მდგომარეობის შესახებ.
ის სტუდენტები, რომლებიც აღნიშნულ ვადებში არ გატარდებიან, დარჩებიან კავშირის გარეთ. სტუდენტებმა, რომლებიც თბილისში არ იმყოფებიან, წერილობით უნდა აცნობონ აღნიშნულ ვადაში პროფკომს.
3314 3—3. სტუდ. აღმასბიურო.

ზესტაფონი
ექიმი
კ. ს. ანანოვი
სიფილისი (შეშხაპუნება 914) ვენერიული (სუსუნატი და მისი შედეგები) და კანის სნეულებ.
მიღება: 1—2 დღით, საღმოს 6—8 ს. 25 თებერვლის ქ. 130.

ამ.-კავკასიის რკ. გზების გამგეობა
აცხადებს
გზის კლიენტების საყურადღებოდ, რომ **სათანადო განკარგულებამდე** ყველა ვაგონი, ნახევარ-ვაგონი და ნორმალური ტიპის პლათფორმები ტვირთწევით 16,5 ტონა დაიტვირთება **18 ტონამდე,** ხოლო 20 ტონიანი ვაგონები—**23 ტონამდე.** ამასთან დაკავშირებით ა. წ. **1 ოქტომბრიდან** ზოგიერთ ტვირთებისათვის, რომელნიც ჩამოთვლილი არიან ტარიფების კრებულში № 538,3328 ა. წ. 18 სექტემბრის თარიღით
შემოღებულია
ვაგონებით დატვირთვის ახალი სატარიფო ნორმა.
ნ. 3289

კვირას, 6 ოქტომბერს, დილის 11 საათზე
ცხენოსანთა ლეგიონი კახეთის ქუჩაზე № 57
საჯარო ვაჭრობით
გაყიდის ცხენების ნეხვს ერთი წლის ვადით.
პირობების გაგება შეიძლება იმავე მისამართზე. ნ. 3343

ქუთაისის 1-ლი რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა
ამით აცხადებს. რომ ის 10 ოქტომბერს 1929 წ. დღის 12 საათზე ლიუქსემბურგის ქუჩა მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მინა ტყაბლაძის მოძრავ ქონებას, საკანცელარიო ნივთებს შეფასებულს 767 მანეთად 91 კაპ. საქ. კომ. ბანკის ქუთგანყოფ. და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთ. მე-2 უბ. სახალხო სასამართლოსაგან 26/28 XII 1927 წ. თარიღით № 267 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 3286

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა და ღებულობს ქალთა ავადმყოფებს დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 13—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა.
რუსთაველის გამზირი № 12.
3255 13—1

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკაში
(პირის ღრუს, ყბების და კბილების სნეულებანი)
ავადმყოფობის მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდან.
პლეხანოვის ქ. № 126.
13—1 3176

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს.
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01. 25—3

ექიმი
დავით ლაზარეს-ძე თევზაძე
დაბრუნდა და განაახლა ავად. მიღება
სპეციალობა: ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა— ხმის და მეტყველების მოშლილობათა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა.
კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის)—სოლოლაკში.
ტელ. 25—73. 25—1 32

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წ. დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1

და წყო. მიღება
ექ. **მ. ო. ზანდუკელი**
შინაგან და ნერვიულ სნეულებათა ელექტროსინათ. სამკურნ. კაბინეტი
იღებს საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. დ. ბეგთაბეგოვი
დაბრუნდა.
სიფილისი, კანის და შარდ სასქესო ავადმყოფობა.
ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, დიათერმია, გალვანიზაცია, იონიზაცია ფარადისაცია, სტატიური ელექტრონია, დარსონვალი, კვარცის ლამპა (ულტრა იისფერი სხივები).
ჯორჯაძის ქ. № 5. 13—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სას) ტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს., პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.
25—1

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
განაახლა ავადმყოფების მიღება. **სიფილ. ვენერიული და კანის სნეულებანი.**
ბელგიის ქ. № 1, ყოფ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს, დილით—8-9, საღმოთი 6-8.

კბილის ექიმი
ი. ბ.
ხარებავა-ბაქრაძე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები.
სნეულ კბილების ამოღება უმტკივნელოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვმა
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე.
კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 3319 13—1

ექიმი
მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეშხაპუნება ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალები 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმახოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი („914“ შეშხაპ.) **ვენერიული** მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და **კანის** სნეულება.
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კალოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2984 25—1

პროფესორი
მუხაძე
დაბრუნდა.
3163 13—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 4011 გრიგოლ მიხეილის-ძე ბეგიჯანოვის სახელზე ჩ. გ. 3346

დაიკარგა პურის წიგნაკი ლიდა ვლადიმერის ასული ლოლობერიძეს სახელზე ჩ. გ. 3346

დაიკარგა ს.კ.პ. (ბ) საკან. ბარათი № 17984, კომკავშირის წევრობის ბილეთი № 5308, განათლების მუშაკთა პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 33556 ელენა დავითის ასული ძიძიგურის სახელზე, ჩ. გ. 3318

დაიკარგა კავშირის წიგნაკი მიხეილ ნასკიდაშვილის სახელზე ჩ. გ. 3353

დაიკარგა კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 278 დავით ჩაჩავას სახელზე ჩ. გ. 3352

დაიკარგა: კოოპერატივის წიგნაკი № 419 ანტონ შოთაძის სახელზე, ჩ. გ. 3352

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2435 კირილე შენგელაიას სახელზე, ჩ. გ. 3350

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 5-469 ოლღა ივანეს ასული ცხოვრებაძის სახელზე, ჩ. გ. 3354

დაიკარგა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაცია № 013501 ზაქარია ქერივიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3357

დაიკარგა 7 წლ. დამთავრების მოწმობა № 100 და მეტრიკული ამონაწერი № 101 ნიკოლოზ შატბერაშვილის სახელზე ჩ. გ. 3359

დაიკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 23771 ივანე ვასილის-ძე ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ 3341

ტირაჟი—43.309

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904